დავით კუხალაშვილი

საპოლიციო სტრუქტურების და სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ისტორიიდან

რედაქტორი:

თენგიზ ენდელაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რეზერვის
გენერალ-მაიორი

რამაზ კვარაცხელია
სამართლის დოქტორი, შსს პოლიციის აკადემიის
სამართლის სკოლის უფროსის მოადგილე

სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, „საქართველოს
საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ რექტორი

რეცენზენტი:

გურამ რეხვიაშვილი
რეზერვის პოლკოვნიკი, 1991-1992 წლებში
საქართველოს დაზვერვის სამსახურის უფროსი

ვეფხია სამსონიძე
ჟურნალების „აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“, „ბიზნესი და
მენეჯმენტი“ გაერთიანებული რედკოლეგიის წევრი.

ISBN978-9941-0-7967-2
UBC(უაკ)327.84+341.326 კ-922

ოპერატიული საქმიანობის ისტორიის ანალიზი ცხადყოფს, რომ პრაქტიკულად არ არსებობს დანაშაულის სახეობა, რომელიც განვრცობადობის მასშტაბების გათვალისწინებით არ უკავშირდებოდეს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხარისხს. სწორედ ამიტომ პოლიციურ სისტემებს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ.

პოლიციური სტრუქტურები სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებების ორგანიზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ, რადგან სახელმწიფოში უსაფრთხო, სტაბილური ოპერატიული ვითარების უზრუნველმყოფი ძირითადი სეგმენტები საპოლიციო, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო დანაყოფები არიან.

ოპერატიული საქმიანობის ისტორიის ანალიზი აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საპოლიციო დანაყოფები, მნიშვნელოვან ყურადღებას არსებული წეს-წყობილების დაცვის ორგანიზებას უთმობენ. ამ პროცესის წარმატებას საპოლიციო და კონტრსადაზვერვო დანაყოფების კოორდინირებული საქმიანობა მნიშვნელოვნად განაპირობებს.

სტაბილური ოპერატიული ვითარების ფლობის თვალსაზრისით იგი პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფოს სადაზვერო უზრუნველყოფას და ყველა ჩამოთვლილი სეგმენტი ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზებას.

აღნიშნულ ნაშრომში ზოგადად მიმოხილულია პოლიციური-მათ შორის, დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების საპოლიციო სისტემების ოპერატიულ-აგენტურულ--ანალიტიკური საქმიანობის ორგანიზების ისტორია, ოპერატიული ვითარების მნიშვნელოვანი სეგმენტები.

ნაშრომში გერმანიის, საფრანგეთის და ისრაელის პოლიციის ოპერატიულ-აგენტურულ, ანტიტერორისტულ საქმი-

ანობაზე, საპოლიციო ზედამხედველობის განვითარებაზე და სხვა მნიშვნელოვან თემებზეა საუბარი, რომელთა წარმატებით გადაჭრა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ნაშრომში განხილულია დავით აღმაშენებლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის საკითხები, რუსეთის იმპერიის პოლიცია XVIII-XIX საუკუნეში, აგენტების როლი ოპერატიულ საქმიანობაში, მათი შესწავლის და შეფასების კრიტერიუმები, კორუფციის დამანგრეველი ზემოქმედება სახელმწიფოს განვითარებაზე, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ნაშრომი საინტერესო იქნება როგორც პოლიციური, სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო დანაყოფის თანამშრომლებისათვის, ასევე ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის შესწავლის პრობლემით დაინტერესებული მკითხველისათვის.

დავით კუხალაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პოლიციის პოლკოვნიკი

Analysis of the history of operative action shows, that there is practically no type of crime, taking into account the proliferation of scales which does not bind with the quality of National Security. That is why the police systems have an important role in ensuring National Security of the state.

Police structures represent an important chain organization, intelligence and counterintelligence activities of the state, as safe, stable, operational position in the country mainly guarantee police, intelligence and counterintelligence division.

Analysis of the operational history shows that the police division that ensure order and security pay more attention to the defense of the existing systems.

The success of this process plays important role in coordinated action of the police and counter-intelligence division.

Stable operational situation is directly related to ensuring the state intelligence and all of these segments due to the organization of national security.

This work has general overview of police among which the history of police systems and the organization agent operatively analytical activities of Great Britain and the United States of America and the important segments of the operative provisions.

In this work we are talking about operational and the agent anti-terrorism efforts development of policing in Germany, France and Israel and about some other important topics; their successful solution is an important precondition in ensuring public safety.

The paper considers the intelligence and counterintelligence organization issues of David Agmashenebeli, the police of Russian Empire in XVIII-XIX centuries, the role of agents in the operational activities, the criteria for their learning and assessment, destructive effect of corruption in the development of the state and other important issues.

This work will be of interest both to the police, the employees of intelligence and counterintelligence and the readers interested in the problem of learning operational agent activity.

Davit Kukhalashvili
Doctor of Historical sciences,
Police colonel.

1.პოლიციის ისტორიული ფესვები

უძველესი პერიოდიდან დღემდე, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაში პოლიციის როლი მნიშვნელოვანია, ამიტომაც პოლიციის ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა, საპოლიციო სტრუქტურებში მუშაობის დაწყების მსურველთათვის, საერთოდ საზოგადოებისათვის ყოველთვის აქტუალურია.

სიტყვა "პოლიცია" ბერძნული წარმოშობისაა. იგი ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოს სახელწოდებიდან მომდინარეობს.[1] ძველ საბერძნეთში, პოლისებში, მონები ანხორციელებდნენ დაჭერებს, პატიმრების ზედამხედველობას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ძველ საბერძნეთში არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების მიზნით სისტემატიურად კონტროლდებოდა მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა. დაწესებული იყო სახელმწიფოს ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელი მოსახლეობის უმაღლესი ზღვარი.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „მონები პოლიციის წევრებს ჰყავდათ იმდენი, რამდენიც ეკონომიკური ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირებისათვის იყო საჭირო,"[2] შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასურსათო უზრუნველყოფის თვალსაზრისით უარყოფითი ვითარების, სოციალური მღელვარების გამოსარიცხად, არსებული წეს-წყობილების დაცვის უზრუნველმყოფი პოლიციური სამსახურის აგენტურული და ოპერატიული კონტროლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად დემოგრაფიული კონტროლის უზრუნველყოფა ითვლებოდა.

1.„История полиции". www.openpolice.ru;

2.რ.გორდეზიანი. „ბერძნული ცივილიზაცია". თბილისი. 1988. გვ.73;

არსებული წეს-წყობილების დაცვის თვალსაზრისით, პოლიციური სისტემის აქტიური საქმიანობით გამორჩეულია ძველი წელთაღრიცხვის X-IX საუკუნეების ბერძნული ქალაქი სახელმწიფო სპარტა.[3] ამ პერიოდში „სპარტას მთლიანი მოსახლეობა 300000 კაცს, აქედან გაბატონებულთა რიცხვი 12000“ შეადგენდა. არსებობდა ახალგაზრდა მოქალაქეებისაგან შემდგარი განსაკუთრებული პოლიცია,[4] რომლის ფუნქციაში მოსახლეობის თვალყურის დევნება, არასაიმედო პირების გამოვლენა შედიოდა. ორხელისუფლიანობის პირობებში, არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების მიზნით ხელისუფალთა (ორ მეფეს შორის კონფლიქტების გამოვლენისა და დროული აღმოფხვრის მიზნით) პოლიციურ კონტროლს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.



მეფეთა თანაშემწეობის მიზნით შექმნილი სამსახური საბოლოო ჯამში, სახელმწიფო‘ში მიმდინარე პროცესების აგენტურულ-ოპერატიული და ანალიტიკური პროცესების ორგანიზებისას, მეფეთა განსაკუთრებულ მეთვალყურეობას წარმატებით ანხორციელებდა.

კოლონიებში არსებული მმართველობის სრული, წარმატებული კონტროლის მიზნით, კოლონიის ხელმძღვანელები სანდოობის თვალსაზრისით, დანიშვნამდე და მის შემდგომაც მკაცრ აგენტურულ-ოპერატიულ შესწავლას ექვემდება-

---

3.„სპარტა“.თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედია ვიკიპედიიდან. (რუკის წყაროც იქვე) http://ka.wikipedia.org;

4.დიმიტრი უზნაძე. „ძველი საბერძნეთი“, მსოფლიო ისტორია, ნაწილი II, ქუთაისი. 1918. გვ.41;

რებოდნენ, ხოლო საქმიანობის პროცესში მზვერავის ან რეზიდენტის ფუნქციით იყვნენ აღჭურვილნი.

ამ მიმართულებით პოლიციური სამსახურის წარმატებულ აგენტურულ-ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობის ორგანიზებაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ძველი წელთაღრიცხვის 594 წლისათვის საბერძნეთში არსებული წეს-წყობილების მაკონტროლებელ პოლიციურ სამსახურს ხელთ ჰქონდა მონაცემები:[5]

- პოლიტიკური დესტაბილიზაციის ძირითადი მიზეზების შესახებ;
- მდიდრებსა და ღარიბებს შორის გამწვავებული ურთიერთობების შესახებ.

ამასთან ერთად, მიმდინარეობდა სოციალური ვითარების დაძაბვის უკიდურესი ფორმის-აჯანყების გამომწვევი მიზეზების სისტემატიური შესწავლა და არსებობდა შემდგომი რეაგირებისათვის, ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემების მმართველებისადმი მიწოდების სისტემა, რაც საგანგებო ვითარების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანი პრევენციული ისეთი ღონისძიებების გატარებას ემსახურებოდა (მათ შორის საკანონმდებლო), როგორიცააა:[6]

- გაკოტრებული ათენელი მოქალაქის უფლებების აყრის და მონად გაყიდვის აკრძალვა;
- დიდი გადასახადების მხოლოდ მდიდრებისათვის დაწესება;

ამ პერიოდისათვის არსებული წეს-წყობილების დაცვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მიმართულებებია:

- საზოგადოების ყველა ფენისათვის სასამართლოს გამოყენების უფლების მინიჭება;

5.დ.კუხალაშვილი. „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები“. 2011. გვ10-13;

6. იქვე. გვ22-23;

- საკურიერო სამსახურის ჩამოყალიბებით, საიდუმლო ინფორმაციის დროული მიწოდების უზრუნველყოფა;
- სამხედრო დანაყოფებში მეომართა კორესპონდენციაზე ცენზურის დაწესება.

რაც სახელმწიფოში ამ მიმართულებით მასშტაბური ცენზურის არსებობაზეც მიანიშნებს.

ჩვენი წელთაღრიცხვის 594 წელს, სახელმწიფოს სათავეში მეფის მაგიერ მდგარმა უმთავრესმა სახელმწიფო მოხელემ (არქონტი) სოლონმა მდიდართა კლასის დასაცავად შექმნა სპეციალური პოლიციური სამსახური, რომელიც „კანონის ძალით ყველას სდევნიდა, ვინც არსებული წეს-წყობილების ძირითადად შეცვლას განიზრახავდა.“[7]

საბერძნეთის მსგავსად, ძველ რომში განსაკუთრებული ყურადღება, არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების მიზნით ორგანიზებულ, აგენტურულ-ოპერატიულ და ანალიტიკურ მუშაობას ექცეოდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 753-63 წლებში იმავე მიმართულებით აქტიურად მოღვაწეობდა პონტიფიკოსების ინსტიტუტი, რომლის პოლიციური ფუნქცია:

●„სტრატეგიული დანიშნულების ხიდების აწყობასა და (მტრის თავდასხმის შემთხვევაში) დაშლაში,

●ხიდების განთავსების ადგილებზე მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიურ აღრიცხვაში,

●იმპერიაში რელიგიური ცხოვრების წესზე და ზნე-ჩვეულებებზე ინფორმაციის შეგროვებაში მდგომარეობდა.“[8]

7.დიმიტრი უზნაძე. „ძველი საბერძნეთი“, მსოფლიო ისტორია, ნაწილი II, ქუთაისი. 1918. გვ.57;

8.დ.კუხალაშვილი. „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები“. გვ.81;

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 442-280 წლებში რომის იმპერიაში მოქმედი ცენზორის ინსტიტუტი აღჭურვილი იყო პოლიციური უფლება-მოვალეობებით.

პოლიციურ ზედამხედველობას ექვემდებარებოდნენ:[9]

- ცენზის მიხედვით იმპერიის მოსახლეობა;
- საიმპერიო კარის მსახურები;
- სენატორები,

ხოლო აგენტურულ-ოპერატიული შესწავლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, მოსახლეობის მორალური და სოციალური მდგომარება წარმოადგენდა.

ძველ რომში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას დიდი ყურადღება ექცეოდა. მისი უზრუნველყოფა სამ მაგისტრს (triumviri nocturni) ჰქონდა დავალებული.

მაგისტრების ხელმძღვანელობით 20-30 კაციანი ჯგუფები ღამის საათებში ქალაქის კარებთან იყვნენ დისლოცირებული და ქალაქის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდნენ.

მაგისტრების ფუნქციაში ქალაქში სახანძრო უსაფრთხოების დაცვაც შედიოდა.

ქალაქების მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ჯგუფების გაფართოების შესახებ, რაც ანაზღაურების გარეშე, ნებაყოფილობით ქალაქის მაცხოვრებელთა მხრიდან ჯგუფებისადმი დახმარების გზით გადაწყდა.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6 წელს მასშტაბური ხანძრით მიყენებული მნიშვნელოვანი ზარალის გამო, იმავე დაჯგუფებას დაემატა 7000 კაციანი სახანძრო სამსახური, რომელიც გაიყო შვიდ კოჰორტად.

9.იქვე, გვ.91;

თითოეულს ქალაქის 14 კვარტალის დაცვა ევალებოდა.[10]



რომში პირადი დაცვის უზრუნველყოფას ლიქტორები (Lictors)[11] ანხორციელებდნენ. ისინი მაღალი რანგის თანამდებობის პირების საცხოვრებელი ადგილის დაცვის გარდა[12] საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გადაადგილების მარშრუტებსაც ათავისუფლებდნენ და დამრღვევი პირების დასჯასაც ანხორციელებდნენ.

ლიქტორები არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების უზრუნველმყოფი ძირითადი მიმართულების-სამეფოს მმართველობითი ელიტის პირადი დაცვის უზრუნველმყოფი საპოლიციო სამსახური იყო.

ძველი რომის მსგავსად პირადი დაცვის უზრუნველმყოფი დანაყოფები ევროპაშიც არსებობდა, რომლებიც ადგილობრივ მმართველებს, მდიდარ ადამიანებს ემორჩილებოდნენ და პირადი დაცვის გარდა თავიანთ სამფლობელოებში ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიებას ანხორციელებდნენ. ამ ინსტიტუტმა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში იარსება.

ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის თვალსაზრისით საყურადღებოა, ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში ჩამოყალიბებული საკურიერო სამსახური, რომელსაც ევალებოდა სამეფო კარისადმი ქვემოჩამოთვლილი ინფორმაციის მიწოდება:

10.Новиков А.А. „Частная и общественная жизнь римлян". П. Гиро. (12. Римские стражи порядка). стр.54. http://centant.spbu.ru;

11.„Bronze figurine of a lector (magistrate's attendant)". (სურათის წყაროც იქვე) www.britishmuseum.org;

12.„ENCYCLOPADIA BRITANNICA". www.britannica.com;

- ***სამეფო ხელისუფლებისათვის*** - საზოგადოებრივი აზრის, პოლიტიკური ცხოვრების, სასამართლო უთანხმოებების, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების, საომარი კომპანიების მიმდინარეობის შესახებ;[13]
- ***მოსახლეობისათვის*** - სამეფო კარის მიერ განხორციელებული დამრთგუნავი ქმედებების (სიკვდილის დასჯის მიზეზების) შესახებ.

ძველი წელთაღრიცხვის პერიოდიდან მნიშვნელოვან პოლიციურ დანაყოფს საიდუმლო პოლიცია წარმოადგენდა. ასეთი დანაყოფები აქტიურად საქმიანობდნენ ძველ საბერძნეთში, ძველ რომში, მუსლიმანურ ხალიფატებში და შუა საუკუნეების მონარქიებში.

სწორედ ამ სამსახურის მეშვეობით იმპერიები, კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის სათანადო ზედამხედველობას წარმატებით ანხორციელებდნენ.

IX საუკუნის დასასრულს პოლიციის მნიშვნელობა და სტატუსი განსაკუთრებულ საფეხურზე იყო აყვანილი იაპონიაში. იმპერატორის პირად კანცელარიასთან ერთად უშუალოდ იმპერატორის კონტროლს დაექვემდებარა პოლიციის უწყება.

ჩინეთის პირველი იმპერატორის იანჩჟანის (1328-1398)[14] შვილმა ჩჟუ დუმ აგრარული და ფინანსური რეფორმების გასატარებლად გაამკაცრა პოლიციური ფუნქციები, შექმნა ახალი დანაყოფი, რომლის თანამშრომლები თავისი მოვალეობის შესასრულებლად ფასიანი აგენტურული შეტყობინებების გამოყენებასაც ახდენდა.

13.დ.კუხალაშვილი. „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიული საფუძვლები". 2011. გვ.95;

14.Е.М. Скворцова. „Всемирная история". Глава 7. Государства Востока в Средние века. http://www.gumer.info;

თუ გავითვალისწინებთ, რომ რეფორმის დაწყების ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად დაგეგმილი იყო: სამეფო მიწების განაწილება, გამოუყენებელ ტერიტორიებზე გლეხების გადასახლება, ფიქსირებული გადასახადების დაწესება, დასაშვებია ვარაუდი, რომ დანაყოფი, დაგეგმილი რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის კორუფციული პროცესების დროული გამოვლენისა და აღკვეთისათვის შეიქმნა.



1667 წლისათვის საფრანგეთში ლუდოვიკო XIV გამოსცემს განკარგულებას,[15] რომლის მიხედვითაც საფრანგეთში დაფუძნდა გენერალური ლეიტენანტის თანამდებობა, რომლის ფუნქციამიც საერთო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის პარალელურად ყველა მცხოვრების სიცოცხლის და ქონების დაცვა შევიდა.

მაღალ საფეხურზე მდგომი პოლიციის ოთხი კომისრის კონტროლს დაექვემდებარა ყველა სამეფო ციხე-სიმაგრის პატიმარი. ამავე დროს შეიქმნა ე.წ. ლუის კოდი, ყოვლის მომცველი სამართლის კოდექსი, რაც საფრანგეთში ყველა დაურეგულირებელი იურიდიული პრობლემის მოგვარების მცდელობა იყო.

XVIII საუკუნეში გერმანიაში მკვიდრად მოიკიდა ფეხი „პოლიციური სახელმწიფოს"[16] შექმნის იდეამ, რაც საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფად მათი პირადი ცხოვრების მკაცრი კონტროლის დაწესებით გადაწყდა.

15.„Louis XIV of France". (Antoine, Michel, Louis XV, Fayard, Paris, 1989, p. 33) http://en.wikipedia.org ამავდროულად ლუი XIV სურათის წყარო;

16.A.Voskuhl. „The Disordered Police State: German Cameralism as Science and Practice (review)". http://muse.jhu.edu;

1885 წლისათვის დანიაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩათრეული იქნა პოლიტიკურ პროცესებში. გახშირდა შემთხვევები, როდესაც პარლამენტარები სახალხო კრებებზე ოპოზიციური აზრის გამოთქმისათვის სასამართლოს გადაეცემოდნენ,[17]რაც საზოგადოებაში უარყოფითი განწყობების ორგანიზების და ოპერატიული ვითარების დაძაბვის საფუძველი ხდებოდა.

მოსალოდნელი სახალხო მღელვარების თავიდან ასაცილებლად, გამოყენებული იქნა პრევენციული ზომები:

- ✓ გაიზარდა პოლიციის შემადგენლობა (რაც მასობრივი არეულობის წინმსწრები ინფორმაციის და ვითარების განმუხტვისათვის არასაკმარისისი ძალების არსებობაზე მიანიშ[illegible]ებს);

- ✓ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან წინააღმდეგობის გაწევისათვის გამკაცრდა სასჯელის სახეობები (რაც იმაზე მიანიშნებს, რომ არსებობდა სტატისტიკური და ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც მასშტაბური გახდა წინააღმდეგობის გაწევა და დასჯის სახეობა მასშტაბების შემცირებას ხელს არ უწყობდა);

- ✓ აიკრძალა იარაღის რეალიზაცია (რაც მიანიშნებდა, რომ არსებობდა ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემები რეალიზებული იარაღის მასობრივ არეულობებში შესაძლო გამოყენების შესახებ);

ინგლისში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში მთავრობის განახლების შემდგომ შესაძლებელი ხდება რადიკალუ-

17.„История Дании". Материал из Википедии-свободной энциклопедии. http://ru.wikipedia.org;

რად განწყობილი მუშებისადმი, პოლიტიკური პარტიებისადმი აგენტურული და რეპრესიული ქმედებების[18] შერბილება.

ამ პერიოდისათვის გასააქტიურებელი იყო პოლიციის გადართვა კრიმინალთან ბრძოლის თვალსაზრისით, რადგან სახელმწიფოს ცენტრალური ქალაქის მნიშვნელოვან რაიონებში[19] მთლიანად კრიმინალები იყვნენ დასახლებული.

რუსეთის იმპერიაში პოლიციური სისტემის გაძლიერებისათვის წარმატებული რეფორმირება, ეკატერინე II მმართველობის პერიოდში განხორციელდა (პირველი მნიშვნელოვანი ქმედება ამ კუთხით მოსკოვის ე.წ. პატრონ-ამწიოკებლის დაპატიმრება). მისი მმართველობის პერიოდში მოხდა საიდუმლო პოლიტიკური და სისხლის სამართლის პოლიციის განცალკევება. ამასთან ერთად, პოლიციის დანაყოფები გაიყო ქალაქისა და სოფლის პოლიციის დანაყოფებად.

პოლიცია აკონტროლებდა საპასპორტო რეჟიმს, სახანძრო უსაფრთხოებას, ერეოდა ჩხუბების, მასობრივი არეულობის აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად.



რუსეთის იმპერიაში დანაშაულის გახსნის მიზნით პოლიციური სტრუქტურების მხრიდან სისტემატიურად ჰქონდა ადგილი დაკავებულთა წამების ფაქტებს. მხოლოდ 1801 წლისათვის[20] მოხერხდა ეჭვმიტანილის წამების აკრძალვის საკანონ-

18.„История полиции". www.openpolice.ru;

19.„Victorian London Research. London Police Divisions. Sources: The Wonderful Story of London, edited by Harold Wheeler, published by Odhams Press Ltd. and PRO leaflets". http://homepage.ntlworld.com/;

20.Стуканов Ю.С. „Пытки и физическое насилие". www.agka.kz (სურათის წყაროც იქვე);

მდებლო უზრუნველყოფა.

ბოლშევიკური რევოლუციის მოხდენის შემდგომ, პოლიტიკური მოტივებით სიტყვა პოლიცია, მილიციით შეიცვალა.

2. თანამედროვე პოლიცია და მისი კონტრსადაზვერვო ფუნქცია

ადრეული პერიოდების მსგავსად, თანამედროვე ეტაპზე დადებითი ოპერატიული ვითარების შექმნა-შენარჩუნების ძირითად სეგმენტად პოლიცია მოიაზრება.

პოლიციის ძირითად ფუნქციას სისხლის სამართლის დანაშაულობების დროული გამოვლენა და აღკვეთა წარმოადგენს.

ოპერატიულ ვითარებაზე წარმოდგენის შესაქმნელად ჩამოვაყალიბოთ, რამოდენიმე მნიშვნელოვანი განმარტება.

აგენტურულ-ოპერატიული ვითარება დაზვერვის დაინტერესების მიმართულებით არსებული მდგომარეობის, მისი შესწავლის ძალების, საშუალებების და ხელისშემშლელი ფაქტორების ერთობლიობაა.[21]მისი ძირითადი ელემენტები შეგვიძლია სქემატურად ასე გამოვსახოთ:

- **პოლიტიკური სიტუაცია, სოციალურ-ეკონომიკური ვითარება;**
- **სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი, კონტრსადაზვერვო რეჟიმი;**
- **დაზვერვის დაინტერესების სფეროები მოსახლეობის რელიგიური და ეთნო-ფსიქოლოგიური თავისებურებები;**

ოპერატიული ვითარება ეს არის პირობათა ერთობლიობა, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად მოქმედებენ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ბრძოლაზე მოწინააღმდეგესთან.[22] მისი შესწავლა შედეგობრივი თვალსაზრისით საშუალე-

---

21.„სადაზვერვო ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი". საქართველოს დაზვერვის სამსახური სპეციალური მომზადების და გადამზადების ცენტრი. თბილისი 2011. გვ.11;

22.„Оперативная обстановка". http://counterintelligence.academic.ru;

ბას იძლევა წარამტებულად დაიგეგმოს კონტრსადაზვერვო მუშაობა, რომელიც მოწინააღმდეგის შესახებ დროული, ობიექტური, სრულყოფილი ინფორმაციების შეკრებით მიიღწევა, ოპერატიული ვითარება გარკვეულ ტერიტორიაზე, დროის განსაზღვრულ პერიოდში კრიმინალური ქცევითი აქტების ერთობლიობაა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული დანაშაულის გახსნაში.[23]

ოპერატიული ვითარების ანალიზი ხორციელდება:

- სისხლის სამართლის და სათანადო აღრიცხვაში მოქცეული სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ არსებულ ინფორმაციებზე, რომლებსაც შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეთ, ჩადენილი გაუხსნელი სისხლის სამართლის, ან სხვა სახის დანაშაულების დროული გამოვლენა-აღკვეთისათვის.
- სისხლის სამართლის ან სათანადო აღრიცხვაში მოქცეული სხვა სახის დანაშაულის ნიშნების არ შემცველ მონაცემებზე (სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევა, ქორწინება, გარდაცვალება და სხვა), რომლებსაც შესაძლებელია მნიშვნელობა ჰქონდეთ ოპერატიულ და სამძებრო საქმიანობის სწორად წარმართვისათვის.
- მოსახლეობის ცხოვრება-მოღვაწეობის ისეთი ფაქტების (ეჭვმიტანილების ან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისათვის ოპერატიულ კონტროლს დაქვემდებარებული პირების შესაძლო ყოფნის ისეთი ადგილები, როგორიცაა: მასობრივი დემონსტრაციები, საპროტესტო აქციები, აღლუმები და სხვა) შესახებ, რომლებიც წარმოადგენენ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობისათვის მნიშვნელოვან ინტერესს.

23.„Оперативная обстановка". www.pravoteka.ru;

პოლიციას გააჩნია მნიშვნელოვანი ბერკეტები, რომელსაც შეუძლია საკუთარი სახელმწიფოს, ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაზე დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ პოლიციის განკარგულებაში დღეის მდგომარეობით მნიშვნელოვანი სპეციალური ძალები და საშუალებებია თავმოყრილი, რომელთა კანონზომიერი გამოყენებით შესაძლებელია ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებაზე უარყოფითი (დამაზიანებელი) ზემოქმედების განმაპირობებელი გარემოებების დროული გამოვლენა, აღკვეთა ან თავიდან აცილება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პოლიცია სისტემატიურ რეჟიმში ადამიანთა დაკავებებით, დაპატიმრებებით არის დატვირთული, ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებით მოქმედება ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი უნდა იყვეს პოლიციის საქმიანობაში. ამ საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ პოლიცია ხშირად მონაწილეობს მასობრივი ღონისძიებების (მაგ. მასობრივი შეკრებების კონტრტერორისტული, მცირე და მასშტაბური პროტესტის მასობრივ არეულობაში გადაზრდის საწინააღმდეგო ქმედებების) უსაფრთხოდ ჩატარების ორგანიზებაში, მათ შორის მასობრივი-ძალადობრივი საპროტესტო აქციების დაშლაში. ამ პროცესებში პოლიციის უკანონო ქმედებები, სხვა მნიშვნელოვან უარყოფით შედეგებთან ერთად, პირდაპირ უკავშირდება პოლიციის დისკრედიტაციას საკუთარ სახელმწიფოში და საერთაშორისო არენაზე, რაც საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ უარყოფითი საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის დმკვიდრების საფუძველსაც წარმოადგენს.

გამოიკვეთა საინტერესო სქემა. მცირე და მასშტაბური პროტესტის გადაზრდა მასობრივ არეულობაში და სახელმწიფოს მხრიდან მისი დროული აღკვეთის უნარის არქონა ძირითადად სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალა-

დობრივი რღვევის უზრუნველმყოფი,მნიშვნელოვანი ხელსაყრელი პირობაა.

ჩნდება კითხვა, რა დროს უნდა ჩაერიოს პოლიცია სახელმწიფოს წეს-წყობილებაზე დამანგრეველი ქმედებების არ დაშვების უზრუნველსაყოფად. პასუხი ერთადერთია: სახელმწიფოში არსებული კანონმდებლობის სრული დაცვით პოლიცია თავისი ძალებით და საშუალებებით მუდმივად, აქტიურად უნდა იყოს ჩართული საკუთარი სახელმწიფოსა და მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფ საქმიანობაში. ყოველივე სახელმწიფოს კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფით პროცესებში პოლიცის, როგორც ერთ-ერთი ძირითადი ფიგურანტის მონაწილეობაზე მიანიშნებს.

ამ პროცესში მონაწილეობით პოლიცია ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სექტორის მნიშვნელოვან სეგმენტსაც წარმოადგენს.

უძველესი დროიდან დღემდე სახელმწიფოს განვითარების პროცესებზე და წარმატებულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე დამანგრევლად მოქმედებს ქვეყანაში მასშტაბური კორუფციის ინსპირირების, ან უკვე ინსპირირებულის კიდევ უფრო გაფართოების ორგანიზებული პროცესები.

მასშტაბურად, პოლიციის თანამონაწილეობა კორუფციაში შესაძლებელია უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოში მოქმედი პოლიტიკური წრეების პირდაპირი ან ირიბი ისეთი ქმედებით, როგორიცაა პოლიციის უფლებამოსილების განხორციელებაში ჩარევით ხელის შეშლა.

აღნიშნული მიზნის მიღწევის შემთხვევაში, პოლიცია დანაშაულებრივი სტრუქტურის სახეს იღებს, სადაც იერარქიულად წინასწარ შეთანხმებული მასშტაბების მიხედვით მმართველობითი რგოლის ყველა სეგმენტი პირადი გამორჩენის საბაბით აქტიურ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებში არის ჩართული.

ანალოგიური სქემით მიმდინარეობს ე.წ. კორუფციული (მათ შორის სადაზვერვო) შეღწევადობის უზრუნველყოფა, სახელმწიფოს განვითარებისათვის მნიშვნელოვან სახელმწიფო თუ კერძო სექტორში, რაც ყოველი ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე სახელმწიფოსადმი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის ხელსაყრელი პირობაა.

ქვეყნის შიგნით უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება, საკუთარი სახელმწიფოს მმართველების წინააღმდეგ მოსახლეობის მასობრივ პროტესტს უკავშირდება და იგი ხშირად მასობრივ არეულობებში გადაიზრდება.

სახელმწიფოს მხრიდან ამ მოვლენისადმი ვერ გამკლავების შემთხვევაში იქმნება ხელსაყრელი პირობა ქვეყანაში არსებული წეს-წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლისათვის.

აქედან გამომდინარე, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, არასამთავრობო სექტორთან, მოსახლეობასთან ერთად, პოლიციის როლი კორუფციასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანია, როგორც საკუთარ სექტორში, ისე საერთოდ სახელმწიფოში.

კორუფციის ინსპირირება, ინსპირირებულის გაფართოება, პოლიტიკური სექტორის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენება, მასობრივი პროტესტისა და არეულობის ინსპირირება, უცხო ქვეყნების სადაზვერვო ინტერესებში შედის.

ამ პროცესების დროული გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით პოლიციის წარმატებული საქმიანობა, სახელმწიფოს კონტრდაზვერვითი უზრუნველყოფის წინაპირობაა. გამოდის, რომ პოლიცია ამ შემთხვევაშიც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის შემადგენელი სექტორის ძირითადი სეგმენტია.

გამოთქმული მოსაზრებების გასამყარებლად განვიხილოთ პოლიციის საქმიანობის მიმართულებებისა და ქმედებათა ფარგლების მაკავშირებლები ეროვნულ უსაფრთხოებასთან.

პრაქტიკულად არ არსებობს დანაშაულის სახეობა, რომელიც განვრცობადობის მასშტაბების მიხედვით არ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების ინსპირირებას. შესაბამისად, არ არსებობს პოლიციის მოქმედების ფარგლები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა არ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

1) სახეობის მიხედვით დანაშაულის დამანგრეველი ზემოქმედების შედეგები ეროვნულ უსაფრთხოებაზე

პოლიციის ისტორიის ანალიზის მიხედვით, შეიძლება გამოვკვეთოთ, სხვადასხვა სახეობის დანაშაულის დამანგრეველი ზემოქმედების შედეგები ეროვნულ უსაფრთხოებაზე.

ა)ძარცვა-ქურდობა-ყაჩაღობა:

მასშტაბურობის შემთხვევაში მოსახლეობაში დაუცველობის თვალსაზრისით შიშის, პანიკის სახელმწიფო ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების ინსპირირებას, ხოლო ამ დანაშაულისადმი მიდრეკილი პირების მხრიდან დაუსჯელობის ფონზე დანაშაულის ჩადენაში ჩართვას, კრიმინალური სამყაროს ფინანსურ გამდიდრებას, მათი მხრიდან სახელმწიფოს მმართველობით პოზიციებზე შეღწევადობისათვის ფინანსების გამოყენებას უზრუნველყოფს. შექმნილი ვითარებით ქვეყნის შიგნით და გარეთ ქრონოლოგიურად მყარდება უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოსა და მისი მმართველების ირგვლივ.

მოვლენა სხვა მნიშვნელოვან სეგმენტებთან ერთად უარყოფითად მოქმედებს ქვეყანაში უცხო სახელმწიფოების

ინვენსტიციების მოზიდვაზე, ტურიზმის განვითარებაზე, ე.ი საქმე გვაქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესის შეფერხება-გაუარესებასთან.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პროცესების ამგვარი განვითარება პირდაპირ უკავშირდება უმუშევრობის, სოციალური უკმაყოფილების ზრდას, რაც მცირე საპროტესტო მოძრაობის მასშტაბურ საპროტესტო მოძრაობაში, ხოლო ბოლო ეტაპზე მასობრივ არეულობაში გადაზრდას უზრუნველყოფს.

მსგავსი ვითარება სისხლიანი ან უსისხლო რევოლუციებით მთავრდება, რაც სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივ რღვევას ნიშნავს.

ამ პირობებში, სახეზეა ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაბალი დონე, როდესაც სახელმწიფო ათწლეულობით კარგავს სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმას, რადგან ძალადობა შობს ძალადობას, ზოგჯერ ეს პროცესი უსასრულობით და განმეორებადობით ხასიათდება.

ფაქტობრივად, სახეზეა მოვლენათა განვითარების ისეთი სქემა, რომლის შესაქმნელად უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები მყარი ფინანსური უზრუნველყოფით სეგმენტალურად, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით მუშაობენ, რითაც საკუთარი სახელმწიფოების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, სხვა ინტერესების განხორციელებას ემსახურებიან.

ბ)ტერორიზმი:

მასშტაბურობის შემთხვევაში, დაუცველობის თვალსაზრისით, მოსახლეობაში, სახელმწიფოს პოტენციურ ან უკვე არსებულ ინვენსტორებში, ტურისტებში და ა.შ შიშის, პანიკის ისპირირების გამომწვევია.

ტერორიზმის დაუსჯელობა, ამ დანაშაულისადმი მიდრეკილი პირების მხრიდან, კონკრეტული (მათ შორის ფინანსური) პრობლემების გადასაწყვეტად დანაშაულის ჩადენაში

ჩართვას, ხელისუფლების ყველა შტოზე, მათ შორის მასმედიაზე სასურველი ზემოქმედების (მათ შორის საზოგადოებაში სახელმწიფო მმართველობითი სისტემის კომპრომენტაციის ფონზე, ტერორისტების, მათი ორგანიზაციების დადებითი იმიჯის შექმნის ორგანიზაცია) და გადაწყვეტილებების მიღების უზრუნველსაყოფად გააქტიურებას იწვევს.

ამ შემთხვევაშიც, ქვეყნის შიგნით, საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოსა და მისი მმართველების ირგვლივ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნის პარალელურად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესის შეფერხებით და გაუარესებით:

- უმუშევრობის ზრდის
- სოციალური უკმაყოფილების ზრდის
- მცირე საპროტესტო მოძრაობის მასშტაბურ საპროტესტო მოძრაობაში გადაზრდის
- მასობრივ არეულობის
- სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობის


ინსპირირება არის შესაძლებელი.

რეალურად სახეზეა მოვლენათა განვითარების ისეთი სქემა, რომლის შესაქმნელად უცხო ქვეყნის სადაზვერვო სამსახურები საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდით შრომატევად სამუშაოებს ანხორციელებენ, რითაც საკუთარ სახელმწიფოებს უკმაყოფილებენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სახის სტრატეგიულ და სასიცოცხლო ინტერესებს.

გ) შრომის, ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარღვევების მასშტაბურობა

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთერთ მნიშვნელოვან სეგმენტზე საზღვაო სივრცეში-პორტებში, სადაც გემებიდან და გემებში სხვადასხვა სახეობის, მათ შორის

საშიში ტვირთების დამუშავება (ჩატვირთვა-გადმოტვირთვა) მიმდინარეობს] შესაძლოა დაუკავშირდეს სქემაზე დატანილ და სხვა შედეგებს:



ამ პირობებში საერთაშორისო არენაზე მყარდება საზოგადოებრივი აზრი კონკრეტულ ობიექტზე სახიფათო ვითარების არსებობის შესახებ, რაც პირდაპირ შეიძლება დაუკავშირდეს ტვირთბრუნვის, დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის შემცირებას, სოციალური ფონის დაძაბვას.

ამასთან ერთად, ტვირთების დამუშავების მიზნით, სხვა სახელმწიფოს უსაფრთხოების მაღალი დონით გამორჩეულ ობიექტზე გადასვლა, სახელმწიფო ბიუჯეტის შემვსები მნიშვნელოვანი თანხების დანაკარგის საფუძველი ხდება.

ამავდროულად, ეს პროცესი უცხო სახელმწიფოების მხრიდან ინვენსტიციების მოზიდვის პროცესის შემაფერხებელი გარემოებაცაა, რაც სახელმწიფოში სოციალური ფონის დაძაბვის ინსპირირების საფუძველია. ამ ვითარების მიღწევა სახელმწიფოს ხელისუფლებისადმი მიმართული, მცირედიდან მასშტაბური პროტესტის ორგანიზებას უკავშირდება, რომელიც შესაძლოა მასობრივ არეულობაში გადაიზარდოს და ქვეყანაში კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით დამხობას დაუდოს საფუძველი.

ყოველივე კი, საერთაშორისო არენაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრებისათვის ხელსაყრელი პირობაა, რაც შესაძლებელია სახელმწიფოში, ზემოაღწერილი პროცესებიდან მიღებული დამანგრეველი შედეგების გამოსასწორებლად მიმართული ღონისძიებების განხორციელების ხელშემშლელი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდეს.


2) მოქმედებების ფარგლების გათვალისწინებით ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ხერხები

პოლიციის ისტორიის ანალიზის მიხედვით, შეიძლება გამოვკვეთოთ, მოქმედებების ფარგლების გათვალისწინებით ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი ხერხები:

ა) პატრულირება (ფეხით, სატრანსპორტო ან სხვა საშუალებით)

კონკრეტული ოპერატიულ-სამძებრო, კრიმინალური თვალსაზრისით პროფილაქტიკური დანიშნულებით ამ მიმართულებაზე პოლიციელთა დროული და კანონის ჩარჩოებში მოქცეული სწორი ქმედებები საზოგადოებრივი წესრიგის

უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რაც ოპერატიული ვითარების შემადგენელი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. ამასთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ:



შესაბამისად, ოპერატიული ვითარების და ტურიზმის წარმატებით უზრუნველყოფა ეროვნული უშიშროების განმაპირობებელი მნიშვნელოვანი სეგმენტებია.

ბ) მოქალაქეთა განცხადებებზე დროული და კომპეტენტური რეაგირება

პოლიციის (სახელმწიფოს და მისი ხელისუფლების) დადებითი იმიჯის შექმნის ხელშემწყობი გარემოებაა. ამასთან ერთად, ამ სისტემის აწყობა, მუდმივ რეჟიმში მისი ფუნქციონირება, ოჯახური, მეზობლური დავების და კონფლიქტების ლოკალიზების და კონტროლის საუკეთესო საშუალებაა. ამ ვითარების მიღწევით შესაძლებელი ხდება დავების და კონფლიქტების უკიდურეს დაძაბულობამდე მიყვანის გამორიცხვა, რაც ოპერატიული ვითარების დამამძიმებელი, სისხლის სა-

მართლის დანაშაულების ინსპირირების თავიდან აცილებას განაპირობებს. ყოველივე კი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ხელშემწყობი გარემოებაა.

გ) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობის და სიცოცხლის უსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია. მისი უზრუნველყოფა სატრანზიტო სტატუსის მქონე სახელმწიფოსათვის განსაკუთრებულია.

პოლიციის მხრიდან სწორად დაგეგმილი და განხორციელებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება, ტვირთების გადაზიდვის უსაფრთხოებას მნიშვნელოვნად განაპირობებს. ამ ვითარების მიღწევა ტვირთების სატრანზიტო მოძრაობის შენარჩუნება-გაზრდის, შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყაროა.

ოპერატიული ვითარების მყარი კონტროლისათვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან მჭიდრო, თითქმის შერწყმულ ურთიერთობაში უნდა მიმდინარეობდეს, რათა გზებზე, კრიმინალური ვითარება კონტროლს იყოს დაქვემდებარებული.

პროცესის მოშლა, როგორც ზემოაღნიშნულ შემთხვევებში სახელმწიფოს ინტერესების საზიანო ქმედებების ორგანიზებას უკავშირდება.

<u>ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:</u>

- ✓ უძველესი პერიოდიდან კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე წესრიგის, უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისათვის შექმნილ პოლიციურ დანაყოფებს კონკრეტული კომპეტენციის გარდა, საკუ-

თარი რეჟიმების შენარჩუნებისათვის, საკუთარ მოსახლეობაზე დამთრგუნველი ზემოქმედების უზრუნველსაყოფად, ზოგჯერ კი საგარეო მიზნების აღსასრულებლად იყენებდნენ;

- ✓ წესრიგის, უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფისათვის შექმნილი საპოლიციო დანაყოფების ფუნქციები და რაოდენობა, სახელმწიფოთა სტრატეგიული, სასიცოცხლო ინტერესების შესაბამისად მნიშვნელოვან ზრდადობას ან შემცირებას განიცდიან;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველმყოფი საპოლიციო დანაყოფები,პოლიციურ სისტემებში კონფლიქტების, კორუფცის, სხვა სახის, სახელმწიფოს განვითარების პროცესებზე დამაზიანებელი ქმედებების მასშტაბური ინსპირირებით, თვითონვე ხდებიან სახელმწიფოში დესტაბილიზაციის პროცესის მაპროვოცირებელი როლის შემსრულებლები. უფრო მეტიც, პოლიციის უკანონო ქმედებებით ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო ასპარეზზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრების შემდგომ, სისხლიანი ან უსისხლო რევოლუციების ორგანიზების ხელსაყრელი პირობები იქმნება;
- ✓ იმპერიების, სამეფოების, სახელმწიფოების პოლიციური სისტემების მხრიდან აგენტურულ-ოპერატიულ, ანალიტიკურ კონტროლს მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობა, ეკონომიკური, სოციალური, სასურსათო ვითარება ექვემდებარებოდა;
- ✓ პოლიციური სტრუქტურების განსაკუთრებული ყურადღება არსებული წეს-წყობილების დაცვის უზრუნველყოფას ეთმობოდა. ამ მიზნით შექმნილი იყო ანალიტიკური ინფორმაციის გაცვლის სისტემა, რითაც ხელისუფლება პრევენციული (მათ შორის საკანონ-

მდებლო) ზომების დროულ მიღებას უზრუნველყოფდა;

- ✓ უძველეს დროში წარმოებული აგენტურული და ოპერატიული ღონისძიებებიდან საყურადღებოა ისეთი ქმედებები, როგორიცაა:
  - ➢ თვალყურის დევნება;
  - ➢ არასაიმედო პირების გამოვლენა;
  - ➢ მაღალი რანგის მმართველთა შორის ურთიერთობების კონტროლი;
  - ➢ მაღალ თანამდებობაზე (კოლონიის მმართველები) დასანიშნი პირების სანდოობის შემოწმება, დანიშვნამდე და მის შემდგომ პერიოდში;
  - ➢ მდიდრებსა და ღარიბებს შორის ურთიერთობების შესწავლა;
  - ➢ აჯანყების გამომწვევი მიზეზების შესწავლა;
  - ➢ კორესპონდენციის ცენზურა;
  - ➢ ზნე-ჩვეულებებზე და რელიგიური ცხოვრების წესზე ინფორმაციის შეკრება;
  - ➢ მოსახლეობის მორალური და სოციალური მდგომარეობის შესწავლა;
- ✓ უძველესი დროიდან არსებობდა პოლიციური სამსახური, რომლის ფუნქციაში „სტრატეგიული დანიშნულების ხიდების აწყობა და (მტრის თავდასხმის შემთხვევაში) დაშლა, აგრეთვე ხიდების განთავსების ადგილებზე მიმდინარე მოვლენების ქრონოლოგიურ აღრიცხვა შედიოდა;
- ✓ უძველესი პერიოდიდან ფუნქციონირებდა საპოლიციო სამსახური, რომლის ფუნქციაშიც სახანძრო უსაფრთხოების დაცვა შედიოდა;
- ✓ უძველესი დროიდან არსებობდა პოლიციური სამსახური, რომელიც მაღალი რანგის თანამდებობის პირე-

ბის საცხოვრებელი ადგილის დაცვის გარდა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გადაადგილების მარშრუტების დაცვას, ამ პროცესის ხელშემშლელი პირების დასჯასაც ანხორციელებდა;

- ✓ ჩვენი წელთაღრიცხვის პერიოდში, აგრარული და საფინანსო რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უზრუნველსაყოფად, პოლიციური სამსახურების აგენტურულ-ოპერატიულ კონტროლს ექვემდებარებოდა:
  - ➢ სამეფო მიწების განაწილება;
  - ➢ გამოუყენებელ ტერიტორიებზე გლეხების გადასახლება;
  - ➢ ფიქსირებული გადასახადების დაწესება;
  - ➢ პატიმართა განთავსების ადგილების დაცვა;
- ✓ უმველეს დროში პირადი ცხოვრების მკაცრი კონტროლი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოტივებით ხორციელდებოდა;
- ✓ ჩვენი წელთაღრიცხვის პერიოდში პოლიციური სამსახურების კონტროლს ექვემდებარებოდა:
  - ➢ საპასპორტო რეჟიმი;
  - ➢ სახანძრო უსაფრთხოება;
  - ➢ ჩხუბების და მასობრივი არეულობის აღკვეთა და თავიდან აცილება.
- ✓ პოლიციურ სისტემებს სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების, ე.ი. სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებების ორგანიზების მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენენ, სახელმწიფოში უსაფრთხო, სტაბილური ოპერატიული ვითარების უზრუნველყოფის თვალსაზრისით.
- ✓ პრაქტიკულად არ არსებობს დანაშაულის სახეობა, რომელიც განვრცობადობის მასშტაბების მიხედვით არ

უკავშირდებოდეს ეროვნულ უსაფრთხოებაზე უარყოფითი ზემოქმედების ინსპირირებას. შესაბამისად, არ არსებობს პოლიციის მოქმედების ფარგლები, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა არ უკავშირდებოდეს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

3. დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის ისტორიიდან

ცვალებადი ისტორიული პროცესებიდან გამომდინარე, დღემდე პოლიციის შესახებ მდიდარი ისტორიით გამორჩეული სახელმწიფოები საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის როლის მოპოვებისათვის ბრძოლის ნაცვლად, ძირითადად დომინანტის ქვეყნის სტატუსის მოსაპოვებლად მებრძოლ ქვეყნებთან (მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები) სტრატეგიული პარტნიორის როლში აღმოჩენისათვის იბრძვიან.

პერიოდული მონაცვლეობით ასეთი სახელმწიფოები სწორ არჩევანს აკეთებენ, რითაც საკუთარი სახელმწიფოების ეროვნულ უსაფრთხოებას გარკვეული დროით ინარჩუნებენ. ამ კუთხით გამორჩეულია დიდი ბრიტანეთი, რომელსაც პოლიციის ისტორიის თვალსაზრისით მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა გააჩნია.

ბოლო ასწლეულის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატები საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის როლისათვის, ხოლო მის გვერდით დიდი ბრიტანეთი, როგორც მისი სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფო წარმატებით იბრძვის. ამ ვითარების მიღწევა საკუთარ სახელმწიფოებში ეროვნული უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფით და მისი შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ოპერატიული ვითარების მუდმივი სტაბილურობით გახდა შესაძლებელი.

დიდი ბრიტანეთის პოლიციური სტრუქტურები დღემდე წარმატებით ზრუნავენ საკუთარი სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების შესანარჩუნებლად. არსებული ოპერატიული ვითარების (მათ შორის კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიის, მოსახლეობის ზრდადობა, შესასრულე-

ბელ მოვალეობათა გაზრდა-გამიჯვნა და სხვა) ცვალებადობას უნდა მივაკუთნოთ ის გარემოება, რომ ინგლისის ისტორიაში სხვადასხვა პერიოდებში განსხვავებული პოლიციური სტრუქტურები იქმნებოდა.

-მოსამართლე-შერიფები ყველა ოლქსა და ქალაქში აღასრულებდნენ კანონს სასამართლოს გზით, რისთვისაც არსებობდა სასამართლო შეტყობინებების ინსტიტუტი. გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულებაზე ხელის შეშლის აღკვეთის მიზნით ფუნქციონირებდა სპეციალური რაზმი-ოლქის ძალა (posse comitatus), რომლის წევრების გამოძახება სხვა კონკრეტული საჭიროებისათვისაც (მათ შორის სამოქალაქო აჯანყებების ჩასახშობად)[24] ხორციელდებოდა;

-კონსტებლები, რომელთა ასპარეზზე გამოსვლა 1285 წელს „ვინჩესტერის წესდების"[25]თანახმად განხორციელდა. მის ძირითად ფუნქციად არსებული წეს-წყობილების წინააღმდეგ მიმართული აჯანყებების ჩახშობა იყო. ამ ფუნქციის გარდა კონსტებლები დამნაშავეთა დაპატიმრებას და საპატიმროებში მათ დაცვასაც უზრუნველყოფდნენ.

კონსტებლების საქმიანობის მონაცვლეობითი, არაანაზღაურებადი ხასიათი, დაკისრებული მოვალეობის შესრულების დაბალ ხარისხს უზრუნველყოფდა, რაც სამსახურის პოპულარობის დაკარგვის საფუძველს განაპირობებდა.

-ღამის გუშაგები,[26]რომელთა საქმიანობის ისტორიის ათვლა 1663 წლიდან დაიწყო. მათი ძირითადი ფუნქცია ღამის საათებში ქუჩების პატრულირებაში მდგომარეობდა. ამ თანამდებობაზე ძირითადად ინიშნებოდნენ ის მოხუცები, რომლებიც სხვა სამუშაოს ვერ პოულობდნენ.

24.„Posse Comitatus". http://legal-dictionary.thefreedictionary.com;

25.J.Röhrkasten. „Winchester, Statute of (1285). „Lexikon des Mittelalters". www.manfred-hiebl.de;

26.„Полиция в зарубежных странах". стр.2 http://ref.rushkolnik.ruж;

ძირითადში არაეფექტური საქმიანობის მიუხედავად, ეს პოლიციური დანაყოფი კონსტებელის ინსტიტუტთან ერთად XVIII საუკუნის ბოლომდე ასრულებდა თავის მოვალეობას.

XIII საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს სამეფოს მმართველებს ხელთ ჰქონდათ საკმარისი სტატისტიკური მონაცემები (1751 წელს არსებობდა ფილინგის მიერ ჩატარებული „ბოლო დროს მძარცველთა რაოდენობის ზრდის მიზეზების კვლევა"),[27] რომლის ანალიზით კარგი უნიფორმით, სათანადოდ აღჭურვილი, სპეციალურად მომზადებული მყარი პოლიციური სტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე, არსებული წეს-წყობილების შენარჩუნებას მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრებოდა.

ინგლისის პროფესიონალური პოლიციის სიტემის შექმნის თარიღად შეგვიძლია 1829 წელი მივიჩნიოთ, რადგან სწორედ ამ წელს პარლამენტმა დაამტკიცა „მეტროპოლიაში და მის მახლობლად პოლიციის შექმნის აქტი", რის საფუძველზეც 1000 კაცისაგან შემდგარი, შეუიარაღებელი, უნიფორმით, მყარი დისციპლინით, მუქარებსა და პირადი შეურაცხყოფისაგან თავშეკავების მაღალი კულტურით აღჭურვილი პოლიციის ქვედანაყოფი შეიქმნა. ეს იყო ლონდონის სამოქალაქო პოლიცია, რომელსაც საბოლოო ჯამში ეწოდა „სკოტლანდ იარდი."

მეტროპოლიის პოლიციის ფუნქციებში, დანაშაულის აღკვეთა-კონტროლის პროცესებთან ერთად მოსახლეობასთან (ყველა სახის ოპერატიული ინფორმაციის წყარო) და სახალხო სასამართლოსთან აქტიური თანამშრომლობა შედიოდა. გატარებული რეფორმის წარმატებაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები:

27.Генри Фильдинг. „История Тома Джонса, найденыша (Книги 1-6. ВЕЛИКИЙ РОМАН И ЕГО СОЗДАТЕЛЬ.) ". www.lib.ru;

-1856 წლისათვის ყველა საგრაფოსა და პატარა ქალაქებში ამოქმედდა პოლიციური დანაყოფები;

-ბრიტანეთის პოლიციის განვითარებამ საფუძველი ჩაუყარა პოლიციური სისტემების ჩამოყალიბებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ინდოეთში, ავსტრალიაში და მრეწველობის განვითარებით გამორჩეულ ქვეყნებში.[28] გამოდის, რომ საკუთარი პოლიციური სისტემების წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესებში, უცხო ქვეყნების პოლიციურ სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის შეკრება, ანალიზი და მეცნიერული შესწავლა შედის.

დღეის მდგომარეობით დიდი ბრიტანეთის პოლიციური სისტემის ეპიცენტრს „სკოტლანდ იარდი" წარმოადგენს. სწორედ ამ შენობაშია თავმოყრილი საპოლიციო სისტემების გამართული მუშაობისათვის აუცილებელი საბაზო მონაცემები (გამოიყენება ეროვნული IT სისტემა). საშტატო და მატერიალური ბაზების მიხედვით მოთხოვნათა შესაბამისად, „სკოტლანდ იარდის" შენობები ქრონოლოგიური მიმდევრობით ასე გამოიყურებოდა:[29-30]



სკოტლანდ იარდის შენობა 1875 წლის მდგომარეობით



სკოტლანდ იარდის შენობა 1890 წლის მდგომარეობით



სკოტლანდ იარდი თანამედროვე პერიოდში

28.„Полиция в зарубежных странах. Государство и право". www.5ka.ru;

29.„ Scotland Yard". 18.07.20011. http://nlg-steampunk.blogspot.com;

30.„Скотланд-Ярд". http://ru.wikipedia.org/wiki/Скотланд-Ярд;

რასისტულ და ექსტრემისტულ ჯგუფებში აგენტურული ჩანერგვის მოტივაცია.

ა) ბრიტანული პოლიცია ექსტრემიზმის წინააღმდეგ.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ისტორიის მიხედვით, დემოკრატიული სტატუსის მატარებელი ქვეყნისათვის ექსტრემისტული გამოვლინების მასშტაბურობა საერთაშორისო არენაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. ეს ვითარება პირდაპირ უკავშირდება, მსოფლიოში დომინირების როლისათვის მებრძოლ სახელმწიფოებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ ურთიერთობებში სახელმწიფოს (სტრატეგიული პარტნიორი, სატელიტი ან აქტიურ სადაზვერვო (დამაზიანებელ) სტატუსს დაქვემდებარებული სახელმწიფო.

დაზვერვას დაქვემდებარებულ სახელმწიფოში, კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოშლა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მიღწევა შესაძლებელია „ეროვნებათშორისო ურთიერთობებისათვის ძირის გამოთხრით, ეროვნული, ეთნიკური და კუთხური შუღლის, სეპარატიზმის გაღვივებით.“[31]

ამ მიზეზის გარდა, არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომლის მიხედვითაც ექსტრემისტული განწყობების მასშტაბურობა პირდაპირ კავშირშია, უარყოფითი ოპერატიული ვითარების ინსპირირებასთან, შესაბამისად სხვა ორგანიზებული დანაშაულების განვრცობის ხელშეწყობასთან. სწორედ ეს ძირითადი მიზეზები განაპირობებენ, სახელმწიფოს მხრიდან ექსტრემისტული გამოვლინებების, ჯგუფების წინააღმდეგ, აქ-

---

31.თენგიზ ენდელაძე. „საგარეო დაზვერვის სამსახურები“. თბილისი. 2007. გვ.6;

ტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების სისტემატიურ დაგეგმვა-განხორციელებას.

დიდ ბრიტანეთში საკანონმდებლო ინიციატივების ფონზე შესაბამისი სპეციალური სამსახურების მხრიდან აქტიურად მიმდინარეობს აგენტურული და ოპერატიული ღონისძიებები ექსტრემისტული ორგანიზაციების კონტროლის მიზნით, რომელთა შორის გამორჩეულია:

- ✓ ექსტრემისტული ქადაგებების თავიდან ასაცილებლად, ექსტრემისტი სასულიერო პირების ციხეებში, უნივერსიტეტებში შეღწევების აკრძალვა;

- ✓ ინტერნეტის (სოციალური ქსელების და ელექტრონული ფოსტების) მკაცრი კონტროლის მეშვეობით ექსტრემისტული ძალადობის შეზღუდვის უზრუნველყოფა;


- ✓ პოლიტიკური ექსტრემიზმის და რადიკალიზმის წინააღმდეგ, მინისტრების, MI5 ხელმძღვანელების, პოლიციის უფროსების და ზომიერი რელიგიური ლიდერებისაგან მიზნობრივი ჯგუფის შექმნა.[32]

თანამედროვე ეტაპზე ინგლისში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებობს ექსტრემიზმთან ბრძოლის სპეციალური დეპარტამენტი, რომლის თვალთახედვის არეში 2013 წლის ზაფხულის მდგომარეობით მოხვდა 1000-მდე პოტენციალური ექსტრემისტი, აგრეთვე სხვადასხვა მიმართულების ისეთი საზოგადოებრივი მოძრაობები,[33] როგორიცაა:

---

32. Theresa May: „Thousands of fanatics on path to violence". By: Macer Hall Published: Mon, May 27, 2013. www.express.co.uk;

33.Дарья Загвоздина. „Колпак Скотленд-Ярда треснул. Британская полиция установила слежку за тысячами потенциальных экстремистов". 26.06.2013, 14:02. www.gazeta.ru.;



აქტიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელების საფუძველი ექსტრემიზმისაკენ მიდრეკილი პირების საიდუმლო ბაზებში მოხვედრაა, ისე რომ მათი მხრიდან რაიმე სახის დანაშაულში მონაწილეობა არ ყოფილა დაფიქსირებული.

ფაქტობრივად, სახეზეა ექსტრემიზმის წინააღმდეგ ინგლისის პოლიციის მხრიდან ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, რაც აგენტურული უზრუნველყოფის ფონზე ოპერატიული აღრიცხვის საქმის წარმოებასაც მოიცავს.

სათანადო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელებულ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ე.წ. ფასიან აგენტურულ უზრუნველყოფასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დაკავებული, პოლიციის თანამშრომელთა საფარქვეშ საქმიანობას, ობიექტების მოსმენას.

პროცესში აგენტი-ჩანერგილი პოლიციელის შერწყმული საქმიანობა, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების ობიექტების მხრიდან განსაკუთრებულ აქტივობაზე, სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი დამაზიანებელი შედეგის დადგომის მოლოდინზე მიანიშნებს.

გ) დიდი ბრიტანეთის პოლიცია რასიზმის წინააღმდეგ.

ექსტრემიზმის მასშტაბური გავრცობის მსგავსად რასიზმის გავრცელებაც ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დამანგრეველად მოქმედი გარემოებაა. შესაბამისად, კანონის ჩარჩოებში მოქცეული სახელმწიფო სტრუქტურებისა და საზოგადოების მობილიზაცია ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად წარმატებული იმიჯის საფუძველია, როგორც საკუთარი სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ.

თანამედროვე ეტაპზე რასიზმის წინააღმდეგ ევროპულ სახელმწიფოებში (ევროპული ქსელის UNITED მიერ) აქტიურად მიმდინარეობს ე.წ. პროპაგანდისტული საქმიანობა, მათ შორის ტერიტორიული პრინციპებით. არსებობს 2300 ორგანიზაცია და ჟურნალი, რომლებიც რასიზმის გავრცელების წინააღმდეგ საქმიანობენ.[34]

ინგლისში რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი საფეხბურთო მატჩებია. მათ უსაფრთხოებაზე კონტროლს[35] სკოტლანდ იარდის საზოგადოებრივი წესრიგის სამსახურის საფეხბურთო დაზვერვის განყოფილება ანხორციელებს .

საფეხბურთო მატჩების მიმდინარეობის წინ ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე, პოლიციელების მხრიდან ოპერატიულ კონტროლს ექვემდებარება საფეხბურთო სტადიონების ახლომდებარე კაფეები, ბარები და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები, რომლის მიზანია სხვადასხვა კლუბების გულშემატკივარებს შორის ურთიერთობისას რასისტული გამოვლინებების აღკვეთა.

საფეხბურთო მატჩის მიმდინარეობისას, ტრიბუნების

34.„Европейская Неделя Действий Против Расизма“. www.unitedagainstracism.org

35.„Как работает английская футбольная полиция?“. www.sports.ru;

სრული ვიდეომონიტორინგის პირობებში, 2 დეტექტივი ოპერატიულ საქმიანობას ანხორციელებს ფეხბურთის გულშემატკივრებში.

რასიზმის გამოვლინების შემთხვევაში, პირთა დაკავება საფეხბურთო მატჩების შესვენებებზე ან მათი დასრულების შემდგომ ხორციელდება. სწორად აწყობილი სტრუქტურა წარმატებულად ვითარდება.

მხოლოდ ორი მწირი ინფორმაციის შემცველი ფაქტის მიმოხილვა გამოთქმულ მოსაზრებას კიდევ უფრო გაამყარებს.



2013 წლის ოქტომბერში, რასობრივი საზოგადობრივი წესრიგის დარღვევისათვის, როგორც ეჭვმიტანილი საფეხბურთო კლუბის „ვესტ ჰემ იუნატედის" ორი გულშემატკივარი დააკავეს.[36]

რასისტული გამოვლინებების აღსაკვეთად ბრიტანული პოლიცია აქტიურად იყენებს სატელევიზო მატჩების ვიდეო ანალიტიკის მეთოდსაც.

2012 წლის ნოემბერში საფეხბურთო კლუბის სანდერლენდის გულშემატკივარის მიმართ რასისტული (მაიმუნის იმიტირება) ჟესტიკულაციის გამო ბრიტანეთის პოლიციამ გამოძიება დაიწყო.[37] გამოდის, რომ რასობრივი წესრიგის უზრუნველყოფისას, სატელევიზიო მატჩების ვიდეო-ანალიტიკის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოება რასისტული ჟესტიკულაციის კლასიფიკატორის არსებობაა.

36.„West Ham United supporters arrested for racist abuse in Premier League defeat to Chelsea at Stamford Bridge". www.telegraph.co.uk;


37.„Английская полиция снова расследует проявление расизма". (სურა-თიც იგივე წყაროდან) http://football.ua;

ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის ისტორიიდან

აშშ-ის პოლიციური სისტემა ინგლისის იმავე სისტემის ანალოგიით შეიქმნა. XIX საუკუნემდე საპოლიციო სისტემას ოლქში შერიფები მართავდნენ, რომელთაც მოადგილეები ჰყავდათ. მათ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში მარშლები, კონსტებლები და ღამის გუშაგები ეხმარებოდნენ.

კონკრეტული საპოლიციო დავალების შესასრულებლად შერიფს სპეციალური რაზმები შექმნა შეეძლო. როგორც ინგლისის შემთხვევაში, აშშ-ის ტერიტორიებისა და მოსახლეობის მასშტაბების ზრდამ დღის წესრიგში უფრო დახვეწილი პოლიციური სისტემის შექმნის აუცილებლობა დააყენა.

სხვადასხვა ეთნოსისა და მრწამსის ადამიანთა მიგრაციულმა პროცესებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ოპერატიულ ვითარებაზე დამანგრეველი ზემოქმედების მქონე ისეთი ქმედებების ინსპირირება გამოიწვია, როგორიცაა:



1838 წელს ბოსტონში, 1844 წელს ნიუ-ორკში, ხოლო 1854 წელს ფილადელფიაში ჩამოყალიბდა და საქმიანობა დაიწყო უნიფორმიანმა პოლიციამ, სადაც არაარჩევითობის გამო

თანამდებობებზე დანიშვნა პოლიტიკური ლიდერების მიერ ხორციელდებოდა.

ამ პერიოდისათვის პოლიციელები არ გამოირჩეოდნენ საკმარისი ცოდნით, აქტიურად მონაწილობდნენ კორუფციულ პროცესებში, მუდმივად ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად იერარქიულ კიბეზე წინსვლის ორგანიზებაზე ფიქრობდნენ.

შესაბამისად, პოლიცია არჩევნების დროს მათი ლობი პოლიტიკოსების გასამარჯვებლად სამსახურებრივ მდგომარეობას აქტიურად იყენებდა, რაც არჩევნებზე საკუთარი ლიდერის წაგების შემთხვევაში სამსახურის დაკარგვის საფუძველი იყო.

ვითარება მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში შეიცვალა და დაასლოებით 50 წელი გაგრძელდა. პოლიციის შედარებით პროფესიონალი კადრებით ჩანაცვლებამ ვითარება დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით დროებით გამოასწორა, თუმცა როგორც პროგრესულად მოაზროვნე ამერიკელები მიიჩნევდნენ, სასელმწიფოს განვითარების ხელშემშლელი ყველაზე მნიშვნელოვანი სენი მასშტაბური კორუფცია კვლავ დაუმარცხებელი რჩებოდა.

ვითარების შესწავლამ აჩვენა, რომ საჭირო იყო პოლიციელებისათვის წაეყენებინათ ახალი სტანდარტები (კარგი ფიზიკური მომზადება, აზროვნების კარგი უნარი). ახალი მოთხოვნების შესაბამისად ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, რომ პოლიციაში მუშაობის მსურველთა ნახევარზე მეტმა წაყენებული მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. დღის წესრიგში კვლავ არაკორუმპირებული და არაპოლიტიზირებული პოლიციის შექმნის აუცილებლობა იდგა.

ვითარების შეცვლის მიზნით, გასული საუკუნის 30-40-იან წლებში საპოლიციო სტრუქტურების ნორმალური ფუნქციონირებისათვის, მეცნიერების და პროფესიონალი პრაქტი-

კოსებისაგან შეიქმნა კანონის აღსრულების ეროვნული კომისია.

პრობლემის მოგვარებისადმი მეცნიერულმა მიდგომებმა ვითარება თანდათანობით გამოასწორა, თუმცა გასული საუკუნის 60-იან წლებში სამოქალაქო პროტესტის და აჯანყების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა, რაშიდაც საბჭოთა კავშირის სადაზვერვო სამსახურების (შესაბამისად აშშ-ის კონტრსადაზვერვო [მათ შორის პოლიციური] სამსახურების საქმიანობის დაბალი ხარისხით საქმიანობის) როლი მნიშვნელოვანი იყო რომლის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ. ამ ვითარებას ხელი შეუწყო, სადაზვერვო მიზნებისათვის ხელსაყრელი ვითარების არსებობამ, როდესაც დეცენტრალიზაციის მსურველი შტატების მმართველებსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ადგილი ჰქონდა ხანგრძლივ კონფლიქტს.

საბოლო ჯამში, სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფ ძირითად მიმართულებებზე (მათ შორის პოლიციურ სტრუქტურებში) სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ბალანსის დაცვა შესაძლებელი გახდა. ჩამოყალიბდა და დღემდე წარმატებით საქმიანობენ პოლიციური სეგმენტები:

საოლქო შერიფის საპოლიციო ინსტიტუტი ანხორციელებს წესრიგის (მათ შორის სასიცოცხლო და სტრატეგიული ობიექტების) დაცვას მუნიციპალიტეტების არ მიკუთვნებულ ტერიტორიებზე, ამასთან ერთად, კრებენ და აანალიზებენ ინფორმაციებს გადასახადების დაწესება-აკრების შესახებ და სხვა.


მუნიციპალური საპოლიციო ინსტიტუტი 24 საათიან რეჟიმში პატრულირებასთან, დეტექტიურ და მასთან თავსებად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ფუნქციის შესრულებასთან ერთად, შეისწავლის მოქალაქეთა პრობლემებს, აძლევს მათ სათანადო რჩევებს.

სპეციალური დანიშნულების საპოლიციო ინსტიტუტი შედგება სატრანზიტო, აეროპორტების, საზოგადოებრივი შენობების (სკოლების და პარკების) დაცვის ქვედანაყოფებისაგან.

პირადი დაცვის პოლიციური სამსახური ანხორციელებს საკურიერო მომსახურებას, სიგნალიზაციის სისტემების მონტაჟსა და კონტროლს, პატრულირებას.

პოლიციის ჩამოყალიბების და საქმიანობის წარმატების უზრუნველყოფას ხელი შეუწყო საზოგადოების სახელმწიფოებრივი აზროვნების და თანადგომის მაღალმა ხარისხმა.

თანამედროვე ამერიკული პოლიციური სისტემის წარმატება განპირობებულია:



ა) გამოძიების ფედერალური ბიურო

კონსტიტუციური წყობილების რღვევის ორგანიზაცია მზვერავი სახელმწიფოსათვის სადაზვერვო, ხოლო დაზვერვას დაქვემდებარებული ქვეყნისათვის კონსტიტუციური წყობილების დაცვა კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

კონტრდაზვერვითი ორგანიზაცია წარმოუდგენელია პოლიციური სამსახურეობის მონაწილეობის გარეშე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში, კონსტიტუციური წყობილების შენარჩუნების უზრუნველმყოფ ერთ-ერთ ძირითად სეგმენტს გამოძიების ფედერალური ბიურო წარმოადგენდა, რომელიც პრეზიდენტმა რუზველტმა 1908 წელს კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა.

ამ ორგანომ „ცივი ომის" პერიოდში საიდუმლო პოლიციის (კონტრსადაზვერვო) ფუნქცია წარმატებით შეითავსა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში.

ისტორიული პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სადაზვერვო სივრცეში საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მმართველ და პერსპექტიულ პოლიტიკურ პარტიებში შეღწევადობა წარმოადგენს.

წარმატებული აგენტურულ-ოპერატიული შეღწევის შემთხვევაში, კონტროლს ექვემდებარება დასაზვერი ქვეყნის სასიცოცხლო ჯაჭვის განმაპირობებელი, არსებული და პერსპექტიული ხელისუფლების წევრები, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფოს საზიანოდ შეუძლიათ მიიღონ მზვერავი ქვეყნების სასარგებლო საკანონმდებლო და აღმასრულებელი აქტები.

ამერიკის შეერთებული შტატებისათვის და კაპიტალისტური სამყაროსათვის, მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელება

სადაზვერვო და კონტრსადაზვევრო ბალანსის მიღწევის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემა გახდა.

„ცივი ომის“ პერიდში გამოძიების ფედერალური ბიუროსათვის მნიშვნელოვანი თავსატეხი საერთაშორისო ასპარეზზე, ახალი პოლიტიკური სუბიექტის საბჭოთა კავშირის გამოჩენამ გაუჩინა.

ამ მოსაზრებას ადასტურებს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის შექმნის პირველ წლებში მსოფლიოში 1700000, 1928 წლისათვის 50 მილიონი, შესაბამისად კაპიტალისტურ ქვეყნებში 1939 წლისათვის 750000, ხოლო 1948 წლისათვის 4800000 კომუნისტი მოღვაწეობდა.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საბჭოთა დაზვერვის ორგანიზებით მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპარტიების დაფინანსების მასშტაბები, შესაძლებელი გახდა კომუნისტური მიმართულების გაზეთების გამოშვება და ტირაჟების, შესაბამისად კაპიტალიზმის წყობის დისკრედიტაციის ფართო რეკლამირების მასშტაბების თანდათანობითი გაზრდა.[38]

ამ პროცესების პარალელურად, საქმიანობისათვის ხელსაყრელ ვითარებაში საბჭოთა სადაზვერვო სამსახურები, ამერიკის შეერთებულ შტატებში წარმატებით ანხორციელებდნენ გადაბირებით ღონისძიებებსაც.

ვითარება კონსტიტუციური წყობილების შენარჩუნების თვალსაზრისით ოპერატიული ვითარება კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, ამერიკის შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მნიშვნელოვანი აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებები განახორციელა აშშ-ში კომუნისტური მოძრაობის სახელმწიფო-

---

38.დ.კუხალაშვილი. „კონსტიტუციური წყობილების რღვევის საფუძვლები ამერიკის შეერთებულ შტატებში და მასთან ბრძოლის მეთოდები“. თბილისი. 2008. გვ.64-67;

სადმი სხვადასხვა ხასიათის დამაზიანებელი ქმედებების შესამცირებლად, რასაც იმ პერიოდისათვის მრავალრიცხოვანი (8000000-მდე წევრი) პროფკავშირულ მოძრაობასთან დაახლოების ფონზე, კომპარტიის ინიცირებით, სოციალური პროტესტების მასშტაბური ინსპირირება მოყვა.

ყოველივე ამან ოპერატიული ვითარება გაართულა და ქვეყნის ეკონომიკა დააზარალა. ამ მიმართულებით ვითარებამ თანდათან კიდევ უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა.

1945 წლის სექტემბერ-დეკემბერში საგაფიცვო მუშა დღეების რაოდენობამ 28000000, ხოლო 1946 წელს 116000000 კაც-დღე შეადგინა.

სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, სხვა მნიშვნელოვან უწყებებთან ერთად, სწორად განხორციელებული აქტიური აგენტურულ-ოპერატიული და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით შეძლო ვითარების განმუხტვა.

ვითარება საბჭოთა დაზვერვის წარმატებული საქმიანობის ფონზე, გასული საუკუნის 50-იან წლებში კვლავ დაიძაბა.

1955 წელს საგაფიცვო მუშა დღეების რაოდენობამ 28000000, ხოლო 1956 წელს 33000000 კაც-დღე შეადგინა.

1960 წლისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში კომპარტიასთან ერთად კვლავ გააქტიურდა:

- პროფკავშირული მოძრაობა;
- შავკანიანთა მოძრაობა;
- ომის საწინააღმდეგო მოძრაობა;

ხოლო 1970 წლისათვის:

- სამეცნიერო ინტელიგენცია;
- სტუდენტური მოძრაობა;
- ქალთა მოძრაობა;
- ფერმერული მოძრაობა;

რომლებთანაც კოორდინირებულად საქმიანობდა კომპარტია. შესაბამისად იზრდებოდა საბჭოთა სადაზვერო-აგენტურული აპარატი.

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის თავიდან ასაცილებლად, ზემოჩამოთვლილი ორგანიზაციების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღმკვეთ აქტიურ, წარმატებულ აგენტურულ-ოპერატიულ და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების ჩატარებას ხელი შეუწყო გამოძიების ფედერალური ბიუროს (რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კონტრსადაზვერვო უწყების ფუნქციაც შეითავსა), ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, თეთრკანიან მოქალაქეთა საბჭოების (500000 წევრი, ფინანსდებოდა 2000000 დოლარით), დეტექტიური (არსებობდა 5000-ზე მეტი ორგანიზაცია, შედგებოდა 150 000 აგენტისაგან, რომლებიც აშშ-ის მონოპოლიური გაერთიანებებისაგან ყოველწლიურად 150000000 აშშ დოლარით ფინანსდებოდნენ)[39] და სხვა ორგანიზაციების კოორდინირებულმა საქმიანობამ.

აგენტურულ-ოპერატიული და ოპერატიულ-სამძებრო ხასიათის წარმატებული ღონისძიებების განხორციელებისათვის, გამოძიების ფედერალური ბიურო თანდათანობით ზრდიდა აგენტურულ აპარატს და კომპეტენციის ფარგლებში დაკავებულ პირთა რაოდენობას.

1940 წლისათვის აგენტურული აპარატის რიცხოვნობამ 898, 1945 წლისათვის 4886 ერთეული შეადგინა, ხოლო ჯაშუშობის, დივერსიის და ანტისახელმწიფოებრივი აგიტაციის ბრალდებით 700-მდე პირის დაკავება გახდა შესაძლებელი.

39.დ.კუხალაშვილი. „კონსტიტუციური წყობილების რღვევის საფუძვლები ამერიკის შეერთებულ შტატებში და მასთან ბრძოლის მეთოდები“. თბილისი. 2008. გვ.129-130;

გამოძიების ფედერალური ბიუროს ოპერატიულ-აგენტურული და ოპერატიულ-საგამოძიებო აქტიური საქმიანობის დამადასტურებელია:

- ✓ 1947 წლიდან სახელმწიფო მოხელეებისა და სახელმწიფო თანამდებობებზე დასანიშნ კანდიდატთა საიმედოობის დადგენის სპეციალური პროცედურის ამოქმედება.

- ✓ 1966-1968 წლებში კომუნისტების საწინააღმდეგოდ „მაფიის" (აშშ-ში მოქმედი „კოზა ნოსტრას" დაჯგუფება 1890 წლიდან ანხორციელებდა რეკეტს, 1920 წლისათვის აკონტროლებდა ინფრასტრუქტურული პროცესების ორგანიზებას, 1940 წლიდან აზარტულ თამაშებს და ნარკობიზნესს) გამოყენების სპეცოპერაცია.

- ✓ 1971 წლისათვის აგენტურულ-ოპერატიული ღონისძიებები, კოდური სახელწოდებით: „შავი ნაციონალისტები", „ზიზღის თეთრი ჯგუფი", „აშშ კომპარტია", ახალი მემარცხენეები" და სხვა.

- ✓ 1955-1975 წლებში ბიუროს მიერ 740000 გამოძიება ჩატარდა.

აგენტურულ ღონისძიებებთან ერთად გამოიყენებოდა ოპერატიული საქმიანობისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები როგორიცაა:

- ➢ კონკრეტული პირის (ან პირთა ჯგუფის) მიმართ სატელეფონო საუბრების მოსმენა-ჩაწერა;

- კორესპონდენციის ცენზურა;

- დისკრედიტაცია;

ამ პერიოდისათვის, კონტრსადაზვერვო შეღწევადობის მაღალი დონე, მიღწეული იქნა პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებში და საზოგადოებრივ ჯგუფებში აგენტურული უზრუნველყოფით.


აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზაციაში პოლიციურ სტრუქტურებს მნიშვნელოვანი როლი ეკავათ და უკავიათ დღესაც.

ისინი საკუთარი სახელმწიფოს სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სექტორების ნორმალური დაბალანსებური ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ დღესაც.

მსოფლიოსათვის დღესაც სამაგალითოდ უნდა იყვეს მიჩნეული, ჯერ კიდევ „ცივი ომის" პირობებში ეროვნული უსაფრთხოების (მათ შორის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო, პოლიციური სტუქტურების წარმატებული საქმიანობის) ორგანიზაციის მიზნით ჩამოყალიბებული, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სქემის[40]ორგანიზება.

სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების მუდმივი პროცესის უზრუნველმყოფი სახელმწიფო და კერძო სექტორის, აგრეთვე სამეცნიერო დაწესებულებების სიმბიოზი, რომელიც პრაქტიკულად დღემდე წარმატებულად მოქმედებს და საერთაშორისო არენაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფოს დომინანტის როლს მნიშვნელოვნად განაპირობებს.

40.დ.კუხალაშვილი. „სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის სამსახურში". თბილისი. 2004. გვ.3-14;



ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სეგმენტის ორგანიზაციული სქემა

ბ) ფინანსური აფიორების ორგანიზაციის ისტორიიდან აშშ-ი.

საერთაშორისო ასპარეზზე, ბოლო 100 წლის განმავლობაში პრაქტიკულად სტაბილურად დომინანტის როლში მოღვაწე სახელმწიფოს ამერიკის შეერთებული შტატების წარმატებული საქმიანობა დამყარებულია აქტიურ სადაზვერვო საქმიანობაზე, რაც ეროვნული ინტერესების სასარგებლო ქმედებების სწორი სტრატეგიის განსაზღვრას უზრუნველყოფს. სტრატეგიის განსაზღვრას წინ უსწრებს ღრმა ანალიტიკურ-მეცნიერული საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამა თუ იმ სექტორზე მოსალოდნელი საფრთხეების განსაზღვრა. ამ მიმართულებით საყურადღებოა კვლევა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებზე საერთაშორისო დანაშაულის ზეგავლენას ასახავს.

კვლევის მიხედვით, სახელმწიფოსათვის საშიშროებას წარმოადგენს ვაჭრობის, ფინანსების დანაშაულებრივი გზით გამოყენების მასშტაბების ზრდა, მათი ორგანიზების ტექნოლოგიის მუდმივი განახლება. ამ გარემომ შესაძლოა დაბადოს კონტრაბანდის, უკანონო ვაჭრობის, ფულის გათეთრების პროცესების მასშტაბური გაზრდის ახალი მექანიზმები. თვლიან (International Crime Control Strategy), რომ საერთაშორისო დანაშაულების ზრდა პირდაპირ უკავშირდება რამოდენიმე ურთიერთდამოკიდებულ უარყოფით ზემოქმედებას, მათ შორის:

- ქვეყნის შიგნით და გარეთ მცხოვრები ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა სასიცოცხლო და სოციალურ ინტერესებს.
- ამერიკის შეერთებული შტატების ბიზნესის, ფინანსურ ინტერესებს (მათ შორის ამერიკული პრო-

დუქციის კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით);

თანამედროვე ეტაპზე ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური დანაშაულის დროული გამოვლენისა და აღკვეთისათვის, აგენტურულ-ოპერატიულ, ოპერატიულ-ოპერაციულ ღონისძიებებს სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვან სტრუქტურებთან ერთად ანხორციელებენ: აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს შიდა შემოსავლების სამსახური, საგადასახადო პოლიცია, საიდუმლო სამსახური (რომლის კომპენტენციაში სხვა საკითხებთან ერთად, ყალბი ფულადი ერთეულების დამზადება-გასაღების წინააღმდეგ ბრძოლა შედის).[41]

ფინანსური აფიორების ისტორიული ფაქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ორგანიზაციისათვის ცალკეული პირები თუ პირთა ჯგუფები კონკრეტული მიზნების გამჟღავნების ან მის გარეშე მნიშვნელოვან სამუშაოებს ანხორციელებენ.

სანდო პირების მეშვეობით ქმნიან რა, დანაშაულის მაორგანიზებელ ჯგუფს, შეისწავლიან განსახორციელებელი დანაშაულის ობიექტებს.

ამასთან ერთად, მნიშვნელოვანი (მათ შორის საიდუმლო) მონაცემების მოსაპოვებლად, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში, ფინანსური დაინტერესებით, ან შანტაჟით სათანადო გადაბირებითი ურთიერთობები აქტიურად მიმდინარეობს.

ფაქტობრივად, დანაშაულებრივი მოქმედების განმხორციელებელი ჯგუფების სეგმენტალური და ქვესეგმენტალური დაყოფით ხორციელდება ე.წ. ფინანსური პირამიდების აგების ორგანიზაცია.

41.„ПРОГРАММА ПРАВОВЫХ ИНИЦИАТИВ ДЛЯ СТРАН ЦЕНТРАЛЬ-НОЙ И ВОСТОЧНОЙ ЕВРОПЫ. (АМЕРИКАНСКАЯ АССОЦИАЦИЯ ЮРИСТОВ)". Москва 1998. ст.8.;

პირამიდის შემქმნელებს განხორციელებული დანაშაულებიდან ე.წ. დაძრომის უზრუნველსაყოფად, დიდი ფინანსური შესაძლებლობის გამო დაქირავებული ჰყავთ ძვირადღირებული ადვოკატები. სწორედ ამიტომ, ფინანსური აფიორების დანაშაულის გახსნის, მასში მონაწილე ყველა სუბიექტის დადგენა საკმაოდ რთული პროცესია, რომლის გადასაწყვეტად, სპეცსამსახურებთან ერთად პოლიციური სამსახურები უმეტეს შემთხვევაში აქტიურად მონაწილეობენ.

საკითხი აქტუალურია იმ თვალსაზრისით, რომ დანაშაულის ორგანიზება უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო მასშტაბებსაც აღწევს და კომპრომენტაციის თვალსაზრისით ამ პროცესის სადაზვერვო მიზნებით გამოყენებას აადვილებს. მიმოვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი.

ბერნარდ მედდოფმა გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნა კომპანია „Madoff Investment Securities" და თანდათანობით შეძლო ადამიანთა და საინვესტიციო კომპანიების მნიშვნელოვან ნაწილზე დადებითი იმიჯის შექმნით ზემოქმედება, რაც ნდობის მოხვეჭით, კომპანიაში მოქალაქეთა მხრიდან მნიშვნელოვანი შენატანების დაგროვების საშუალება გახდა. 2008 წლის დეკემბერში მედდოფმა აფიორული სქემის (Ponzi) ამუშავებით კლიენტები დაახლოებით 20 მილიარდი დოლარით მოატყუა.[42] ამ ქმედებით გაკოტრდა, როგორც აშშ-ის, ისე უცხო სახელმწიფოთა მოქალაქეები, რაც იმას ნიშნავს, რომ გაკოტრებულ მოქალაქეთა სახელმწიფოებს მიადგათ ეკონომიკური ზიანი და შეიქმნა სოციალური ფონის დამძიმების პირობები.




42.„The Madoff Recovery Initiative". (მედდოფის ფოტოც იმავე წყაროდან) www.madofftrustee.com;

2001 წელს ფინანსური აფიორის გამო გაკოტრდა ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული კომპანია „Enron“, რომლის ფინანსური აქტივები 47,7 მილიარდ აშშ დოლარად იყო შეფასებული. კომპანიის ხელმძღვანელების ჯეფი სკილინგისა და ენდრიუ ფასტოვის მიერ,[43] ორგანიზებული იყო წამგებიანი საწარმოს შესყიდვა, რის შედეგადაც კომპანია 40 მილიარდი აშშ დოლარით დაზარალდა.



შიდა სამსახურეობრივი ინფორმაციის გაყიდვისათვის ნიუ-იორკის სასამართლოს მიერ[44] ორ წლიანი პატიმრობა და 5000000 დოლარის გადახდა დაეკისრა ამერიკული კომპანიის „გოლდენ საქსისა“ და რუსეთის „სბერბანკის“ დირექტორთა საბჭოს ყოფილ წევრს რ. გუფთას.



ჩამოთვლილი მაგალითები პოლიციური სამსახურების მხრიდან, ფინანსური აფიორების დროული გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით წინასწარ დაგეგმილი და განხორციელებული აგენტურულ-ოპერატიული და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დაბალ მაჩვენებლებზე მიანიშნებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს გააჩნია ამ დანაშაულის დროული გამოვლენისა და აღკვეთის მეთოდოლო-

43.„Самые крупные финансовые аферисты“. (ჯეფი სკილინგისა და ენდრიუ ფასტოვის ფოტოც იმავე წყაროდან) www.molomo.ru;

44.„Самые крупные финансовые аферисты“. (რ.გუფთას ფოტოც იმავე წყაროდან) www.molomo.ru;

გია, რომელშიაც გათვალისწინებულია პოლიციის მხრიდან ისეთი ქმედებების ორგანიზაცია, როგორიცაა:

- ობიექტების ან მიმართულების მიხედვით საკუთარ სახელმწიფოში, საერთაშორისო არენაზე ფინანსურ სფეროში მოღვაწე კომპანიათა, იქ დასაქმებულ პირთა, როგორც პერსონალური, ისე საქმიანობის მიზნების და ქმედებების პროგნოზირებადი შედეგების განმსაზღვრელი ბაზების და სისტემების ჩამოყალიბება, განახლების სისტემურობა;
- აშშ-ის სახელმწიფო ინტერესებთან არათანხვედრილ სახელმწიფოებთან და ფინანსურ სეგმენტებთან არსებული ან დასამყარებელი კავშირების რისკების განმსაზღვრელი, მუდმივად სრულყოფას დაქვემდებარებული ანალიტიკური მონაცემების, სათანადო კლასიფიკატორის განახლების სისტემატიურობა;
- მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველმყოფი, პრაქტიკაში სისტემატიურად წარმატებით გამოყენებადი კანონმდებლობა.

გ) ამერიკის შეერთებულ შტატებში რელიგიის (სექტების) საფარქვეშ კრიმინალის ორგანიზაციის ისტორიიდან

უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო სამსახურების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას რელიგიური შპიონაჟი წარმოადგენს, რაც რელიგიურ სივრცეში აგენტურულ-ოპერატიულ შეღწევადობას გულისხმობს. მისი ძირითადი ნიშნებია:

- რელიგიურ დაჯგუფებებს შორის კონფლიქტების ინსპირირება;
- რელიგიური შეუწყნარებლობის შესახებ სახელმწიფოს პროპაგანდისტული, დაუსაბუთებელი კომპრომენტირება სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო არენაზე;
- მცირე პროტესტიდან მასტაბური პროტესტის ინსპირირება;
- მასშტაბური პროტესტის მასშტაბურ არეულობაში გადაზრდის ინსპირირება;
- მასობრივი არეულობით სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების რღვევა;

რელიგიის საფარქვეშ კრიმინალის ორგანიზაციასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებში, რადგან:

- ამ სახელმწიფოში ყოველწლიურად, მუდმივი ცხოვრების კანონიერ უფლებას ერთ მილონამდე, სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის და რელიგიური მრწამსის ადამიანი იღებს.
- თუ 1985 წლისათვის სახელმწიფოში 417 რელიგიური სექტა იყო. უკვე, 1995 წლისათვის 600 ახალი რელიგიური მოძრაობა წარმოიქმნა, რომელთა

საერთო რაოდენობა 150-200 ათას მიმდევარს ითვლიდა.[45]

მიმოვიხილოთ რელიგიის საფარქვეშ კრიმინალის ორგანიზაციის რამოდენიმე მიმართულება.

-1978 წლის ნოემბერში[46] რელიგიური სექტის „ხალხთა ტაძარი" მქადაგებელმა ჯიმ ჯონსმა თავისი ქადაგებებით მასიურად, 900 მეტი სექტანტი მიიყვანა შხამის გამოყენებით სიცოცხლეზე უარის თქმის პროცედურის ნებაყოფილებით შესრულებაზე.

ამ საგანგებო ინციდენტამდე, ჯონსი სექტის რაოდენობრივი ზრდის და ზეგავლენის უზრუნველსაყოფად:

- გასული საუკუნის 60-იან წლებში ქადაგებს სოციალიზმს;
- 70-იან წლებში კარიბის კრიზისის პირობებში არწმუნებს მოსახლეობას, რომ ატომური კატასტროფა გარდაუვალია, რაც აშშ-ს გაანადგურებს და მხოლოდ მას შეუძლია ყველას გადარჩენა.
- ქადაგებს, რომ ყველა მამაკაცი მიდრეკილია ჰომოსექსუალიზმისაკენ;
- წარმატებულად არწმუნებს სექტანტებს, რომ მათ ხელთ არსებული ყველა დანაზოგი და კუთვნილი ქონება სექტას უნდა დაუთმონ;
- ფსიქოლოგიურად ზემოქმედებს სექტანტებზე, თუ ისინი დატოვებენ სექტას სიკვდილით დაიჯებიან;

-რელიგიური სექტა „ამიშები" მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს საფრანგეთში შეიქმნა. რელიგიური სექტათა აბსოლიტური უმრავლესობის განვითარების ისტორიის მსგავსად,

---

45.И.Я. Кантеров. „Новые религиозные движения в США и России". http://opasnostnovbug.ucoz.ru;

46.„On This Day: Over 900 Peoples Temple Members Commit Suicide at Jonestown." by finding Dulcinea Staff. November 18, 2011 05:00 AM. www.findingdulcinea.com;

ამერიკის შეერთებულ შტატებში „ამიშების“ განდევნა მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისშივე ხელისუფლების მიერ მიერ იყო ორგანიზებული. 300-მდე სექტანტი სამხრეთ ამერიკაში მოხვდა, საიდანაც მათი მნიშვნელოვანი ნაწილი აშშ-ში გადაადგილდა. უკვე, 2011 წლის მდგომარეობით, მარტო პენსილვანიის შტატში სექტანტთა რიცხოვნობამ 61000 მიაღწია.[47]

2011 წლის განმავლობაში სექტანტებს შორის კონფლიქტის ფონზე, ოჰაიოს შტატში სექტის ერთ-ერთმა ლიდერმა სამოელ მალეტმა[48] საკუთარი სექტის წევრებისაგან ახალი რელიგიური სექტა ჩამოაყალიბა, რომლის საკადრო შევსებისათვის რამოდენიმეჯერ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ფიზიკურ შეურაცყოფას დაუქვემდებარა ყოფილი სექტის წევრები. მისი ორგანიზებით 16 კაციანი ჯგუფი ღამის საათებში ანხორციელებდა თავდასხმებს სექტანტებზე, რომლებსაც აჭრიდნენ მოზრდილ თმებს და წვერებს (ადგილი ჰქონდა ფაქტს, როდესაც განხორციელებული ქმედების დასადასტურებლად მოჭრილი თმა მოთავსდა კონვერტში სექტის ხელმძღვანელისათვის გადასაცემად), რასაც მათთვის რელიგიურ-სექტანტური დატვირთვა ჰქონდა.

ამ ფაქტების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგიური კონფლიქტის ინსპირირების, გაფართოების, ოპერატიული ვითარების დაძაბვის თავიდან ასაცილებლად, რელიგიურ სექტაში, პოლიციის მხრიდან კანონის ჩარჩოში მოქცეული ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობა, ინფორმაციული პროცესის უზრუნველყოფის, მისი სრულყოფის

47.„В США вынесен вердикт секте "брадобреев-насильников", которые терроризировали общину амишей“. http://newsru.com;

48.„Four arrested in Amish-on-Amish religious attacks sparked by internal feud in Ohio community“. By SHARON CHURCHER and THOMAS DURANTE UPDATED: 02:33 GMT, 9 October 2011. www.dailymail.co.uk;

მუდმივი პროცესის ორგანიზება მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა.

ყოველივე კი სახელმწიფოში რელიგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ქვემოჩამოთვლილი სექტები სექსუალურ ძალადობას ანხორციელებდენ არასრულწლოვანებზე:

- **„ეკლესია უფალი ჩვენი კეთილის შემომქმედი"**

(2008 წლის მდგომარეობით, ნიუ-მექსიკოს შტატში სექტანტები ცხოვრობდნენ შორეულ რანჩოზე ე.წ. „მყარ ქალაქში" და სექტის ლიდერი (66 წლის) ქადაგების პარალელურად აიძულებდა სექტანტებს შიშველი დაწოლილიყვნენ მასთან. სექტის ლიდერმა ზოგიერთ მათგანთან (სამ გოგონასთან) დაამყარა სექსუალური კონტაქტები, ხოლო პოლიციის მიერ განხორციელებული ოპერაციის შედეგად რანჩოზე მოტაცებული სამი ბავშვი [ერთი ბიჭი და ერთი გოგონა]აღმოჩნდა);[49]

- **„მორმონები"**

(ქადაგებენ მრავალცოლიანობას და არასრულწლოვანთა ქორწინებას. 2008 წელს პოლიციის მიერ განხორციელებული ღონისძიების დროს, სექტის კუთვნილ ერთ-ერთ ფერმაში დაფიქსირდა 463 არასრულწლოვანი, რომელთა შორის 14-17 წლამდე 31 გოგონა ფეხმიმედ იყო, ან უკვე დაბადებული ყავდა შვილი);[50]

განხილულ საგანგებო ინციდენტების, აგენტურულ-ოპერატიული ღონიძიებების მაორგანიზებელი ჯგუფის მხრიდან, წარმატებული აგენტურულ-ოპერატიული ვითარების

---

49. „Police take kids from apocalyptic church".The Associated Press. April. 30, 2008. http://clubadventist.com;

50.„Police take kids from apocalyptic church".The Associated Press. April. 30, 2008 http://clubadventist.com;

მიღწევის წინაპირობებია, ღია და დახურული საშუალებებით:

- ✓ რელიგიური სექტის ისტორიული საფუძვლების შესწავლის პროცესის უზრუნველყოფა;
- ✓ რადიკალური რელიგიური სექტის მოქმედების გეოგრაფიული კოორდინატების დადგენა (ამ მიზნით სასურველია სახელმწიფოს მხრიდან გამჭირვალე რეგისტრაციის პროცესების ვალდებულება არსებობდეს);
- ✓ რადიკალური რელიგიური სექტის რიცხოვნობის, ზრდა-შემცირების (გამომწვევი მიზეზების დადგენით) მიზეზების შესწავლა, როგორც საერთო, ისე გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით;
- ✓ რადიკალური რელიგიური სექტების შემადგენლობა, გავლენიანი ლიდერები და ფიგურები (მათი ფსიქოლოგიური პორტრეტები, ქადაგებები, დამოკიდებულებები და ა.შ) კონტროლი;
- ✓ რადიკალური სექტის შიგნით, სექტასა და სახელმწიფო სექტორს შორის ძალადობრივი კონფლიქტების, მათი ხასიათის, მონაწილეების, მხარდამჭერების, დამფინანსებლების შესწავლა და ა.შ;

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

საერთაშორისო ასპარეზზე დომინანტის, ან მისი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნის სტატუსის მიღება შესაძლებელია საკუთარ სახელმწიფოებში ეროვნული უსაფრთხოების მაღალი დონით უზრუნველყოფით და მისი შემადგენელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმის ოპერატიული ვითარების მუდმივი სტაბილურობის შენარჩუნებით.

არსებული ოპერატიულ ვითარებაზე ზემოქმედების

კრიტერიუმებს მოსახლეობის ზრდადობა-შემცირება, პოლიციისა და სპეცსამსახურების შესასრულებელ მოვალეობათა ზრდა-გამიჯვნის პროცესების სწორი დაგეგმარება და განხორციელება, აგრეთვე სხვა პროცესები წარმოადგენს;

პოლიციის და პოლიციელის იმიჯის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან კრიტერიუმებს კარგი უნიფორმით აღჭურვა, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მყარი დისციპლინის, მუქარებსა და პირადი შეურაცხყოფისაგან თავშეკავების მაღალი კულტურის არსებობა წარმოადგენს;

სახელმწიფოთა სადაზვერვო ინტერესებში უცხო ქვეყნების პოლიციურ სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის შეკრება, ანალიზი, ამ და სხვა მიზნებისათვის გადაბირება და მეცნიერული შესწავლა შედის;

დასაზვერი ქვეყნის კონსტიტუციური წყობილების დამხობა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მოშლა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევის მიღწევა შესაძლებელია ეროვნებათშორისი ურთიერთობების ძირის გამოთხრით, ეროვნული, ეთნიკური და კუთხური შუღლის, სეპარატიზმის გაღვივებით.

სახელმწიფოში ექსტრემისტული გამოვლინებების მასშტაბურობა, საერთაშორისო არენაზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასთან ერთად, სახელმწიფოში უარყოფითი ოპერატიული ვითარების ინსპირირებას, სხვადასხვა სახის ორგანიზებული დანაშაულების განვრცობის ხელშეწყობას უკავშირდება.

ექსტრემისტული ორგანიზაციების, ექსტრემისტული ქადაგებების, მოსალოდნელი საგანგებო შედეგების თავიდან ასაცილებლად, არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო, ექსტრემისტი სასულიერო პირების ციხეებში, უნივერსიტეტებში შეღწევების აკრძალვას აწესებს;

ექსტრემისტული ძალადობის შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო ინტერნეტის (სოციალური ქსელების და ელექტრონული ფოსტების) მკაცრ კონტროლს უზრუნველყოფს.

არსებობს პრაქტიკა, როდესაც პოლიციის აგენტურულ-ოპერატიულ კონტროლს ექვემდებარებიან პოტენციალური ექსტრემისტები, აგრეთვე ექსტრემისტული მიმართულების საზოგადოებრივი მოძრაობები. სათანადო კონტროლის უზრუნველყოფისათვის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაში ე.წ. ფასიანი აგენტურული მომსახურება, პოლიციის თანამშრომელთა საფარქვეშ საქმიანობა, შესწავლის ობიექტების მოსმენები გამოიყენება;

რასიზმის გავრცელება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე დამანგრევლად მოქმედი გარემოებაა. რასიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან ერთად წარმატებით გამოიყენება პროპაგანდისტული საქმიანობა.

არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო საფეხბურთო მატჩებზე რასიზმის გამოვლინების კონტროლს პოლიციური სტრუქტურის საფეხბურთო დაზვერვის განყოფილების მეშვეობით ანხორციელებს.

საფეხბურთო მატჩების დაწყებამდე, ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე, პოლიციელების მხრიდან ოპერატიულ კონტროლს ექვემდებარება საფეხბურთო სტადიონების ახლომდებარე კაფეები, ბარები, სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები, რათა სხვადასხვა კლუბების გულშემატკივარებს შორის ურთიერთობისას აღკვეთილი იყოს რასისტული გამოვლინებები. ამასთან ერთად, საფეხბურთო მატჩის მიმდინარეობისას, ტრიბუნების სრული ვიდეო-მონიტორინგის პირობებში, დეტექტივები ოპერატიულ საქმიანობას ანხორციელებენ საფეხბურთო გულშემატკივრებში და რასიზმის გამოვლინე-

ბის შემთხვევაში პირთა დაკავება საფეხბურთო მატჩების შესვენებებზე, ან მათი დასრულების შემდგომ ხორციელდება.

სხვადასხვა ეთნოსის, მწამრსის ადამიანთა მიგრაციული და ემიგრაციული პროცესები, სახელმწიფოში ოპერატიულ ვითარებაზე დამანგრეველი ზემოქმედების მქონე ისეთი ქმედებების ინსპირირებას იწვევს, როგორიცაა: სხვადასხვა ეთნოსისა და მწარმსის ადამიანებს შორის ურთიერთ აუტანლობა მტრობა და შუღლი, სოციალური ვითარების გაუარესება, სოციალური მღელვარება;

პოლიციური სისტემის წარმატებული საქმიანობის მიღწევის ძირითად პირობებს, სწორი საკადრო ორგანიზაცია, პირადი შემადგენლობის სისტემატიური კონტროლი (მათ შორის პირადი უსაფრთხოების თვალსაზრისით), სხვადასხვა ფუნქციების მქონე დანაყოფებს შორის მჭიდრო კორდინაცია, პრობლემების სისტემატიური აღრიცხვა-ანალიზი და მეცნიერული კვლევა წარმოადგენს.

კონსტიტუციური წყობილების რღვევის ორგანიზაცია სადაზვერვო ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომლის ორგანიზების მნიშვნელოვან სეგმენტებად პოლიტიკურ პარტიებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, პროფკავშირებში და ა.შ. სადაზვერვო შეღწევადობაა მიჩნეული.

ამ სეგმენტებზე სადაზვერვო შეღწევადობით შესაძლებელია კონფლიქტების, მასობრივი პროტესტების, მასობრივი არეულობების, შეიარაღებული კონფლიქტების ინსპირირება და მართვა.

აღნიშნული საფრთხის დროული გამოვლენის, აღკვეთის მიზნით არსებობს პრაქტიკა, რომლის დროსაც პოლიციურ კონტროლქვეშ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დეტექტიური ორგანიზაციები სახელმწიფოსადმი მოსალოდნე-

ლი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად კოორდინირებულად თანამშრომლობენ.

არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის თავიდან ასაცილებლად, აგენტურულ შეღწევადობას ანხორციელებენ: პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებში, საზოგადოებრივ ჯგუფებში;

კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის თავიდან ასაცილებლად არსებობს პრაქტიკა, როდესაც პოლიციური დანაყოფები ანხორციელებენ:

-სახელმწიფო მოხელეების საიმედოობის დადგენას სპეციალური პროცედურებით;

-სახელმწიფო თანამდებობებზე დასანიშნ კანდიდატთა საიმედოობის დადგენას სპეციალური პროცედურებით;

არსებობს პრაქტიკა, როდესაც სახელმწიფო კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი რღვევის თავიდან ასაცილებლად, ოპერატიული საქმიანობის პროცესში იყენებს ისეთი ღონისძიებებს როგორიცაა:

-კონკრეტული პირის (ან პირთა ჯგუფის) მიმართ სატელეფონო საუბრების მოსმენა-ჩაწერა;

-კონკრეტული პირის (ან პირთა ჯგუფის) მიმართ კორესპონდენციის ცენზურა და დისკრედიტაცია.

ფინანსური აფიორების უზრუნველსაყოფად დანაშაულებრივი მოქმედების განმხორციელებელი ჯგუფების სეგმენტალური და ქვესეგმენტალური დაყოფით ხორციელდება ე.წ. ფინანსური პირამიდების აგების ორგანიზაცია.

პირამიდის შემქმნელებს განხორციელებული დანაშაულებიდან ე.წ. თავის დაღწევის უზრუნველსაყოფად, დიდი ფინანსური შესაძლებლობის გამო დაქირავებული ჰყავთ ძვირადღირებული ადვოკატები, რის გამოც ამ სახის დანა-

შაულობების გახსნის, მასში მონაწილე ყველა სუბიექტის დადგენის პროცესი საკმაოდ რთულია.

პრობლემის გადასაწყვეტად, სპეცსამსახურებთან ერთად პოლიციური სამსახურები უმეტეს შემთხვევაში აქტიურად, მჭიდრო კოორდინაციით მოღვაწეობენ.

ფინანსური აფიორები გაკოტრებულ მოქალაქეთა სახელმწიფოების ეკონომიკური ზიანს უკავშირდება, იგი სოციალური ფონის დამძიმების პირობა შეიძლება გახდეს.

ფინანსური აფიორების დროული გამოვლენის, აღკვეთის მიზნით პოლიციური სამსახურები ანხორციელებენ:

ობიექტების და მიმართულების თვალსაზრისით საკუთარ სახელმწიფოში, საერთაშორისო არენაზე ფინანსურ სფეროში მოღვაწე კომპანიათა, იქ დასაქმებულ პირთა, როგორც პერსონალური, ისე საქმიანობის მიზნების და ქმედებების პროგნოზირებადი შედეგების განმსაზღვრელი ბაზები და სისტემები.

აშშ-ის სახელმწიფო ინტერესებთან არათანხვედრილ სახელმწიფოებთან, ფინანსურ სეგმენტებთან არსებული, ან დასამყარებელი კავშირების რისკების განმსაზღვრელი, მუდმივად სრულყოფას დაქვემდებარებული ანალიტიკური მონაცემები, აგრეთვე სათანადო კლასიფიკატორი;

მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის უზრუნველმყოფი, პრაქტიკაში სისტემატიურად გამოყენებადი უნიკალური კანონმდებლობა მოწმეთა დაცვის შესახებ.

რელიგიური შპიონაჟი რელიგიურ სივრცეში აგენტურულ შეღწევადობას გულისხმობს, რომლის ძირითადი მიზნებია:

-რელიგიურ დაჯგუფებებს შორის კონფლიქტების ინსპირირება;

-რელიგიური შეუწყნარებლობის შესახებ სახელმწიფოს პროპაგანდისტული კომპრომენტირება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე;

-მცირე პროტესტიდან მასტაბური პროტესტის ინსპირირება;

-მასშტაბური პროტესტის მასშტაბურ არეულობაში გადაზრდის ინსპირირება;

-მასობრივი არეულობით სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების რღვევა;

არსებობს რამოდენიმე საუკუნოვანი პრაქტიკა, რომლის დროსაც რელიგიური სექტები სახელმწიფოში ოპერატიული ვითარების დაძაბვის წყაროდ გვევლინებიან.

რელიგიური კონფლიქტის ინსპირირების, გაფართოების, ოპერატიული ვითარების დაძაბვის თავიდან ასაცილებლად, რელიგიურ სექტაში, პოლიციის მხრიდან კანონის ჩარჩოში მოქცეული ოპერატიულ-აგენტურული შეღწევადობა, ინფორმაციული პროცესის უზრუნველყოფის, მისი სრულყოფის მუდმივი პროცესის ორგანიზება მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა. ყოველივე კი სახელმწიფოში რელიგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

რელიგიური უსაფრთხოების კუთხით საგანგებო ინციდენტების, აგენტურულ-ოპერატიული ღონიძიებების მაორგანიზებელი ჯგუფის მხრიდან, წარმატებული აგენტურულ-ოპერატიული ვითარების მიღწევის წინაპირობებია, ღია და დახურული საშუალებებით:

- რადიკალური რელიგიური სექტის ისტორიული საფუძვლების შესწავლის პროცესის უზრუნველყოფა;
- რადიკალური რელიგიური სექტის მოქმედების გეოგრაფიული კოორდინატების დადგენა;

- რადიკალური რელიგიური სექტის რიცხოვნობის ზრდა-შემცირების (გამომწვევი მიზეზების დადგენით) შესწავლა, როგორც საერთო ისე გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით;
- რადიკალური რელიგიური სექტების შემადგენლობა, გავლენიანი ლიდერები და ფიგურები (მათი ფსიქოლოგიური პორტრეტები, ქადაგებები, დამოკიდებულებები და ა.შ);
- რადიკალური სექტის, სექტასა და სახელმწიფო სექტორს შიგნით ძალადობრივი კონფლიქტების, მათი ხასიათის, მონაწილეების, მხარდამჭერების, დამფინანსებლების შესწავლა;

4. გერმანიის პოლიციის ისტორიიდან

გერმანიის პოლიცია

გერმანია უმდიდრესი ისტორიის მქონე სახელმწიფოა, რომელმაც საერთაშორისო ასპარეზზე არაერთხელ გაიბრძოლა დომინანტის როლის მოპოვებისათვის.

თავდაცვისუნარიანობის გასამყარებლად ძველი რომის იმპერია გერმანელებს სასაზღვრო ზონებში[51]ასახლებდა.

ბრძოლისუნარიანობით, მყარი დისციპლინით გამორჩეული გერმანელი ტომების წარმომადგენლები სახელწიფოების ინტერესების დამცველებად, როგორც დაქირავებულები, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში ფიქსირდებიან.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 60 წელს, საბრძოლო გამოცდილებით გამორჩეული გერმანელი დაქირავებულები გალების სამსახურში, ხოლო ჩვენს წელთაღრიცხვამდე 57-53 წლებში კვლავ რომაელთა მხარეს აღმოჩნდნენ.[52]

მაღალი ავტორიტეტის მიღწევა წარმოუდგენელი იქნებოდა საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის შიგნით მყარი პოლიციური, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო სისტემების არსებობის გარეშე. მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ ამ პერიოდი-სათვის მსოფლიოში სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო ქმედებები აქტიურად მიმდინარეობდა, მათ შორის ეს დარგები განვითარებული იყო რომსა[53] და გალებში.

სახელმწიფოს მხრიდან სადაზვერვო, კონტრსადაზვერ-

51.„გემანული ენციკლოპედია".თავისუფალი ქართულენოვანი ენცი-კლოპედია ვიკიპედიიდან. http://ka.wikipedia.org;

52.А.В. Козленко.„Римские войны в Германии(I в. до н.э.–III в. н.э.)". www.xlegio.

53.დ.კუხალაშვილი. „დაზვერვისა და კონტრდაზვერვის ისტორიის საფუძვლები". თბილისი. 2011. გვ.79-109;

ვო აქტივობა კი პოლიციური სეგმენტების წარმატებული საქმიანობის გარეშე წარმოუდგენელია.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 155 წლისათვის გერმანიაში, რომაელთა სტრატეგიული ინტერესების გათვალსწინებით შეიქმნა საზღვრის 80 კმ-იანი მონაკვეთი. იქ განთავსებული იყო საგუშაგოები, რომლის დაცვა პოლიციურ დანაყოფს ევალებოდა.

ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიის ტერიტორიაზე ვაჭრობა კარგად იყო განვითარებული,[54] რაც იმ პერიოდისათვის პოლიციური, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა.

IX საუკუნეში ფრანკთა სახელმწიფოს (იმპერიის) დაშლის შედეგად, ვერდენის ხელშეკრულების შესაბამისად, გერმანულმა ტომებმა-საჰერცოგოებმა მიიღეს ერთი სამეფოს ქვეშ თანაცხოვრების საშუალება. მიუხედავად თანაცხოვრების დიდი პერიოდისა, გერმანული ტომები განსხვავდებოდნენ, როგორც შემადგენლობით, ისე ენით და ფეოდალური ურთიერთობების განვითარების დონით, რაც ოპერატიული ვითარების დაძაბვის საფუძველი იყო.

მსხვილი ფეოდალები სამეფო ხელისუფლების მიმართ აჯანყებებს ხშირად აწყობდნენ.[55]ყოველივე კი აგენტურულ-ოპერატული თვალსაზრისით (სამეფო ხელისუფლების მიმართ, საჰერცოგოებში არსებული განწყობების, დამოკიდებულებების შესახებ ოპერატიული ინფორმაციის არ არსებობა, ან არსებობა, მასზე არასათანადო რეაგირება) პოლიციური სისტემების მუშაობის სისუსტეზე მიანიშნებს.

54.„История Германии. Германия до X века". www.smirnova-tatjana.ru;
55.„DEUTSCHE GESCHICHTE. DIE ENTSTEHUNG UND FRÜHE ENTWICKLUNG DES »REICHS DER DEUTSCHEN«". http://universal_lexikon.deacademic.com;

ამ ვითარების გახანგრძლივებას ხელი შეუწყო XI საუკუნეში კათოლიკური ეკლესიის პაპებსა და მეფეებს შორის კონფლიქტებმა (რაც ერთმანეთზე ზეგავლენის მოხდენას ემსახურებოდა), გერმანელი იმპერატორების იტალიაში (რომის პაპსა და ადგილობრივ ფეოდალებს შორის კონფლიქტების ინსპირირების, ან ინსპირირებულის კიდევ უფრო გამძაფრების მიზნით) სისტემატიურმა ყოფნამ.

შუა საუკუნეებში, ევროპულ სახელმწიფოებში პოლიციური სტრუქტურების ჩამოყალიბების ისტორია გამოირჩევა პარალელიზმით გამოირჩევა. ასეთი სტრუქტურების განვითარება პირველ ეტაპზე ქალაქებში ხორციელდებოდა.

საერო და სასულიერო ხელისუფლების მიერ ინსპირირებულ კონფლიქტებში მონაწილეობის გარდა, პოლიციური სამსახურების საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

შუა საუკუნეებში გერმანიის პოლიციური სტრუქტურები უზნეობას ებრძოდნენ.

სოფლის პოლიციის („Knabenschaften“) მოვალეობაში სოფლებში ზნეობრივი მდგომარეობის კონტროლი, დარღვევების ირგვლივ აქტების შედგენა შედიოდა.

სამხრეთ გერმანიაში ღირსების შემლახველი ქმედებების ჩადენისათვის, დამწაშავეს ქალაქი მეძავების ეკიპაჟთან ერთად უნდა გაევლო.

XII საუკუნის ბოლოს გერმანიაში ოპერატიული ვითარება დამძიმდა, რომლის გამომწვევი ძირითადი მიზეზი დანაშაულის ზრდა იყო, რომელსაც დეზერტირები, ყოფილი ჯარისკაცები, ემიგრანტები ჩადიოდნენ. განსაკუთრებულ საპოლიციო ზედამხედველობას სწორედ ამ ფენის წარმომადგენლები დაექვემდებარნენ.

XII-XV საუკუნეებში პოლიციის მხრიდან ბრძოლა გააქტიურდა ოპერატიულ ვითარებაზე უარყოფითად მოქმედი ისეთი კანონდარღვევის წინააღმდეგ, როგორიც მეძავეობა იყო. ამ პერიოდისათვის არსებობდა ლეგალური და არალეგალური მეძავთა სახლები,[56] სადაც დაოჯახებულ მამაკაცებს, სასულიერო პირებს შესვლა ეკრძალებოდათ. მეძავეობა მკაცრ პოლიციურ კონტროლს ექვემდებარებოდა. არსებული კანონით აკრძალული იყო მეძავებთან უცხოელების (მათ შორის ებრაელების, თურქების)[57] კონტაქტები.

XIV-XV საუკუნეებში მეძავებზე საპოლიციო ზედამხედველობის გამკაცრების მიზნით, მეძავებისათვის არსებობდა სპეციალური ტანსაცმლის ჩაცმის ვალდებულება.

XVI-XVII საუკუნეებში გერმანიის საიმპერატორო კარზე პოლიციის მოვალეობად საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა იყო მიჩნეული, რომელიც უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლასაც გულისხმობდა. ამ პერიოდისათვის ფოსტა და ბეჭდვითი ორგანოებიც პოლიციურ კონტროლს ექვემდებარებოდნენ.


56.„Prostitution in Frankreich und Deutschland im 15. Jahrhundert". Eheliche Sexualität, Unzucht, Prostitution 704 380 Seminar für österreichische Geschichte: Nonnen und Hippies. Alternative Lebensformen, bei Ao. Uni.Prof. K. Vocelka, Lektor Dr. M. Reisenleitner. www.hausarbeiten.de;

57.Иоганн Блох. „История проституции. ПРОСТИТУЦИЯ В СРЕДНИЕ ВЕКА. НАДЗОР И БОРЬБА С НЕЮ. ГЛАВА ВОСЬМАЯ". www.tinlib.ru;

ა)გერმანიის სამხედრო პოლიციის საფელდეგერო კორპუსი და ფელდჟანდარმერია XII-XIX საუკუნეებში

გერმანიის პოლიციის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საფელდეგერო კორპუსისა და ფელდჟანდარმერიის საქმიანობას.

გერმანია-საფრანგეთის ომის დასრულებისთანავე გერმანიაში დღის წესრიგში დადგა სამოქალაქო ჟანდარმერიის შემადგენლობაში სამხედრო ფელდჟანდარმერიის შექმნის საკითხი, რომელსაც წინ ფრიდრიხ დიდის ინიციატივით, ფელდეგერთა კორპუსის (ცხენოსანთა 1740 წელს, ხოლო ფეხით მოსიარულეთა 1741 წელს) შექმნა უძღოდა. სამსახური ასრულებდა სქემაზე წარმოდგენილ მოვალეობებს:




1918 წლისათვის ფელდჟანდარმერიის რაოდენობა 6,5 ათას ჯარისკაცს შეადგენდა და მათ ძირითად ფუნქციაში პატრულირება შედიოდა. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის წარუმატებლობის გამო ფელდჟანდარმერია გაუქმდა, მისი

ფუნქციის შეთავსება სამხედრო-საპატრულო სამსახურს დაევალა.

1933-1939 წლებში ფელდჟანდარმერია კვლავ გერმანიის სახელმწიფოს პოლიციურ აპარატს შეუერთდა. 1940 წლისათვის არსებობდა ვალდებულება, ყველა სახეობის საჯარისო ნაწილში ყოფილიყო ფელდჟანდარმერიის დანაყოფები, რომლებიც არმიის ზურგის სამსახურს ექვემდებარებოდნენ.

ფელდჟანდარმერიის ფუნქციების ზრდა მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში განხორციელდა. მისი თანამშრომლები ყველა სხვა სამხედრო მოსამსახურეებთან შედარებით, ჩინის მიუხედავად დიდი უპირატესობით სარგებლობდნენ. ამ პერიოდისათვის ფელდჟანდარმერიის კონტროლს ექვემდებარებოდა:[58]



58.„GERMAN MILITARY POLICE. THE THIRD REICH - 1939 TO 1945". Army Feldgendarmerie. http://home.mweb.co.za;

ფაქტობრივად, განუზომელი უფლებამოსილების მქონე ჟანდარმებს გავლილი ჰქონდათ სამხედრო პოლიციის სპეციალური სწავლება-მომზადების კურსები.

იდეოლოგურ-ფსიქოლოგიური მომზადების, დამუშავების პროცედურების გარდა, კურსანტთა სასწავლო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი სისხლის სამართლის, სამრეწველო, სატყეო კოდექსის, დათვალიერების წესების, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის, სხვა მნიშვნელოვანი საგნების შესწავლას ეთმობოდა. ფელდჟანდარმერიის ჯარისკაცები ჩვეულებრივი ქვეითი ჯარისკაცების საბრძოლო მომზადებასაც გადიოდნენ.



ფელდჟანდარმების სწავლებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გერმანიაში ნაცისტური ხელისუფლების მოსვლისთანავე.

1935 წელს სასწავლო პროცესს დაქვემდებარებული 219 ჯარისკაციდან დაწესებული ბარიერის გადალახვა მხოლოდ 89 შეძლო[59].

მეორე მსოფლიო ომის დროს დაპყრობილ დიდ ქალაქებში ფელდჟანდარმერიის მოტორიზებული დანაყოფების განთავსება ხორციელდებოდა, რომლებიც პარალელურ რეჟიმში ვერმახტის ადგილობრივ დანაყოფებს-კომენდატურებს ექვემდებარებოდნენ. მათ სამხედრო კოლონის პატრულირების გარდა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს, ტყვეებს შორის გ. დაბირებითი საქმიანობის ორგანიზაცია, პარტიზანული მოძრაობის განეიტრალებისათვის, გადაბირებულთაგან სპეციალური საბრძოლო დანაყოფების შექმნა ევალებოდათ.

59.„FELDGENDARMRIE". From Wikipedia, the free encyclopedia. (სურათის წყაროც იქვე) en.wikipedia.org:

ფელდეგერების პატრული აღჭურვილი იყო უფლებით ფრონტის ხაზთან ახლოს განეხორციელებინათ პატრულირება.

1943 წლისათვის ფელდეგერთა კორპუსში (სადაც ჩარიცხვა რთულ პროცედურებს უკავშირდებოდა), ოფიცრის რანგში მიღების კანდიდატს, სამწლიანი საბრძოლო გამოცდილების გარდა, მაღალი საბრძოლო ჯილდო უნდა ჰქონოდა.

ფელდჟანდარმერია და ფელდეგერთა კორპუსი ტყვეთა (დაახლოებით 9 მილიონი) გადაადგილებას ბანაკებში უზრუნველყოფდა. ამასთან ერთად, სამსახური ფრონტიდან გამოქცეული დეზერტირების გამოვლენა-დაჭერაში, კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსხმული დესანტის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციებში, ომში გასაგზავნი დანაყოფების კომპლექტაციაში მონაწილეობდა.

გერმანული ნაციზმის სხვა მნიშვნელოვან პოლიციურ და სამხედრო სტრუქტურებთან ერთად, სწორედ ფელდჟანდარმერიის თანამშრომლები ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისეთი მასშტაბური სამხედრო დანაშაულების აღსრულებაში მონაწილეობდნენ, როგორიცაა სამხედრო ტყვეების, განსაკუთრებით ებრაელების, საბჭოთა კომისრების, კომუნისტების, პოლიტხელმძღვანელების გამოვლენა-დაჭერა, მასობრივ განადგურებაში.

გამოდის, რომ მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს, ფელდჟანდარმერია ფელდეგერთა კორპუსი, აგენტურულ-ოპერატიულ ღონისძიებებს აქტიურად ანხორციელებდა. ანალოგიურ საქმიანობაში მოწინააღმდეგის სპეციალური და საპოლიციო სამსახურები იყო ჩართული.

გერმანიამ ფრონტის ხაზზე, საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე 130 სადაზვერვო-დივერსიული და კონტრსადაზვერვო ორგანო შექმნა, რომლის წარმატებული

საქმიანობისათვის, აგენტის მომზადების 60 სპეციალური სკოლა გამოიყენებოდა.

ნაცისტთა აგენტურული აპარატის რაოდენობამ, გესტაპოს, აბვერის აგენტურული აპარატის გარდა, კალინინში 1500-1600, კალუგაში 600-700 ერთეული შეადგინა. შესაბამისად, ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უშიშროების სამსახურმა მოწინააღმდეგის ზურგში 1192 აგენტი გადაიბირა, ხოლო გერმანულ საჯარისო ფორმირებების ზურგში 73 დივერსიულ-ტერორისტული რეზიდენტურა ჩამოაყალიბა.[60]

საყურადღებოა კონრეტული ინტერესების გასატარებლად მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მხრიდან დაგეგმილი და განხორციელებული სპეც-ღონისძიებები:

საბჭოთა კავშირი:

- აქტიური სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების ჩამოყალიბება და ქმედებების ორგანიზაცია;
- მოწინააღმდეგის აგენტურის (მათ შორის სამშობლოს მოღალატეების, მოწინააღმდეგისათვის ხელისშემწყობი და სხვა პირების) გამოვლენა მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე;
- ანტისაბჭოთა კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში აგენტურული შეღწევადობის ორგანიზება;
- სადამსჯელო დანაყოფებში აგენტურული შეღწევადობა, პირადი შემადგენლობის დადგენის, ქმედებათა აღრიცხვა-კონტროლის მიზნით და სხვა;

გერმანია

- სადაზვერვო-დივერსიული ქმედებების საწინააღმდეგო კონტრსადაზვერვო ქმედებების ორგანიზაცია;

60.Попов Алексей Юрьевич. „Диверсанты Сталина". www.telenir.net;

- გადაბირების ორგანიზება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სანდო-ადგილობრივი მოსახლეობისაგან ადგილობრივი ხელისუფლების და საპოლიციო სტრუქტურების ჩამოყალიბება, და მათი საქმიანობის კონტროლი;
- ანტისაბჭოთა პროპაგანდის უზრუნველსაყოფად ორგანიზაციების შექმნა-კონტროლი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისაგან, განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედი სადამსჯელო ჯგუფების შექმნის ორგანიზება და სხვა.

გ)ჰიტლერის საიდუმლო პოლიცია „გესტაპოს“ ჩამოყალიბებისა და საქმიანობის ისტორიიდან



1932 წლის ივლისში, პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე გერმანიაში ჩატარებული არჩევნების შედეგად, 601 სადეპუტატო ადგილიდან 230 მანდატი მიიღო ნაციონალ-სოციალისტების პარტიამ.[61] ამ ფაქტმა საფუძველი ჩაუყარა გერმანიის მართვის უფლება თითქმის 12 წლის განმავლობაში ჰიტლერსა და ნაციონალ-სოციალისტების პარტიას მიეღო.

საიდუმლო პოლიცია „გესტაპო“ (Gestapo წარმოდგება Geheime Staatspolizei)1933 წლის 26 აპრილს ჩამოყალიბდა. მის ფუნქციებში ძირითადად, გერმანიის მმართველი ნაციონალ-სოციალისტების პარტიის (მისი ლიდერის ადოლფ ჰიტლერის) იდეოლოგური კურსის გავრცობა-გატარების კონტროლი შედიოდა.

გესტაპო უსაფრთხოების პოლიციის შემადგენლობაში სისხლის სამართლის პოლიციასთან ერთად შედიოდა. ფაქტის დაკანონება 1939 წელს გამოცემული დეკრეტით განხორციელდა. შეიქმნა „იმპერიის უსაფრთხოების მთავარი სამმართველო“, რომლის პირველ ხელმძღვანელად გეიდრიხი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდგომ, კალტენბრუნერი დაინიშნა.

პირველ ეტაპზე, სისტემა ყოფილი პოლიციელებისაგან დაკომპლექტდა, რომელთაც გააჩნდათ პრაქტიკულად განუსა-

61.Andreas Donati. „Momentaufnahmen eines Denkmals. 1932 – Reichstagswahl“. http://www.deutscher-reichstag.de (ემბლემის (სურათის) წყარო http://im3-tub-ru);

ზღვრელი უფლებამოსილება. ჩამოყალიბების დღეებიდანვე სამსახურის დევნის, შევიწროების ძირითად ობიექტად რეჟიმის მოწინააღმდეგე გერმანელები, გერმანიაში მცხოვრები ებრაელები იქცნენ.[62] საგაზეთო პუბლიკაციები, პირადი საუბრები, მიმოწერა მკაცრ ცენზურას დაექვემდებარა.

სამოქალაქო ფორმაში გამოწყობილ გესტაპოს თანამშრომლებს შეეძლოთ ნებისმიერ ადგილას და პირობებში, განუსაზღვრელი დროით, დაეკავებინათ ეჭვმიტანილი და სიკვდილამდე ეწამებინათ კიდეც. იუსტიციის მინის ტრსა და ჰიტლერს შორის 1935 წლის მიმოწერაში აღნიშნულია, რომ: „დაკავებულებს აწამებდნენ გონების დაკარგვამდე, რა დროსაც იყენებდნენ სხვადასხვა საგნებს...“[63]

მეორე მსოფლიო ომის დროს სახელმწიფოთა ოკუპაციისთანავე გესტაპოს უპირველეს მოვალეობას აგენტურული აპარატის შექმნა წარმოადგენდა.

ოკუპირებულ კომუნისტურ სივრცეში არსებობდა გადაბირების წარმატებით განხორციელების პერსპექტიული ჯგუფი. ამ ჯგუფში მოკავშირე რესპუბლიკების ის მოქალაქეები და პირები შევიდნენ, რომელთა ოჯახებიც საბჭოთა რეპრესიებს დაექვემდებარნენ.

ამ გადასაბირებელი ჯგუფის განსაზღვრა, კი მეორე მსოფლიო ომამდე, მის შემდგომ პერიოდში აქტიური სადაზვერვო საქმიანობის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზით იყო განპირობებული.

მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას არსებობდა განკარგულება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის ხელში ჩაგდების, პოლიტიკური საქმიანობის გამოაშკარავების მიზნით,

62.„Nazi Perpetrators: The Gestapo“. www.jewishvirtuallibrary.org;

63.„Нюрнбергский процесс“. Сборник материалов: В 2-х т. Т. 2.“ С. 816—818. http://gua.convdocs.org;

გესტაპოს მიერ (ნიდერლანდებში, ბელგიაში, საფრანგეთში, ლუქსემბურგში) ჩხრეკების ჩატარების შესახებ:

- ბიბლიოთეკებში და არქივებში;
- მაღალი რანგის სასულიერო პირების კანცელარიებში;

გესტაპოს საქმიანობა განსაკუთრებული აქტიურობით ოკუპირებულ ტერიტორიებზე, პარტიზანების წინააღმდეგ ბრძოლით, საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო პროპაგანდის ორგანიზებით გამოირჩეოდა.

პარტიზანულ რაზმებში, აგენტურული შეღწევის უზრუნველსაყოფად, გესტაპო იყენებდა პერსპექტივაში აგენტურული საქმიანობის ორგანიზებისათვის ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიცაა:

- ✓ ტყვედ ჩავარდნილი პარტიზანების გადაბირება, ხელსაყრელი პირობების შექმნით პარტიზანულ რაზმებში ჩანერგვისათვის;
- ✓ ახლო ნათესავების (მამა-შვილი, დედა-შვილი, და-ძმა) დაპატიმრება, ერთ-ერთზე აგენტურული დავალების ძალდატანებითი შესრულების ორგანიზება, მეორე დაპატიმრებულის მძევლად დატოვების პირობებში;
- ✓ უარყოფითი განწყობების მობილიზებისათვის, პარტიზანების ფორმის ტანსაცმლით შენიღბვით, გადაბირებული პირების მხრიდან, მოსახლეობის ძარცვა-გლეჯვის, პარტიზანების კვებითი და სხვა სახის მომარაგების ხაზის მოშლის ორგანიზება.

მეორე მსოფლიო ომის დროს, აგენტურული აპარატის წარმატებული საქმიანობის ორგანიზებისათვის გესტაპო განსაკუთრებულ ყურადღებას სწავლების პროცესს უთმობდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებობდა სკოლები, სადაც რადიო-ოპერატორების, ჯაშუშების მომზადება ხდებო-

და. ამ მოსაზრებას ამყარებს საბჭოთა სპეცსამსახურების აგენტურული შეტყობინებები, რომლის მიხედვითაც:[64]

- „ბორისოვოში და სხვა ქალაქებში...მოქმედებენ „რუსული ნაციონალ-მშრომელთა პარტიის“ ფილიალები“. ბორისოვოში ამ ფილიალს ხელმძღვანელობენ ივანე გრიგორის-ძე ტიტოვი (იგივე ვიშნევსკი) და ოლსკი. ცენტრი გერმანიაში, ქ.ბერლინში მდებარეობდა...

1943 წლის მაისში, ცენტრიდან ქ.ბორისოვოში 98 ადამიანი (აგენტი) დაბრუნდა, 35 ადამიანი (აგენტი) გაემგზავრა ქ.ბრიანსკში, 28 ადამიანი (აგენტი) გადასროლილი იქნა რაიონებში....ისინი ვალდებული არიან უზრუნველყონ პროპაგანდა მასებში „ახალი დამოუკიდებელი რუსეთის“ ასაშენებლად, მიიზიდონ მასები ამ პარტიაში, მომზადონ კადრები რუსული განმათავისუფლებელი არმიისათვის, რომელიც ძირითადი დასაყრდენი და სამხედრო ძალაა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

ქ. ბორისოვოში, სხვა ქალაქებშიც არსებობენ ახალგაზრდული ორგანიზაციები მათ შორის „ბელორუსიის ახალგაზრდობის კავშირი,“ რომელსაც აქვთ თავისი განსაზღვრული სამკერდე ნიშანი და გამოსცემს გაზეთს.“

- „ბორისოვოს რაიონის სამხედრო ქალაქში (პეჩი) განთავსებულია გერმანული სადაზვერვო ორგანოების უმაღლესი სკოლა რუსი ოფიცრებისათვის, რომელიც რეგულარულად 2-3 თვეში საბჭოთა ზურგში, პარტიზანულ რაზმებში, ბრიგადებში უშვებს ჯაშუშებს. სკოლას აქვს რადიო ოპერატორებისა („რადისტები“) და მზვერავების“ განყოფილებები.

წარმატებულ აგენტურულ ღონისძიებებზე მეტყველებს გესტაპოს აგენტურული აპარატის სიჭარბე. მხოლოდ უკრა-

64.Попов Алексей Юрьевич. „Диверсанты Сталина“. www.telenir.net;

ინაში პარტიზანულ მოძრაობაში გამოვლენილი 9883 ჯაშუშიდან, გესტაპოს აგენტურულ აპარატში 1998 კაცი შედიოდა,[65] თუმცა გამოვლენის მაღალი კოეფიციენტი, მორალური სიმყარისა და შერჩევა-შესწავლის თვალსაზრისით, აგენტურული ორგანიზაციის დაბალ დონეზე უნდა მიანიშნებდეს.

ნიურბერგის სასამართლო პროცესზე გესტაპო განხილული იყო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ეს იყო 1935 წლიდან პარტიულ კონტროლს, მმართველობას დაქვემდებარებული პოლიციური დანაყოფი. „იმისათვის, რომ განხორციელდეს პარტიის ორგანოებისა და მისი ორგანიზაციების უფრო ახლო კონტაქტი სახელმწიფო საიდუმლო პოლიციის (გესტაპო) ხელმძღვანელობასთან, ფიურერის მოადგილე თავაზობს მოიწვიონ გესტაპოს ხელმძღვანელები პარტიის და მისი ორგანიზაციების ყველა ფართომასშტაბიან ოფიციალურ კრებებზე."[66]

დანაშაულებრივი საქმიანობის მასშტაბებზე წარმოდგენის შესაქმნელად საკმარისია რამოდენიმე სტატისტიკური მონაცემის მოყვანა.

ნიურბერგის სასამართლო პროცესის მასალების მიხედვით, გესტაპოს ორგანიზებით:

- ✓ 1938 წელს გერმანიაში დაარბიეს და დააპატიმრეს 20000 ებრაელი;
- ✓ სიცოცხლეს გამოასალმეს: პოლონეთში-3200000, ჩეხოსლოვაკიაში-112000, იუგოსლავიაში-65000 ებრაელი.[67]

65.Попов Алексей Юрьевич. „Диверсанты Сталина". www.telenir.net;

66.„Декрет подсудимого Бормана (стр. 143), начальника партийной канцелярии и заместителя фюрера, от 26 июня 1935 г. Нюрнбергский процесс. Сборник материалов".http://gua.convdocs.org;

67.„Нюрнбергский процесс. Сборник материалов в 8-ми томах".Москва. 1997. http://gua.convdocs.org;

გ)სოციალისტური გერმანიის საიდუმლო პოლიციის „შტაზის“ საქმიანობის ისტორიიდან.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გერმანია ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ინტერესების ქვეშ მოექცა. წარმოქმნილი კრიზისი კი გერმანიის ორად გაყოფით დასრულდა.

გერმანიის დასავლეთი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ამერიკის შეერთებული შტატების, ხოლო აღმოსავლეთი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) საბჭოთა კავშირის კონტროლისა და მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც „მშვიდობიანი ომის“ გაგრძელებას დაუდო საფუძველი.

პოლიტიკურ ასპარეზზე მყარად დამკვიდრებისათვის, ორ ახალ სახელმწიფოში უზრუნველყოფილი იყო სასურველი ხელისუფლებების მოყვანა, ჩარჩოში მოქცეული პოლიტიკურ-სამხედრო-ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბება.

შეიქმნა დომინირებისათვის მებრძოლი ამ ქვეყნების კონკრეტულ ინტერესებს მორგებული, სათანადო იდეოლოგიური მიმართულების საპოლიციო და სპეციალური დანაყოფები.

საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე, ინტერესთა სისტემატიურმა გადაკვეთამ, დომინანტისათვის ბრძოლისკენ მუდმივმა მიდრეკილებამ, საბჭოთა კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დაძაბულობის კრიტიკული ზღვარი წარმოშვა. შესაბამისად, ზოგ შემთხვევაში ავტომატურად, რიგ შემთხვევაში იძულებით, ამ პროცესში დომინირებისათვის მებრძოლი სახელმწიფოების სტრატეგიული პარტნიორი და სატელიტი სახელმწიფოებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ფაქტიურად, სახეზე იყო „ცივი ომის“ პერიოდი, რომელიც ორ ნაწილად მიზანმიმართულად გაყოფილი გერმანიის გაერთიანებამდე გაგრძელდა.

პოლიტიკურ არენაზე განვითარებულ კონფლიქტებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოები იყვნენ, რომლებიც პოლიციური და სპეციალური სისტემების მეშვეობით აშკარა ან ირიბი ფორმით მუდმივად ებრძოდნენ ერთმანეთს.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მსგავსი სტრუქტურით და მიზნებით, 1950 წლის 8 თებერვალს შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (გდრ) საიდუმლო სამსახური: „შტაზი“, რომელიც მმართველი პოლიტიკური, კომუნისტური მიმართულების პარტიის ნების აღმსრულებელი, მის კონტროლს დაქვემდებარებული საიდუმლო პოლიციის დანაყოფი იყო. „შტაზის“ პარტიის დევიზს: „პარტიის ფარი და მახვილი“ (Schild und Schwert der Partei)[68] წარმოადგენდა. ოპერატიული ვითარების სიმძიმეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ შექმნის დღიდან საიდუმლო პოლიციის საკადრო უზრუნველყოფა განსაკუთრებული მასშტაბურობით გამოირჩეოდა. 1950-1989 წლებში „შტაზში“ მომსახურეთა როდენობამ 274000, ხოლო საიდუმლო თანამშრომლების (inoffizielle Mitarbeiter) რაოდენობამ, საერთო მოსახლეობის (18-60 წლამდე ასაკის) 2,5%-174000 ადამიანი შეადგინა.[69] ამ პერიოდისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა 16,5 მილიონ ადამიანს შეადგენდა. მასშტაბურობაზე გამოთქმულ მოსაზრებას ამყარებს სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტზე რიცხული იყო

68.„Ministerium für Staatssicherheit. From Wikimedia Commons, the free media repository“. http://commons.wikimedia.org (შტაზის ემბლემის წყარო იქვე); 69. JOHN O.KOEHLER. „Stasi. The Untold Story of the East German Secret Police“. www.nytimes.com;

480000 აგენტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 280000000 შეადგენდა, გამოდის, რომ 5830 ადამიანზე ერთი აგენტი მოდიოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების კონტროლქვეშ ჩამოყალიბდა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საიდუმლო სამსახურები, რომლებიც „ცივი ომის" პერიოდში საიდუმლო პოლიციის ფუნქციასაც ინარჩუნებდნენ. 1956 წლისათვის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმწიფო საიდუმლო სამსახურებს წარმოადგენდნენ:[70]

- ***ფედერალური სადაზვერვო სამსახური***

(ევალებოდა სახელმწიფოს შიგნით და საზღვრებს გარეთ პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის შეკრება-ანალიზი, კონტრდაზვერვა, უცხო სახელმწიფოების სადაზვერვო და საიდუმლო სამსახურებში შეღწევა და მათი დეზინფორმირება);

- ***ფედერალური და ადგილობრივი უწყებები კონსტიტუციის დასაცავად.***

(მოქმედების ფარგლები: სახელმწიფოს შიგნით და საზღვრებს გარეთ. ევალებოდა დასავლეთ გერმანიაში სამოქალაქო სექტორის პოლიტიკური დევნა, სახელმწიფო წყობილების დაცვა, სამხედრო მრეწველობაში საიდუმლოების დაცვა, საერთაშორისო (მათ შორის საერთო გერმანულ) ორგანიზაციებში შეღწევა, სისხლის სამართლებრივ სასამართლო პალატებში ექსპერტიზის ორგანიზება პოლიტიკურ საქმეებზე);

- ***ბუნდესვერის საიდუმლო სამსახური***

(მოქმედების ფარგლები: სახელმწიფოს შიგნით და საზღვრებს გარეთ. წარმოადგენდა ბუნდესვერის ოპერატიული ხელმძღ-

---

70.Ю.МАДЕР. „ТАЙНОЕ СТАНОВИТСЯ ЯВНИМ. СЕКРЕТНЫЕ СЛУЖБЫ ФРГ И ИХ ПОДРИВНАЯ ДЕЯТЕЛНОСТЬ ПРОТИВ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ СТРАН". МОСКВА. 1970. СТР.61, 82-83;

ვანელობის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის შტაბს (სამხედრო ატაშე, სამხედრო მრჩევლები, სამხედრო შენაერთის სადაზვერვო განყოფილება, სამხედრო ნაწილის შტაბის სადაზვერვო განყოფილება)-უსაფრთხოების და სამხედრო კონტრდაზვერვის ორგანოს, რომელსაც პოლიტიკური მოწინააღმდეგის აღმოჩენა და გაუვნებელყოფა, უცხო ქვეყნების საიდუმლო, სადაზვერვო სამსახურების წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა).

ამ სამსახურების ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის არსებობდა პირთა კატეგორიები:

გამოკითხული სანდო პირები - რომელთა გამოყენება კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში ხდებოდა, მათ არ იცოდნენ, რომ წარმოადგენენ ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელ წყაროს;

სანდო ინფორმატორები - რომლებიც მიზანმიმართულად იძლეოდნენ ოპერატიულ ინფორმაციას. შეიძლება წარმოადგენდნენ თანამშრომლებს, რომელთა გადაბირებაც ეპიზოდური დაკვირვებისათვის იყო გამიზნული. მათი განფენის ადგილებს წარმოადგენდა: სასტუმროები, სავაჭრო ქსელი, სამედიცინო და საბაჟო დაწესებულებები და ა.შ. (ძირითადად მომსახურე პერსონალი);

დამკვირვებლები - რომელთა გადაბირება პოლიტიკურად საშიში პირების თვალთვალისათვის სისტემატიური ფარული (საიდუმლო) დაკვირვების პროცესის უზრუნველსაყოფად ხორციელდებოდა.

საიდუმლო აგენტები, გამომძიებლები-რომელთა გადაბირება კონკრეტულ პირთან ან პირთა ჯგუფებთან კონტაქტის დასამყარებლად, მათზე დაკვირვების უზრუნველსაყოფად იყო განხორციელებული. მათი განფენის ადგილებს წარმოადგენდა: სახელმწიფო და კომერციული საწარმოები, სახელმ-

წიფო დაწესებულებები, ჰუმანიტარული, საზოგადოებრივი ორგანიზაციები პოლიტიკური პარტიები და სხვა;

აგენტი-პროვოკატორები-რომელთა გადაბირება კონკრეტული მიზნების მისაღწევად სისხლის სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის პროვოკაციების ორგანიზებისათვის ხორციელდებოდა.

საიდუმლო რეზიდენტები-საიდუმლო სამსახურის საშტატო განრიგში ჩარიცხვის გარეშე, ხელშეკრულების საფუძველზე საიდუმლოდ მოქმედი აგენტურული აპარატის ხელმძღვანელი რგოლი, რომლებიც კონტროლს დაქვემდებარებული აგენტებისაგან ღებულობენ სიტყვიერ და წერილობით შეტყობინებებს.

აღნიშნული რგოლი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როდესაც კონსპირაციის თვალსაზრისით, გართულებული იყო ოპერატიული თანამშრომელი-აგენტის შეხვედრა.

დემოკრატიული და ფედერაციული გერმანიის სადაზვერვო ქმედებებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, მოწინააღმდეგის მოსახლეობაში და საერთაშორისო არენაზე მოწინააღმდეგისადმი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ორგანიზება წარმოადგენდა.

მიზანი შედეგს აღწევდა.

ამერიკის შეერთებული შტატების და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სადაზვერვო სამსახურების წარმატებული კოორდინირებული ქმედებებით 1953 წლის 17 ივნისს გერმანიის სხვადასხვა ქალაქებში, დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების, კომუნისტების წინააღმდეგ მოსახლეობის მასობრივი სოციალური ხასიათის პროტესტის ჯანყის ორგანიზება გახდა შესაძლებელი.

საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ჩარევით ჯანყი ჩაახშეს, რასაც 250 დემონსტრანტის სიკვდილი, დემო-

კრატიული რესპუბლიკის 20 000 მოქალაქის დაკავება მოჰყვა.[71]



გამოდის რომ, ხელისუფლების მიმართ მობილიზებული უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის ფონზე, მასობრივი პროტესტით-არეულობით-ძალადობრივი რბევით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისადმი, არსებული წყობილებისადმი უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის კიდევ უფრო გამყარება სახელმწიფოს შიგნით და საერთაშორისო არენაზე განხორციელდა.

აგენტურული ორგანიზაციის თვალსაზრისით საყურადღებოა „შტაზის“ წარმატებული საქმიანობისათვის გამოცემული დირექტივები და ინსტრუქციები:

- 1976 წლის დირექტივით ***დემორალიზაციის მიღწევის ეფექტური ფორმებია***:

71.„Volksaufstand -17. Juli 1953“. http://www.coldwarhistory.us (სურათების წყაროც იქვე);

- ✓ „რეპუტაციის სისტემატიური დისკრედიტაცია;
- ✓ პროფესიონალური და საზოგადოებრივი ჩავარდნების ორგანიზება, რათა ადამიანებმა თავიანთ თავში დაკარგონ რწმენა;
- ✓ ორგანიზაციებს, ჯგუფებს შორის უნდობლობის ორგანიზება;
- ✓ ანონიმური წერილების, ტელეგრამების, სატელეფონო ზარების, მაკომპრომენტირებელი ფოტოსურათების გამოყენება, ჭორების მიზანმიმართული გავრცელება და სხვა."[72]

- 1979 წლის ინსტრუქციის მიხედვით: „ოპერატიულ-პოლიტიკური მუშაობის ***სასურველი პოლიტიკური და სოციალური ზემოქმედება***, მტერთან ბრძოლის ძირითადი იარაღის, არაოფიციალური თანამშრომლების მუშაობის ხარისხის და ეფექტურობის გაუმჯობესებით უნდა იყვეს მიღწეული."[73]

„შტაზის" მიერ 1963-1989 წლებში გატარებული ოპერატიულ-აგენტურული, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად გამოვლენილი და დაკავებული იყო სახელმწიფოს წეს-წყობილებისათვის საშიში 34000 „პოლიტიკური" პატიმარი (მათ შორის გფრ-ში სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისას (გადარბენისას) დაკავებული პირები).

„შტაზის" კონტროლქვეშ მყოფ პოლიტპატიმართა გამოსყიდვის პროცესი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას 3

72.„MfS-Richtlinie Nr. 1/76 zur Entwicklung und Bearbeitung Operativer Vorgänge (OV). 1. Januar 1976. Quelle: BStU, MfS, BdL-Dok. 3234 – Druck, 59 S".Открытие архивов Министерства государственной безопасности ГДР и процесс люстрации. 28/10/2013. http://urokiistorii.ru;

73.„Müller-Enbergs, Helmut. Inoffizielle Mitarbeiter des Ministeriums für Staatssicherheit: Richtlinien und Durchfuhrungsbestimmungen". Berlin: Ch. Links, 1996. S. 198. Открытие архивов Министерства государственной безопасности ГДР и процесс люстрации. 28/10/2013. http://urokiistorii.ru;

მილიარდი დოლარი დაუჯდა.[74]

ამ პროცესმა საერთაშორისო ასპარეზზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საწინააღმდეგო განწყობების ორგანიზებას შეუწყო ხელი, ხოლო ქვეყნის შიგნით გაზარდა პოლიტიკური აქტივობა არსებული წესწყობილების საწინააღმდეგოდ.

გაღებულმა ხარჯმა სასურველი შედეგი უზრუნველყო, რაც წარმატებულ სადაზვერვო ორგანიზაციას უნდა ნიშნავდეს.

1953 წლისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ფედერაციულში 331390 (8000 პოლიციის თანამშრომელი, 1718 კომუნისტური მიმართულების მმართველი პოლიტიკური პარტიის წევრი, წევრობის კანდიდატი) მოქალაქის გაქცევის ფაქტი დაფიქსირდა.

სტატისტიკა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ გაქცეულ პოლიციელებს წარსულში მათთან კავშირში მყოფი აგენტურის დისკრედიტაციისათვის და შანტაჟისათვის რეალური პირობები ჰქონდათ, რაც სადაზვერვო გადაბირების წინაპირობას წარმოადგენდა.

პროცესი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის დისბალანსზე მიანიშნებდა.

ყოველივე კი, უახლოეს პერსპექტივაში კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი დამხობის ხელსაყრელ ვითარებაზე მიანიშნებდა.

„ცივი ომის" პერიოდში სადაზვერვო მიზნების აღსრულებისათვის სახელმწიფოები, ტერორისტულ ორგანიზაციების ჩამოყალიბება-დაფინანსების, ოპერაციული ციკლის უზრ-

---

74.Джон Кёлер. „Секреты Штази. История знаменитой спецслужбы ГДР". http://lib.rus.ec;

უნველყოფის პროცესებში შენიღბულად, აქტიურად საქმიანობდნენ.

სადაზვერვო მიზნების აღსასრულებლად საიდუმლო პოლიცია „შტაზი“ აქტიურად ტერორისტულ ორგანიზაციასთან „წითელი არმიის ფრაქცია“[75] თანამშრომლობდა, რომლის წევრებსაც გასული საუკუნის 80-იან წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ თავშესაფარი მისცა. ტერორისტული ორგანიზაცია 1970 წელს ჩამოყალიბდა[76] და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე (გფრ) აქტიურად საქმიანობდა. ამ სტატუსის მიღებამდე ორგანიზაციის წევრები ანტიიმპერიალისტური, განმანთავისუფლებელი მოძრაობის წევრები იყვნენ.

1972 წელს ტერორისტული აქტის ობიექტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განთავსებული, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები გახდა. ორგანიზაციის წევრების სისტემატიურ რეჟიმში დაკავებების მიუხედავად, გფრის ტერიტორიაზე ტერორისტული საქმიანობა კვლავ გრძელდებოდა. ტერორისტული ორგანიზაციის „მეორე თაობა“[77] პატიმრობის პერიოდში შეიქმნა, რომელთა ძირითად მიზანს ტერორისტული ორგანიზაციის წევრ-



75.„Фракции Красной Армии“. Материал из Википедии-свободной энциклопедии. http://en.wikipedia.org (ემბლემის წყაროც იქვე);
76.„Rote Armee Fraktion – Documents“. http://labourhistory.net;
77.Сергей СУМЛЕННЫЙ. „История: факты и документы о Фракции Красной армии (RAF)“. http://telegrafua.com (სურათის წყაროც იქვე);

თა საპატიმროებიდან განთავისუფლება წარმოადგენდა. ყოველივე მოსახლეობაში პანიკისა და შიშის ინსპირირებას, დაუცველობის გამო ხელისუფლებისადმი, სამართალდამცავებისადმი უნდობლობას, უარყოფით განწყობებს იწვევდა.

1975 წელს ტერორისტული ორგანიზაციის დაპატიმრებული წევრების სასამართლო პროცესიდან განთავისუფლების მოთხოვნთ ტერორისტებმა სტოკჰოლმში ხელში გერმანიის საელჩო ჩაიგდეს, რომლის განთავისუფლების ოპერაციას საელჩოს წევრების დაღუპვა მოჰყვა.

საპატიმროებიდან ტერორისტების განთავისუფლებაზე უარის გამო, 1977 წლის განავლობაში ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ ტერაქტებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროკურორი, საბანკო სექტორის ერთ-ერთი მმართველი შეეწირა, გატაცებული იქნა საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

სადაზვერვო-ტერორისტული ორგანიზების ნიშნებს პალესტინელი ტერორისტების (რომელთა სწავლების, ფინანსური და სამხედრო მხარდამჭერები იყვნენ საბჭოთა კავშირი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩინეთი)[78] მიერ 82 მგზავრით თვითმფრინავის გატაცების ოპერაციაც შეიცავდა .

მოყვანილი ფაქტების ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირი მის სტრატეგიულ პარტნიორთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად, სადაზვერვო კოორდინაციის პირობებში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების რღვევის უზრუნველსაყოფად, ტერორისტულ ორგანიზაციებს აქტიურად გამოიყენებდა.

78.დავით კუხალაშვილი. „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა“. თბილისი. 2007. გვ.69;

დ) საპოლიციო ზედამხედველობის განვითარების ისტორიიდან გერმანიაში.

(პოლიციის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ პირთა კატეგორიები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში)

საპოლიციო ზედამხედველობა დანაშაულის ჩადენის და პატიმრობის თანმდევი შედეგობრივი პროცესია, რომლის მეშვეობით სახელმწიფო, ოპერატიული ვითარების გაუარესების თავიდან ასაცილებლად ოპერატიულ ზედამხედველობას იმ პირებზე ანხორციელებს, რომლებმაც სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს.

ახალი დანაშაულის ჩადენის აღკვეთისათვის საპოლიციო ზედამხედველობა მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიებაა, რაც კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიულ-აგენტურული პროცესის ორგანიზებას გულისხმობს.

წარმატებული საპოლიციო ზედამხედველობის ორგანიზების თვალსაზრისით ერთ-ერთი უმდიდრესი ტრადიციის მქონე სახელმწიფო გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაა, სადაც ოპერატიული ვითარება კონტროლს ექვემდებარება და ძირითადად ათწლეულებია სტაბილურია.

მიმოვიხილოთ საპოლიციო ზედამხედველობის განვითარების ისტორია გერმანიაში. გერმანიის იმპერიაში ჯერ კიდევ 1871 წლისათვის არსებობდა პოლიციის ზედამხედველობის შესახებ კანონმდებლობა პირებზე, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს.[79] სწორედ ამ პერიოდში, რუსეთის იმპერია, ევროპის სახელმწიფოებში პოლიციის ზედამხედველობის შე-

---

79.С.А.НЕВСКИЙ. „ПОЛИЦЕЙСКИЙ НАДЗОР В СТРАНАХ ЗАПАДНОЙ ЕВРОПЫ И В РОССИИ В XIX В. (ПО МАТЕРИАЛАМ ЗАПИСКИ, СОСТАВЛЕННОЙ Н.Д. РЫЧКОВЫМ)". http://justicemaker.ru;

სახებ არსებული კანონმდებლობის შესწავლას ანხორციელებდა.

პირველი საკანონმდებლო რეფორმა პოლიციის ზედამხედველობის შესახებ, გერმანიის იმპერიაში 1911 წლიდან იწყება. ჩაითვალა, რომ მხოლოდ რეპრესიული მეთოდების გამოყენება, სახელმწიფოში ოპერატიული ვითარების გამოსწორებას არ ემსახურებოდა, დღის წესრიგში ყოფილი პატიმრების რესოციალიზაციის მასშტაბური განხორციელება დადგა. მნიშვნელოვნად ჩაითვალა ამ პრობლემის მოგვარებაში კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა. ამ მიზნებისათვის სათანადო საკანონმდებლო უზრუნველყოფაც წარმატებით მიმდინარეობდა.

1933 წლისათვის კი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მმართველმა პოლიტიკურმა ძალამ რეპრესიების ინსპირირებისათვის საპოლიციო ზედამხედველობა აქტიურად გამოიყენა. დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილ პირებთან ერთად, ე.წ. „მოსარჯულებელ დაპატიმრებებს“ გერმანიის მოქალაქეები მასშტაბურად დაექვემდებარნენ.

ვითარების გამოსწორება 1945 წლის შემდეგ, ხოლო ამ სფეროში რეფორმირების მეორე ეტაპი 1969-1975 წლებში განხორციელდა. სასამართლოს მხრიდან მუდმივი ზედამხედველობის (სასჯელთან ერთად) დანიშვნის იურიდიული საფუძვლებს, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთ დანაშაულებებზე სასჯელის მოხდა წარმოადგენდა, როგორიცაა:[80]

- ადამიანებით ვაჭრობა სექსუალური ხასიათის ექსპლუატაციის მიზნით;
- ადამიანის ვაჭრობაზე ხელშეწყობა;
- მძევლების აყვანა;

80.*Н.Л.Редько.„ПОЛИЦЕЙСКИЙ НАДЗОР ЗА ОТДЕЛЬНЫМИ КАТЕГОРИЯМИ ЛИЦ ПО ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ ФРГ“. http://cyberleninka.ru;*

- ადამიანის გატაცება გამოძალვის მიზნით;
- განსაკუთრებით მძიმე ძარცვა: შენობაში შეღწევა მათ შორის ტაძარში ან შენობაში, განსაკუთრებული (სამეცნიერო-კულტურული-ისტორიული) ღირებულების საკულტო ნივთების ძარცვის მიზნით;
- იმ საკუთრების დამალვა, რომელიც მოპოვებულია დანაშაულებრივი გზით;
- ცეცხლის წაკიდება;
- ასაფეთქებელი ნივთიერებით აფეთქების გამოწვევა;
- რადიაქტიურ მასალებისადმი უკანონო მოპყრობა;
- საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტის ექსპლუატაციის და უსაფრთხოების ხელყოფა, ამ სახის სატრანსპორტო საშუალების განადგურების მიზნით.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საპოლიციო ზედამხედველობა ამ სახის კონტროლს დაქვემდებარებული პირების ანალოგიურ და სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებებში კვლავ ჩართვის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებაა.

საპოლიციო ზედამხედველობა შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის უზრუნველმყოფი მნიშვნელოვან სეგმენტი, რომელიც ოპერატიული ვითარების გაუმჯობესების, მისი შენარჩუნების პროცესების ორგანიზებას, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეიძლება მოემსახუროს.

5. საფრანგეთის პოლიციის ისტორიიდან

საფრანგეთს განვითარებული პოლიციური სისტემა უკვე XVII საუკუნეში გააჩნდა, რომლის შემადგენლობაში ცხენოსან საპოლიციო გვარდიასთან, სასამართლო პოლიციასთან ერთად, სხვა სპეციალური საპოლიციო დანაყოფები შედიოდნენ.

1667 წელს საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკ XIV მაღალი რანგის საპოლიციო თანამდებობა[81] დააწესა. ამ პერიოდისათვის რევოლუციებით, რევოლუციური განწყობებით განთქმულ საფრანგეთში, ოპერატიული ვითარების სიმძიმის გამო, განსაკუთრებულ პოლიციურ კონტროლს პარიზი ექვემდებარებოდა. ყველა კვარტლის ოპერატიული მომსახურების პირობებში განსაკუთრებული საპოლიციო დანაყოფების კონტროლს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა (მათ შორის ზნე-ჩვეულებების კონტროლი) და კრიმინალთან ბრძოლა შედიოდა. არსებობდა საიდუმლო პოლიცია, რომელიც პოლიტიკური დევნის ორგანიზებისთვის გამოიყენებოდა. საფრანგეთის სამეფოს საპოლიციო სტრუქტურების მოვალეობაში შედიოდა:

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;
- ღირსეული მოქალაქეების სიცოცხლის დაცვა;
- ღირსეული მოქალაქეების ქონების დაცვა;
- ვაჭრობის და ტარიფების კონტროლი;
- სახელმწიფო დამნაშავეების განთავსების ადგილების დაცვა;
- სამეფო კარისათვის მიუღებელი პირების გამოვლენა და დევნა.

81„LOUIS XIV, THE SUN KING". http://staff.gps.edu;

1879 წლისათვის საფრანგეთში დანაშაულის გახსნის მიზნით, ოპერატიულ-აგენტურული ღონისძიებების ფარგლებში, საპატიმროებში, წარმატებით მოქმედებდა პროვოკატორების[82] (აგენტურული აპარატის ერთ-ერთი სეგმენტი) ინსტიტუტი.

პროვოკატორებს მიზანმიმართულად მოათავსებდნენ ოპერატიულ დამუშავებას დაქვემდებარებულ პატიმართან სასურველი ინფორმაციის მიღების მიზნით.

ამავე პერიოდში არსებობდა პირადი მონაცემების ბარათების, ფოტოსურათების არქივი.

დამნაშავის პირად ბარათებზე (დაახლოებით 5 მილიონი) გარეგანი აღწერილობის, გვარის, სახელის გარდა დატანილი იყო ნასამართლობის რაოდენობა.

ბარათების ზრდას განაპირობებდა პარიზის სასტუმროებში მოხვედრილი უცხოელი მოქალაქეების შემოწმების პროცესის დამკვიდრება (რაც კონტრსადაზვერვო ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს).

სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, სწორედ ეს სისტემა უზრუნველყოფდა სხვადასხვა სახელმწიფოებიდან საფრანგეთში შემოსულ დამნაშავეთა დროულ გამოვლენას და დაპატიმრებას.

წარმატებული პოლიციური, სადაზვერვო ხასიათის ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობით გამორჩეული იყო ნაპოლეონის მმართველობის ხანა.

ამ პერიოდში სახელმწიფოს შიგნით, მის საზღვრებს გარეთ პროცესებზე ოპერატიული დაკვირვების, ანალიზის მყარი სისტემა ფუნქციონირებდა, რაც წარმატებული აგენტურული საქმიანობის ორგანიზაციით იყო მიღწეული.

82.Юрген Торвальд. „100 лет криминалистики.I. НЕИЗГЛАДИМАЯ ПЕЧАТЬ, ИЛИ ПРИКЛЮЧЕНИЯ С ИДЕНТИФИКАЦИЕЙ". www.kul-lib.narod.ru;

პოლიციის მინისტრს ფუშეს მიაჩნდა,[83] რომ კარგ ოპერატიულ თანამშრომელს დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით მოქმედება უნდა შეძლებოდა. ფუშეს დროინდელი პოლიციის სამინისტრო შიდა და საგარეო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქმიანობდა.

საგარეო დაზვერვის ქვემდებარე აგენტურულ ინფორმაციულ უზრუნველყოფას უცხო სახელმწიფოებში არსებული ვითარების, ლიდერების ხასიათის, დამოკიდებულებების, სხვა სახელმწიფოებთან კავშირების, მათი ხასიათის შესწავლა შედიოდა.

საფრანგეთს სოლიდიური აგენტურული აპარატი გააჩნდა ეგვიპტეში[84].

1804 წლისათვის ამ ქვეყანაში საფრანგეთის აგენტებს ევალებოდათ არსებული ვითარების, სახელმწიფოს ლიდერების დამოკიდებულებების, ეგვიპტეზე ინგლისის ზეგავლენის ხარისხის შესწავლა და სხვა.

საპოლიციო დანაყოფთა ფუნქციაში შიდა სადაზვერვო ორგანიზაცია შედიოდა, რომლის ქვემდებარე ოპერატიულ-აგენტურული შესწავლის ობიექტებს წარმოადგენდნენ:

- *პრესა და თეატრი*-არსებული წეს-წყობლების, მმართველობის საწინააღმდეგო უარყოფითი განწყობების ორგანიზების გამორიცხვის მიზნით;
- *ემიგრანტები*-საკუთარ სახელმწიფოებში დანაშაულის ჩადენის შემდგომ უცხო ქვეყანაში გაქცევის, შესაბამისად კრიმინალურ დანაშაულებში მათი შემდგომი მონაწილეობის გამორიცხვის მიზნით;

83.„Агенты Наполеона.Шпионаж времен 1-мировой войны". http://shpion. h1.ru (ფოტოსურათისწყარო:http://images.yandex.ru);

84.Fernand Beaucour. „Agents of Napoleon in Egypt: 1801 to 1815". www.napoleon-series.org;

- ***ფინანსური განყოფილება***-ხაზინის დროული შევსების, სახაზინო თანხების სწორად ხარჯვის კონტროლის, კორუფციის დროული გამოვლენის და აღკვეთის მიზნით;
- ***სენატის კომისია***-არსებული წეს-წყობლების, მმართველების საწინააღმდეგო უარყოფითი განწყობების და ქმედებების ორგანიზების გამორიცხვის, საკანონმდებლო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით;

ა) წიგნების, პრესის ბეჭდვის და რეალიზაციის კონტროლის პოლიციის საქმიანობა საფრანგეთში XIII-XIX საუკუნეებში.

საზოგადოებრივი აზრის მობილიზება დღემდე სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც ყოველთვის წინ უსწრებს ამა თუ იმ სახელმწიფოში მოსახლეობის მხრიდან მასშტაბური დესტრუქციული ქმედებების ინსპირირებას, რაც ბევრ შემთხვევაში, სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილების რღვევით მთავრდება.

უახლეს ისტორიაში და თანამედროვე ეტაპზე, არსებული ტექნოლოგიები მოსახლეობის განწყობების შექმნის, მართვის საუკეთესო პირობებს აყალიბებენ.

მასმედია, სამეცნიერო, მხატვრული ლიტერატურა, კინოფილმები სასურველი განწყობების შექმნის, არსებული სტერეოტიპების ნგრევის, რელიგიური, ეთნიკური კუთხით დაპირისპირების ინსპირირებისათვის, დღემდე პროპაგანდის საუკეთესო საშუალებად რჩება.

უძველესი პერიოდიდან იმპერიები, საკუთარ და კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაში და საზღვრებს გარეთ, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ საბრძოლველად, სპეციალურ სამსახურებს ქმნიდნენ.

მოსახლეობაში არსებული განწყობების შესწავლის სისტემატიური პროცესის ორგანიზებასთან ერთად ნახატების, მუსიკის, ჭორების, ხელნაწერების გავრცელებით და ა.შ. იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სპეციალური დადებითი განწყობების ინსპირირება იმპერიის, იმპერატორის უძლეველობის, მათი ქმედებების სამართლიანობის შესახებ.

ამ კუთხით საინტერესოა წიგნების ბეჭდვის და რეალიზაციის კონტროლის პოლიციის საქმიანობის ისტორია საფრანგეთში XIII-XIX საუკუნეებში.

არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგო იდეოლოგიური საქმიანობის აღკვეთის მიზნით, მოსახლეობაში უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრების თავიდან ასაცილებლად, ახალი რელიგიური დოქტრინების, სწავლებების გავრცელების აღკვეთის მიზნით, XIII-XV საუკუნეში საფრანგეთის ხელისუფლებამ წიგნების ბეჭდვაზე მკაცრი კონტროლი დააწესა.

არსებული წეს-წყობილებისათვის საშიში ლიტერატურის გავრცელების აღკვეთის მიზნით, პარიზის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესისათვის აუცილებელი წიგნებით უზრუნველმყოფი სექტორის წევრები - წიგნის გამყიდველები ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს დაექვემდებარნენ.

ცენზურის გავლის გარეშე წიგნების გამოცემა აიკრძალა. დამახინჯებული ტექსტების აღმოჩენის შემთხვევაში, უნივერსიტეტის რექტორს წიგნების განადგურების, წიგნის გამყიდველის დასჯის უფლებამოსილება მიენიჭა.

სასურველი ვითარების განსაკუთრებული კონტროლის უზრუნველსაყოფად XVI საუკუნის მეორე ნახევარში, პირველ ეტაპზე პარიზის უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანთან ერთად, ხოლო შემდგომ სახელმწიფოს, ყველა ტიპოგრაფიის მიერ წიგნების გამოცემის ცენზურაზე უფლებამოსილება მიენიჭა.

ვერსალის რევოლუციამ ცენზურის სისტემა „ადამიანისა და მოქალაქის 1789 წლის 26 აგვისტოს დეკლარაციის 11 პუნქტის [„აზრებისა და იდეების თავისუფალი გაცვლა, ადამიანის ერთ-ერთი ძვირფასი უფლებაა. ყველა მოქალაქეს შეუძლია შესაბამისად თავისუფლად ისაუბროს, დაწეროს და დაბეჭდოს, მაგრამ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ თავისუფ-

ლების ბოროტად გამოყენებაზე"][85] საფუძველზე ვითარება საკმაოდ შეცვალა.

უმოკლეს პერიოდში ვითარება კვლავ დაიძაბა, რაც არსებული წეს-წყობილებისათვის სახიფათო გაზეთების ბეჭდვით და გავრცელებით იყო გამოწვეული.

XVIII საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, პარიზში, პოლიციის პრეფექტის ხელმძღვანელობით მოქმედ საპოლიციო სამსახურში, არსებული შიდა სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება პრესაზე კონტროლი იყო. ჩაითვალა, რა გაზეთთა უმრავლესობა რესპუბლიკის მტრების იარაღად, 1800 წლის 17 იანვარს გამოვიდა „კონსულის განკარგულება გაზეთებზე", რომლის მიხედვითაც მთავრობამ (პოლიციის მინისტრი) გადაწყვეტილება მიიღო:[86]

ომის განმავლობაში სამეცნიერო, ხელოვნების, ლიტერატურის, კომერციის, შეტყობინებების კუთხით გამოცემულ გაზეთებთან ერთად 13 გაზეთისათვის, ბეჭდვის და გავრცელების უფლების მინიჭების შესახებ;

რესპუბლიკის მეგობარი და მეკავშირე სახელმწიფოების მთავრობების და ხალხების შესახებ არასასურველი ინფორმაციის გამომქვეყნებელი გაზეთების აკრძალვის შესახებ. ამ განკარგულების მიღებისთანავე პარიზში მოქმედ 73 გაზეთიდან 60 გაზეთს[87] დახურვისაკენ მიანიშნეს.

ნაპოლეონმა სასურველი საზოგადოებრივი აზრის მომზადება-კონტროლისათვის ხელსაყრელი ვითარების შექმნა დროებით კვლავ შეძლო.

85.„Declaration of the Rights of Man – 1789. Approved by the National Assembly of France, August 26, 1789". http://avalon.law.yale.edu;

86.„Order for Suppressing the Newspapers". January 17, 1800 (27 Nivôse, Year VIII). www.napoleon-series.org;

87.Е.В.Тарле. „ПЕЧАТЬ ВО ФРАНЦИИ ПРИ НАПОЛЕОНЕ I". http://evartist.narod.ru;

მიღებული ზომები საკმარისი არ აღმოჩნდა, რის გამოც 1807 წლის 6 ნოემბერს გამოცემული დეკრეტით,[88] უკვე პროვინციულ გაზეთებს აეკრძალათ სახელისუფლებო პოლიტიკური სტატიების გარდა, პოლიტიკურ თემებზე სტატიების გამოქვეყნება.

სისტემატიური აკრძალვების მიუხედავად, საფრანგეთში რევოლუციური მუხტის შეჩერება ვერ მოხერხდა, ოპერატიული ვითარება კვლავ დაძაბული, ხოლო საფრანგეთი, კვლავ რევოლუციისაკენ მიდრეკილი დარჩა.


გამოდის, რომ:

- ✓ საიმპერატორი კარი ოპერატიულ-აგენტურული ინფორმაციის ანალიტიკას პროპაგანდისტული საქმიანობის პერსპექტივების ირგვლივ აქტიურად იყენებდა. ამ კუთხით პოლიციის ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს ლექტორები, სტუდენტები და მოსახლეობის ყველა ფენა ექვემდებარებოდა.
- ✓ ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის მიზანს უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი და ადგილზე დამზადებული იმ წიგნების და გაზეთების გავრცელების გამოვლენა, აკრძალვა გახდა, რომლებშიც ასახული მასალა საფრანგეთში, სტაბილური ოპერატიული ვითარების უზრუნველმყოფი დამკვიდრებული ტრადიციების, მმართველების და მმართველობის ფორმის საწინააღმდეგო (რევოლუციური) განწყობებს იწვევდა, ან პერსპექტივაში შეიძლება გამოეწვია.
- ✓ რევოლუციური განწყობების შესწავლა საპოლიციო სტრუქტურების ოპერატიულ-აგენტურულ საქმიანობის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა.

88.Е.Смирнов. „ПЕРИОДИЧЕСКАЯ ПЕЧАТЬ ВО ФРАНЦИИ". http://evartist.narod.ru;

ბ)საკადრო ორგანიზაციის საფუძვლები საფრანგეთის პოლიციასა და ჟანდარმერიაში XVIII საუკუნიდან დღემდე.

საუკუნეების განმავლობაში სახელმწიფო სამსახური მიჩნეულია, როგორც განსაკუთრებული პროფესია, რადგან ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით ეს სექტორი კონკურენტუნარიანი სამი ძირითადი მიმართულებით უნდა იყოს:



ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, სახელმწიფოებრივი აზროვნების, ინტელექტის, მორალური მდგრადობის, პატიოსნების, პროფესიონალიზმის მაღალი დონით გამორჩეული ქვეყნის სახელმწიფო და კომერციულ სექტორში საკადრო ორგანიზაცია ეროვნული უსაფრთხოების მაღალ მაჩვენებლებზე მიანიშნებს. ამ ვითარების მიღწევა სახელმწიფოს მდგრადობაზე დამანგრეველად მოქმედი ისეთი დანაშაულის გავრცობას, როგორიცაა კორუფცია, აგრეთვე მისგან გამომდინარე სხვა დანაშაულობების ინსპირირებას გამორიცხავს.

საკადრო ორგანიზაციის თვალსაზრისით, უცხო ქვეყნების სახელმწიფო და კომერციულ სექტორთან კონკურენტუნარიანობის, ან უპირატესობის მიღწევა გამორიცხავს სა-

ხელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებაზე მოქმედი ისეთი დანაშაულის გავრცობას, როგორიცაა ჯაშუშობა და მისგან მომდინარე სხვა დანაშაულობების ინსპირირება.

განვითარებული ევროპული სახელმწიფოების მსგავსად, საფრაგეთშიც დიდი ყურადღება ექცეოდა და ექცევა სახელმწიფო სამსახურის, მათ შორის პოლიციის (ჟანდარმერიის) სწორი საკადრო პოლიტიკის ორგანიზების უზრუნველყოფას.

მოკლედ მიმოვიხილოთ ფრანგული ჟანდარმერიის შექმნის ისტორიული საფუძვლები. 1791 წლის 10 ივლისის დეკრეტის „ჟანდარმერიის საფუძვლების შესახებ"[89]გამოცემით შეიარაღებული ძალების ქვემდებარეობით შექმნილი უწყების მოვალეობაში სოფლებსა და შეიარაღებულ ძალებში წესრიგის დაცვა შედიოდა. ამ უწყების თანამშრომლები ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის ორგანიზების გარდა მონაწილეობდნენ მასობრივი არეულობების დაშლაში, აჯანყებების ჩახშობაში.

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სამხედრო ოფიცრებისაგან დაკომპლექტებული ფრანგული ჟანდარმერია პოლიციის ელიტურ ნაწილად ითვლებოდა. სამოქალაქო ფორმის მატარებელ საიდუმლო აგენტებს[90] მთავრობის ოპერატიული კონტროლი ევალებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა ჟანდარმების სწავლების ორგანიზებას.

1901 წელს ჟანდარმების ოფიცერთა კორპუსის სასწავლებელი პარიზში დაფუძნდა.[91] პირველი და მეორე მსოფ-

89.М.К.ТЕУНОВ. „ИСТОРИЧЕСКИЕ АСПЕКТЫ СТАНОВЛЕНИЯ И РАЗВИТИЯ НАЦИОНАЛЬНОЙ ЖАНДАРМЕРИИ ФРАНЦИИ". http://history.milportal.ru;

90.Рууд Ч.А. „Взаимодействие политических полиций Австро-Венгрии, Франции и России".// Вестник Российского университета дружбы народов.-Сер.: Политология.-2003.- № 4 - С. 65-75.www.gumer.info;

91.„Ecole des officiers de la gendarmerie nationale". www.answers.com;

ლიო ომების დროს პარიზიდან გადასვლის პირო-ბებშიც კი სასწავლებელი წარმატებულად ფუნქციონირებდა.

დღეის მდგომარეობით საფრანგეთის ჟანდარმერიის ოპერატიულ მომსახურებას ექვემდებარება: სოფლები, მიმდებარე ტერიტორიაზე მდინარეები, ქალაქები (არანაკლებ 20 000 მცხოვრებით),[92]აეროპორტები, მიტინგები, დემონსტრაციები, საგზაო უსაფრთხოების უზრუნველყოფა,[93] მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების გეგმიური და არაგეგმიური ცერემონიები, თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სამხედრო ობიექტები. სწორედ ამიტომ, ჟანდარმების დანიშვნის ბრძანებას ხელს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრი ერთობლივად აწერენ.

მოქალაქეობასთან, ნასამართლობის არქონასთან, შესაბამის განათლებასთან ერთად, პოლიციელებისა და ჟანდარმების მიმართ წაყენებული სპეციალური მოთხოვნებია:[94]

- უნდა იყოს განსაზღვრულ ასაკს მიღწეული (18-35 წელი);
- არ უნდა ექვემდებარებოდეს სისხლის სამართლებრივ დევნას;
- არ უნდა იყოს დათხოვნილი სახელმწიფო ან მუნიციპალური ორგანოებიდან დისციპლინური გადაცდომის ან ამორალური საქციელის გამო;
- უნდა გააჩნდეს შესაბამისი ფიზიკური მონაცემები;
- უნდა გადალახოს შესაბამისი გამოცდა ლოგიკური აზროვნების, ინიციატივების, უკურეაქციების ფლობაში.

92.„National Gendarmerie". www.answers.com;

93.„Traffic Police. The enforcement of driving rules in France". www.justlanded.com;

94.„Основы кадровой политики в полиции и жандармерии отдельных западноевропейских стран". www.newpraktika.org;

ჟანდარმერიის ოპერატიულ მუშაობაზე დამანგრევლად მოქმედი ფაქტორების დროული გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, ჟანდარმერიის ინსპექციის[95] მიერ, სისტემატიურად მიმდინარეობს სათანადო დაკვირვება ჟანდარმებზე. განსაკუთრებული აკრძალვა, კონტროლი დაწესებულია ჟანდარმების პოლიტიკურ პროცესებში, ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობაზე, რაც კორუფციასთან ბრძოლის, მისგან მომდინარე განვრცობადი დანაშაულებების ინსპირირებასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებად უნდა იყოს მიჩნეული.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პერიოდში გერმანიას მყარი პოლიციური, სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო სისტემა გააჩნდა.

გერმანელი მსხვილი ფეოდალების მხრიდან, სამეფო ხელისუფლების მიმართ აჯანყებების ხშირი ორგანიზების გამო, ოპერატულ-აგენტურულ შესწავლას საჰერცოგოებში არსებული განწყობები და დამოკიდებულებები, რელიგიური, ზნეობრივი (სასულიერო პირებს და დაოჯახებულ მამაკაცებს მეძავებთან ურთიერთობის აკრძალვა), სახანძრო უსაფრთხოება ექვემდებარებოდა. ამ პერიოდისათვის ოპერატიული ვითარების შესწავლა მიმდინარეობდა. გამოკვეთილი იყო კრიმინალური ფონის დაძაბვის ინსპირატორების ჯგუფი:

- დეზერტირები;
- ყოფილი ჯარისკაცები;
- ემიგრანტები.

კონტრსადაზვერვო თვალსაზრისით ებრაელებს და თურქებს გერმანელ მეძავებთან ურთიერთობა ეკრძალებოდათ.

95.„National Gendarmerie". www.answers.com;

მეთვრამეტე საუკუნეში გერმანიის ჟანდარმთა მოვალეობებს: სამეფო ოჯახის პირადი დაცვის, სამეფოსათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციების (მათ შორის ბრძანებებისა და განკარგულებების) მიწოდების, გზების კონტროლის (გადაადგილების მარშრუტის შესახებ ინფორმაციის) დაცვა წარმოადგენდა.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში ფელდჟანდარმერიის თანამშრომლებს: სამხედრო დისციპლინის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის კონტროლი, სამხედრო ტყვეებზე ზედამხედველობა, საბოტაჟის, დეზერტირების წინააღმდეგ ბრძოლა ევალებოდა.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო მიმართულებით მოწინააღმდეგე სახელმწიფოებს შორის ბრძოლისას ხორციელდებოდა:

-აქტიური სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფების ჩამოყალიბება, სადაზვერვო-დივერსიული ქმედებების საწინააღმდეგო ქმედებების ორგანიზაცია;

-მოწინააღმდეგის აგენტურის გამოვლენა და გადაბირების ორგანიზება მოწინააღმდეგის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე;

- სანდო-ადგილობრივი მოსახლეობით სადაზვერო კონტროლს დაქვემდებარებული ადგილობრივი ხელისუფლების და საპოლიციო სტრუქტურების ჩამოყალიბება;

-ანტისაბჭოთა კონტროლს დაქვემდებარებულ ჯგუფებში აგენტურული შეღწევადობის ორგანიზება;

-ანტისაბჭოთა პროპაგანდის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ჯგუფების შექმნა-კონტროლი;

-პირადი შემადგენლობის დადგენის, ქმედებათა აღრიცხვის და კონტროლის მიზნით სადამსჯელო დანაყოფებში აგენტურული შეღწევადობა;

-ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისაგან, განსაკუთრებული სისასტიკით მოქმედი სადამსჯელო ჯგუფების შექმნის ორგანიზება.

პოლიციური სამსახურის „გესტაპოს“ დევნის და შევიწროების ძირითად ობიექტს რეჟიმის მოწინააღმდეგე გერმანელები, გერმანიაში მცხოვრები ებრაელები წარმოადგენდნენ. სამსახურის მიერ, საგაზეთო პუბლიკაციები, პირადი საუბრები, მიმოწერა მკაცრ ცენზურას ექვემდებარებოდა.

გესტაპო აგენტთა სწავლებებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა. სამსახურის აგენტურულ-ოპერატიულ ღონისძიებებს განეკუთვნებოდა:

-ტყვედ ჩავარდნილი პარტიზანების აგენტად გადაბირების და ჩანერგვის ორგანიზება;

-ახლო ნათესავების (მამა-შვილი, დედა-შვილი, და-ძმა) დაპატიმრება-დაწყვილებით აგენტურული აპარატის შექმნა;

-გადაბირებულთა შენიღბული ფორმებით აღჭურვით, მოსახლეობის ძარცვის, უარყოფითი განწყობების, შესაბამისად პარტიზანების კვებითი და სხვა სახის მომარაგების ხაზის მოშლის ორგანიზება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიციური სტრუქტურა „შტაზი“ მმართველი პოლიტიკური, კომუნისტური მიმართულების პარტიის ნების აღმსრულებელი, მის კონტროლს დაქვემდებარებული საიდუმლო დანაყოფი იყო. მის წინააღმდეგ მებრძოლი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციულ უზრუნველყოფას ანხორციელებდნენ: გამოკითხული სანდო პირები, სანდო ინფორმატორები, დამკვირებლები, საიდუმლო აგენტები, გამომძიებლები, აგენტ-პროვოკატორები, საიდუმლო რეზიდენტები;

სადაზვერვო ინტერესებით საიდუმლო პოლიცია „შტაზი“ აქტიურად თანამშრომლობდა ტერორისტულ ორგანიზა-

ციასთან, რომლის წევრებმაც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში თავშესაფარი მიიღეს.

მეცხრამეტე საუკუნეში საფრანგეთის სამეფოს საპოლიციო სტრუქტურებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ღირსეული მოქალაქეების სიცოცხლის, ქონების დაცვა, ვაჭრობის, ტარიფების კონტროლი, სახელმწიფო დამწაშავეების განთავსების ადგილების დაცვა, სამეფო კარისათვის მიუღებელი პირების გამოვლენადევნა ევალებოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს საპოლიციო დანაყოფთა აგენტურულ-ოპერატიული შესწავლის ობიექტებს წარმოადგენდნენ: პრესა, თეატრი, ემიგრანტები, ფინანსური განყოფილება, სენატის კომისია;

საფრაგეთის სამეფო კარმა არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგო იდეოლოგიური საქმიანობის აღკვეთის მიზნით, მოსახლეობაში უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის დამკვიდრების თავიდან ასაცილებლად, ახალი რელიგიური დოქტრინების, სწავლებების გავრცელების აღკვეთის მიზნით, წიგნების, გაზეთების ბეჭდვაზე მკაცრი კონტროლი დააწესა .

კორუფციის, ჯაშუშობის, მათგან მომდინარე სხვა დანაშაულის ინსპირირებისაგან თავდაცვის საშუალებაა: სახელმწიფოებრივი აზროვნების, ინტელექტის, მორალური მდგრადობის, პატიოსნების, პროფესიონალიზმის მაღალი დონით გამორჩეული ქვეყნის სახელმწიფო და კომერციულ სექტორში, უცხო სახელმწიფოების სახელმწიფო და კომერციულ სექტორთან კონკურენტუნარიანი, ან უპირატესობის უზრუნველმყოფი გარემოს შესაქმნელად სწორი საკადრო ორგანიზება.

6. ისრაელის პოლიცია

არაბების წინააღმდეგობის მიუხედავად, 1947 წლის 29 ნოემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეაზე ოცდაცამეტი ხმით ცამეტის წინააღმდეგ მიიღეს რეზოლუცია ერეც-ისრაელის ორ სახელმწიფოდ გაყოფის შესახებ.

1948 წლის 15 მაისს მიღებული დამოუკიდებლობის დეკლარაციის შედეგად ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა.[96]



1948 წლის 15 მაისს ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოცხადება (http://images.yandex.ru)

ამ გადაწყვეტილებამ ისრაელი, საუდის არაბეთის, ერაყის, ლიბანის, სირიის, იორდანიის მტრულ რკალში მოაქცია.

პირველი თავდასხმა დამოუკიდებლობის გამოცხადების ღამეს დაიწყო და 1949 წლის 20 ივლისამდე გაგრძელდა.

96.„History of Israel". http://hubpages.com;

1956 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ისრაელის საწინააღმდეგოდ ტერორისტული აქტივობები ეგვიპტის, სირიას და იორდანიას შორის სამხედრო პაქტის ხელმოწერის შემდგომ გაიზარდა.

1967 ივლისში ისრაელთან 6 დღიან ომში ჩართული იყო: ეგვიპტე, იორდანია და სირია,[97] 1973 წლის ოქტომბერის ბრძოლაში-ეგვიპტე და სირია, ხოლო 1982 წლის ივნისის ბრძოლაში-ლიბანი და ა.შ.

არასტაბილური ოპერატიული ვითარების მიუხედავად, რაც საომარი მოქმედებების სიტემატიურობით იყო განპირობებული, სხვადასხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ებრაელები ისრაელში ცხოვრების გასაგრძელებლად ილტვოდნენ და აღწევდნენ კიდევაც მიზანს:

- 1950 წლიდან ისრაელში ირანიდან, თურქეთიდან, მაროკოდან, ალჟირიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, უნგრეთიდან და სხვა სახელმწიფოებიდან მასიური იმიგრაცია დაიწყო.
- 1950 წლის ბოლომდე ისრაელში-45000 იემენელი ებრაელი ჩავიდა. 1952 წლის დასაწყისისათვის დაბრუნებულ ებრაელთა რიცხვმა ისრაელში-685000, 1961-1964 წლებში-22800, 1968-1986 წლებში მხოლოდ საბჭოთა კავშირიდან-164135 შეადგინა.[98]

ფაქტობრივად სახეზე იყო, ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერით, ისრაელის მიერ წარმატებით განხორციელებული სადაზვერვო აქცია-უცხო სახელმწიფოებიდან იაფი მუშახელის, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის აუცილებელი ძალების შევსების და ინტელექტის გადინების ორგანიზების თვალსაზრისით. სწორედ ამ სადაზვერვო აქციამ სა-

---

97.„Arab - Israel War (1967)". www.answers.com;

98.რუთ სემუელსი. „ებრაელთა ისტორიის გზებზე". თელ-ავივი. 1990. გვ.354-355; 378;

თავე დაუდო მტრის რკალში მოხვედრილი სახელმწიფოს-ისრაელის პოლიტიკური-ეკონომიკური-სამხედრო ძლიერების ეტაპობრივ ჩამოყალიბებას.

სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით, ისრაელის სახელმწიფომ სამხედრო, პოლიციური სისტემების ჩამოყალიბება-გაძლიერების პროცესიც ეტაპობრივად წარმატებით განახორციელა.

დღეის მდგომარეობით, მტრული სახელმწიფოების გარემოცვის პირობებში, ისრაელი თავდაცვის უნარიანობის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა, რაშიც პოლიციური დანაყოფების როლი მნიშვნელოვანია.

ისრაელის პოლიცია 1948 წლის 15 მაისს შეიქმნა.[99] პოლიციური სტრუქტურების ჩამოყალიბების, თანამშრომელთა მომზადების პროცესი დიდი ბრიტანეთის პოლიციის ანალოგიით განხორციელდა.

საპოლიციო სისტემის ჩამოყალიბება 700 ებრაელი პოლიციელით დაიწყო, რომლებიც ე.წ. ბრიტანული პოლიციის მანდატის ფარგლებში მოქმედებდნენ. მათ გამოცდილება ისრაელში ემიგრაციის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ჰქონდათ.

ძლიერი საპოლიციო სტრუქტურის შექმნის მიზნით, პოლიციელთა სწავლების პარალელურად ეტაპობრივად თანამშრომელთა ატესტაციები დამკვიდრდა.

გამართულად მოქმედებდა პოლიციელთა ქმედებების მაკონტროლებელი სეგმენტი, რომელიც განსაკუთრებული აქტივობით მექრთამეობის წინააღმდეგ საქმიანობდა.

საჯარისო დანაყოფებში განვითარებული პროცესების მსგავსად, გასული საუკუნის 60-იან წლებში საპოლიციო სისტემის ოპერატიულ სამსახურებში მუშაობის დაწყების უფლე-

99.„ПОЛИЦИЯ ЗЕМЛИ ОБЕТОВАННОЙ". http://gunmagazine.com.ua;

ბა, ქალებმაც მიიღეს, რაც მათ საქმიანობაზე დადებითად აისახა.

ისრაელის პოლიციური სამსახურების შექმნის დღიდან ოპერატიულ ვითარებაზე ტერორიზმი დამანგრეველად მოქმედებდა.

1949 წლისათვის ისრაელის სასაზღვრო ზონაში და საზღვარზე სტაბილური ოპერატიული ვითარების უზრუნველყოფის მიზნით ჟანდარმერიის დანაყოფი-სასაზღვრო სამსახურის კორპუსი[100] შეიქმნა, რომელიც შემდგომ სასაზღვრო პოლიციად გადაიქცა. გადაწყვეტილების სისწორეზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სამსახურმა მის წინაშე მდგომ ამოცანებს (მათ შორის კონტრტერორისტული საქმიანობის თვალსაზრისით) წარმატებით გაართვა თავი. წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად, 1957 წელს ჩამოყალიბებული, დღემდე მოქმედი უფროსი ოფიცრების მოსამზადებელი სკოლის სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი შეგვიძლია მივიჩნიოთ. სწორი ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობის შედეგია, ექვსდღიანი ომის შემდგომ, ოკუპირებულ ტერიტორიებზე წესრიგის დამყარების მიზნით პოლიციის სათანადო აღჭურვა, საპოლიციო სტრუქტურის ცენტრალური ოფისის თელ-ავივიდან იერუსალიმში გადატანა.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ისრაელისადმი აშკარა მხარდაჭერის პირობებში, „ცივი ომის“ მეორე ძირითადმა დომინანტმა სახელმწიფომ, საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა არაბულ სამყაროს, რითაც ამ სივრცეში ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბება-სწავლების და აღჭურვის პროცესს შეუწყო ხელი.

ტერორისტები მოქმედებენ როგორც ისრაელში, ასევე სხვა სახელმწიფოებში.

100.„Israel Border Police“.www.nationmaster.com;

ტერორისტული საქმიანობის ობიექტებზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად განვიხილოთ ისრაელის წინააღმდეგ ტერორისტული ორგანიზების რამდენიმე მაგალითი:

- ✓ 1972 წლის 5 სექტემბერს, პალესტინელმა ტერორისტებმა, ოლიმპიადის მიმდინარეობის პერიოდში, მიუნხენის ოლიმპიურ სოფელში, მძევლად ისრაელის სახელმწიფოს 11 სპორტსმენი აიყვანეს,[101] რომლებიც სპეცოპერაციების დროს განთავისუფლებისას დაიღუპნენ.
- ✓ 1974 წლის მაისში პალესტინელმა ტერორისტებმა სკოლაზე თავდასხმისას მძევლად 89 ადამიანი, მათ შორის - 85 ბავშვი აიყვანეს.[102]
- ✓ ტერორისტ თანამოძმეთა განთავისუფლების მოთხოვნით, 1976 წლის 27 ივნისს არაბ და გერმანელ ტერორისტთა ჯგუფის ორგანიზებით გატაცებული იქნა „ერფრანსის“ კომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი. 229 მგზავრიდან, 102 ისრაელის მოქალაქის განთავისუფლება, 1976 წლის 4 ივლისს[103] გახდა შესაძლებელი.
- ✓ 1978 წლის მარტში ტერორისტული ორგანიზაცია „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის“[104] მიერ თელ ავივის მახლობლად განხორციელებული ტერაქტის დროს 35 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და ა.შ.

ფაქტობრივად, სახეზე იყო სადაზვერვო ორგანიზაცია, რომლის ძირითად იარაღსაც ტერორისტული საქმიანობა წარმოადგენდა.

101.В.А.Эпштейн.“Контртеррористическая политика государства Изра-иль“. 2005.www.law.edu.ru;

102.იქვე;

103.რუთ სემუელსი. „ებრაელთა ისტორიის გზებზე.“ თელ ავივი. 1990. გვ.367;

104.იქვე, გვ.369;

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტერორისტული აქტები იწვევენ:

- მოსახლეობაში შიშის, პანიკის ინსპირირებას;
- დაუცველობის გამო მოსახლეობაში, ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობების ჩამოყალიბებას, სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი უნდობლობას;
- საინვენსტიციო გარემოს დაზიანებას;
- ტურიზმის შემცირებას ან შეწყვეტას, აგრეთვე სახელმწიფოს მდგრადობაზე დამანგრევლად მოქმედ სხვა შედეგებს.

სწორედ ამიტომ, ისრაელის ხელისუფლება იძულებული იყო კონტრსადაზვერვო ორგანიზაციისათვის განსაკუთრებულად ეზრუნა.

1974 წლისათვის პოლიციას ტერორიზმთან ბრძოლა დაევალა. ჩამოყალიბდა სტრუქტურა, სპეციალური სასაზღვრო პოლიციის დანაყოფი (YAMAM),[105]რომლის თანამშრომლები აღჭურვილი იყვნენ პოლიციის ფუნქციებით, თუმცა კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში მათი ჩართვა სამხედრო ოპერაციებშიც ხდებოდა.

აღნიშნული დანაყოფი დღეის მდგომარეობითაც ტერორიზმის დასამარცხებლად წარმატებულად მოღვაწეობს.

ოპერატიული ვითარების კონტროლის, მისი დადებითი მახასიათებლების შენარჩუნების (მათ შორის ანტიტერორიზმის თვალსაზრისით) საქმეში, მნიშვნელოვანი როლი გასული საუკუნის 70-იან წლებში პოლიციელთა დახმარების მიზნით შექმნილმა, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე ნებაყოფილობითი თანაშემწეების ინსტიტუტმა შეასრულა. დღეის მდგომარეობით, 30000-მდე პოლიციელს საზოგადო-

105.„YAMAM". From Wikipedia, the free encyclopedia. http://en.wikipe-dia.org;

ებრივ საწყისებზე მომუშავე 70000-მდე ნებაყოფილობითი თანაშემწე ეხმარება.[106]

აღნიშნულ ციფრებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ, პოლიციის მიერ ორგანიზებულ აგენტურულ-ოპერატიულ ძალებს, წარმატებულ კოორდინაციას ჩამოთვლილ სეგმენტებს შორის, გამოდის რომ, ოპერატიული ვითარება მაღალი დონის კონტროლს ექვემდებარება.

თანამედროვე ეტაპზე შექმნილია ვითარება, როდესაც ისრაელის პოლიციური სისტემა მნიშვნელოვან, წარმატებულ როლს ასრულებს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ორგანიზებაში.

ისრაელის მძლავრი პოლიციური სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს ექვემდებარება.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან, სისხლის სამართლებრივ დანაშაულთან ბრძოლის გარდა, პოლიციური სტრუქტურები დაკავებული არიან სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტით, რაც საიდუმლო სამსახურებთან კოორდინირებული საქმიანობით მიიღწევა.

106.„Полиция Израиля". http://guide-israel.ru;

ა) ისრაელის პოლიციის როლი სახელმწიფოს ანტიტერორისტულ პოლიტიკაში

ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ისინი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო მიზნების განხორციელების საუკეთესო საშუალებას, სადაზვერვო ორგანიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ.

სადაზვერვო საქმიანობის ისტორია გვიჩვენებს, რომ სპეცსამსახურების, სამართალდამცავი ორგანოების მჭიდრო კოორდინაციის გარეშე, როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ, წარმოუდგენელია ტერორიზმთან ბრძოლა. ისრაელი სწორედ ის სახელმწიფოა, რომელმაც ეს პრინციპი ყველაზე საფუძვლიანად გაითვალისწინა. ჯერ კიდევ 1949 წელს ისრაელში შექმნილი იყო „დაზვერვის საკორდინაციო კომიტეტი", რომელშიც სხვადასხვა სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელების გარდა, პოლიციის გენერალური ინსპექტორიც იყო გაერთიანებული.

ტერორისტული საქმიანობის შედეგები ისრაელის სახელმწიფომ მას შემდეგ იგრძნო, რაც ამერიკის შეერთებული შტატების საფარქვეშ მოექცა.

არაბულმა სახელმწიფოებმა მფარველობა საბჭოთა კავშირს მიანდეს, რაც ამ ქვეყნების მის კონტროლქვეშ მოხვედრით, მართვით, ტერორიზმში ჩართვით დასრულდა.

ისრაელის კონსტიტუციური წყობილების რღვევის მიზნით, არაბულმა სახელმწიფოებმა საბჭოთა კავშირის ხელშეწყობით, მრავალი ტერორისტული აქტი დაგეგმეს და განახორციელეს. ტერორიზმის შედეგებზე, მასშტაბებზე, მის სადაზვერვო ორგანიზაციაში, ზემოჩამოთვლილი სახელმწიფოების კორდინაციაზე შემდეგი მაგალითები მიანიშნებს:

- ტერორისტულმა აქტებმა 1949-1956 წლებში ისრაელის სახელმწიფოს დიდი მატერიალური ზარალი მიაყენა. ამასთან, 1300 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.[107]
- 1969-1982 წლებში საბჭოთა კავშირის, სოცბანაკის სპეცსამსახურების ხელშეწყობით ლიბანში დისლოცირებული იყო და სათანადო მომზადებას ტერორისტული დაჯგუფება: „პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია“ გადიოდა...

„პალესტინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია“ კუვეიტში პალესტინის ისრაელის ოკუპაციისაგან განთავისუფლების, მისი, როგორც სახელმწიფოს განადგურების მიზნით 1957 წელს შეიქმნა.

-მოქმედების ზონა: ისრაელი...

-მოქმედების ობიექტები: ისრაელის მოქალაქეები, სამხედრო მოსამსახურეები, სპორტსმენები, ისრაელის დიპლომატები...

-მხარდამჭერი სახელმწიფოები: სსრკ, ჩინეთი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა...

-მხარდაჭერის სახეობა: სწავლებები, ფინანსური, სამხედრო მხარდაჭერა...“[108]

ტერორიზმის დამანგრეველი შედეგებისაგან თავის ასარიდებლად, გასული საუკუნის 60-იან წლებში ისრაელში მსოფლიოში პირველი ანტიტერორისტული სპეციალური დანაყოფი „შაკედი“[109] შეიქმნა, რომელიც სათანადო ღონისძიებებს (პატრულირება, დივერსანტების, ტერორისტების ლიკ-

---

107.Александр Шульман. „Почему Израиль побеждает в войне с терро-ром“. 2 апреля 2010 года. http://svpressa.ru;

108.დ.კუხალაშვილი. „ტერორისტული ორგანიზაციები და მათი საქმიანობა“. თბილისი. 2007. გვ.66; 69-70;

109.„ИЗРАИЛЬ. ИСТОРИЯ МОССАДА И СПЕЦНАЗА“. http://jhist.org;

ვიდაცია, მათ შორის მოწინააღმდეგის ზურგში) სამხრეთ საზღვრებთან ეგვიპტესთან, იორდანიასთან მიმართებაში ანხორციელებდა.

საჯარისო დანაყოფებთან ერთად „შაკედის" მიერ 1970-1971 წლებში ჩატარებული სპეცღონისძიებების შედეგად ღაზას სექტორში დაკავებული იქნა[110]„პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის", „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის", სხვა ტერორისტული ორგანიზაციების ბოევიკების, აქტივისტების 90%, რითაც ტერორისტული აქტივობა თითქმის 15 წლის განმავლობაში იყო შეჩერებული.

ტერორიზმთან ბრძოლის ეფექტურობა პოლიციის ძალების სისტემატიურმა, წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა. პოლიციელები, სასაზღვრო ძალების, საჯარისო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, 24 საათიან რეჟიმში პატრულირებას, ბლოკ-საგუშაგოების შემოწმებას ანხორციელებდნენ. ისინი აქტიურად, წარმატებულად იყვნენ ჩართული ოპერატიურ-სამძებრო, ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობაში, რაც ისრაელის მოქალაქეთა სახელმწიფოებრივი აზროვნებით, შესაბამისი (მათ შორის მასმედიის ხელშეწყობით) განწყობების შექმნით, მის შენარჩუნებაზე სისტემატიური ზრუნვით იყო მიღწეული.

2004 წლისათვის, მკაცრად რეგლამენტირებული კორდინაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა დაგეგმილი ტერაქტების 97%-ის თავიდან აცილება.[111]

კრიმინალთან ბრძოლის ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც სწორედ არალეგალები იყვნენ ტერორიზ-

---

110.Шимон Бриман. „Израильский опыт борьбы с террором. От «мстите-лей» к спецподразделениям.(1945-1975 гг.)". http://gazeta.rjews.net;

111.„Силовые структуры Израиля предотвращают 97% планируемых терактов". 25 апреля 2004. http://podrobnosti.ua;

მის, ნარკობიზნესის, სხვა სახის ორგანიზებული დანაშაულების გავრცობის ხელშემწყობები.

ისრაელის პოლიცია ჩამოყალიბების პირველი დღეებიდან ქვეყანაში არალეგალების შედინების საწინააღმდეგოდ აქტიურად საქმიანობდა.

პოლიცია ყოველწლიურად ათასობით არალეგალის გამოვლენას, დაკავებას და დეპორტაციას უზრუნველყოფს.

ისრაელში არალეგალთა შედინების მასშტაბებზე ქვემომოყვანილი მაგალითები მიანიშნებს:

- ✓ სასაზღვრო პოლიციის დანაყოფებთან ერთად, 16-18 წლამდე 36 ახალგაზრდამ არალეგალების გამოვლენის სპეციალურ პროექტში მიიღო მონაწილეობა.
- ✓ ორი კვირის განმავლობაში ათეულობით არალეგალი (ძირითადად პალესტინელი) იყო გამოვლენილი[112]

[კონკრეტული მიზნის გარდა, ამ პროექტით ახალგაზრდა თაობა საფუძვლიანად ერკვევა საკუთარი ქვეყნის საფრთხეებში, მათ უყალიბდებათ სახელმწიფოებრივი აზროვნება, უგროვდებათ გამოცდილება, რომლის გამოყენება პერსპექტივაში იქნება შესაძლებელი და ა.შ.].

- ✓ სამხრეთ სუდანში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგად ისრაელში 1500 დევნილი მოხვდა, რომელთა შორის 140 მებრძოლი აღმოჩნდა;[113]
- ✓ 2012 წლის შემოდგომაზე ისრაელის პოლიციის მიერ დაკავებული იქნა, სამი პალესტინელი არალეგალი (19-30 წლამდე), რომლებსაც ისრაელის

112.„Border Police train Israeli teens to detain illegal Palestinian workers". By Talila Nesher.Jan.2, 2012. www.haaretz.com;

113.„Exodus: Israel to drive Africans from Holy Land". July 17, 2012. http://rt.com/news;

საიდენტიფიკაციო ყალბი ბარათები აღმოაჩნდათ.[114]

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვან პერიოდს 1975-2000 წლები წარმოადგენს. აშშ-ის სპეცსამსახურების ორგანიზებით ისრაელში ანტიტერორისტული ბრძოლის წარმატებით ორგანიზებისათვის, სნაიპერების მოსამზადებელი სპეცსკოლები ჩამოყალიბდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული აშშ-ის მისი სტრატეგიული პარტნიორი სახელმწიფოს-დიდი ბრიტანეთის სამხედრო ინსტრუქტორები, მაშინ გამოდის, რომ ტერორიზმიც და ანტიტერორიზმიც აქტიურ სადაზვერვო კორდინაციას ექვემდებარება.

საყურადღებოა ისრაელის სპეციალური დანაყოფების საკადრო კომპლექტაციის პრაქტიკაც.

ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად 1988 წელს შექმნილი სპეცდანაყოფის „მისტარავი" დაკომპლექტება იმ ებრაელებისაგან ხდებოდა, რომელთა მშობლებიც არაბული და მუსლიმანური ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოსული. ყურადღება გამახვილებული იყო სასურველი დიალექტის არაბული ენის, არაბების რელიგიური, კულტურული თავისებურებების ცოდნაზე, რადგან ეს თვისებები სპეცოპერაციის წარმატებით განხორციელების წინაპირობად ითვლებოდა და ითვლება.

დანაყოფის ავტორიტეტის ამაღლებისათვის აქტიურად საქმიანობდა და საქმიანობს მასმედია, მუშაობს ჭორების ინსტიტუტი, რაც ფსიქოლოგიური ბრძოლის ნაწილად შეიძლება იქნას მიჩნეული.


ისრაელს, საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისათვის სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო არენაზე მასშტა-

---

114.Raanan Ben-Zur. „Illegal Palestinian alien employed as yeshiva guard". 12.24.09. www.ynetnews.com;

ბური, მყარი, ინფორმაციული, ანალიტიკური, პროპაგანდისტული [მათ შორის ინტერნეტ-რესურსები] აპარატი აქვს ჩამოყალიბებული.[115]

პოლიციას, სპეცსამსახურებს ტერორიზმთან ბრძოლაში სახელმწიფოს შიგნით მოსახლეობის დიდი მხარდაჭერა აქვს (მოსახლეობას არ აქვს პროტესტი პირადი ნივთების დათვალიერებაზე, პირად ჩხრეკაზე, აეროპორტებში რამოდენიმე წინაღობის გავლაზე, მძღოლებს აქვს უფლება ავტობუსში არ შეუშვან საეჭვო პირები, ყოველი მარშრუტის დასრულების შემდგომ ისინი სალონს საეჭვო ნივთების აღმოჩენის მიზნით ათვალიერებენ და ა.შ.). ამ ვითარების მიღწევა ტერორიზმის საფრთხეების, მისი თავიდან აცილების მეთოდების ირგვლივ მოსახლეობის სწორი, მასშტაბური სასწავლო პროცესის ორგანიზებით არის განპირობებული. ისრაელის სახელმწიფოს ტერორიზმთან ბრძოლის ისტორიული საფუძვლები სამაგალითოა ბევრი ქვეყნისათვის, მათ შორის - ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. დღეის მდგომარეობით ტერორიზმთან ბრძოლის ოთხ ძირითად პრინციპს გამოარჩევენ:[116]



115.Э.Л.Чануквадзе. „Информационно-психологическая война в зоне палестино-израильского конфликта“.www.iimes.ru;

116.А.Тихонов. „ТЕРРОРИЗМ – ВЗРЫВЫ, СОТРЯСАЮЩИЕ МИР“. www.rau.su;

ტერორისტული საქმიანობის (განსაკუთრებით თვითმკვლელი ტერორისტების) გააქტიურება ისრაელის წინააღმდეგ განსაკუთრებით 2000 წლიდან შეინიშნება. სახელმწიფო იძულებული გახდა ტერორიზმის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებები გაეტარებინა.

2002 წლის ივნისიდან ერთიანი, კოორდინირებული, ანტიტერორისტული მოქმედებებით გამორჩეული არიან ისრაელის შეიარაღებული ძალები, სპეცსამსახური „შაბაკი",[117] რომელიც ანხორციელებს კონტრსადაზვერვო საქმიანობას და შიდა უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

თუ გავითვალისწინებთ, რომ „შაბაკი"-ს ოპერატიული მომსახურების ობიექტები ისრაელის, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პალესტინელი არაბები არიან, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს უწყება ნაწილობრივ პოლიციურ ფუნქციასაც ითავსებს.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებში, ოპერატიული და ანალიტიკური მუშაობის შედეგად ტერორისტების მისამართით ქმედებათა განსაკუთრებული გამკაცრება გადაწყდა.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, ტერორიზმთან ბრძოლის განმხორციელებელი ჯგუფებისათვის მასშტაბური, ძვირადღირებული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პარალელურად, ტერორისტების (მათ შორის თვითმკვლელების) მორალური გატეხვის მიზნით, ისეთი ღონისძიებების გატარების შესახებ, როგორიცაა:[118]

- ღაზას სექტორიდან, მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროდან ***ტერორისტების ოჯახის წევრების დეპორტაცია*** - (აგენტურულ-ოპერატიული თვალსაზრისით

117.„Shin Bet". From Wikipedia, the free encyclopedia. http://en.wikipe-dia.org;

118.В.В.Позолотин. „Некоторые методы борьбы с террористами - смерт-никами в Израиле". www.iimes.ru;

ღონისძიების განხორციელების წინაპირობა იყო სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო ორგანიზაციით: ტერორისტის, მისი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების, კავშირების, მათი ხასიათის, საცხოვრებელი, სამუშაო ადგილების, გადაადგილების მარშრუტების დადგენა, სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ქვეყნის შიგნით, საერთაშორისო არენაზე);

- *ტერორისტების* (ტერორისტ-თვითმკვლელების) *სახლების ნგრევა*-(აგენტურულ-ოპერატიული თვალსაზრისით ღონისძიების განხორციელების წინაპირობა-სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო კოორდინაციით: ტერორისტების, მათი საკუთრების, დასაზიანებელი ობიექტის დაზიანების ხელსაყრელი ვითარების დადგენა, ქვეყნის შიგნით, საერთაშორისო არენაზე სასურველი საზოგადოებრივი აზრის მობილიზება);
- *მოკლული* (მათ შორის თვითმკვლელი) *ტერორისტების ოჯახის წევრების ფულადი ჯილდოების გადაცემის წყაროების გამოვლენა-ბლოკირება*.
აგენტურული თვალსაზრისით ღონისძიების განხორციელების წინაპირობაა: ტერორისტების (მათ შორის მოკლული) ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების, კონტაქტების, მათი ხასიათის დადგენა.);
- *ისრაელის საწინააღმდეგოდ მქადაგებელი იმ სასულიერო პირების გაუვნებელყოფა, რომლებსაც კავშირი აქვთ* (მათ შორის ტერორისტ-თვითმკვლელთა მიერ განხორციელებულ) *ტერაქტებთან* - (აგენტურული თვალსაზრისით ღონისძიების განხორციელების წინაპირობაა სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო ორგანიზებით: ტერორისტული ორგანიზაციების, ტერორისტების კავშირების, მათი ხასიათის, მხარდამჭერი სასულიერო პირების მათი კავშირების, ამ კავშირების ხასი-

ათის, ტერორისტული ორგანიზაციით მათი მაკავშირებლების დადგენა.);

- *პალესტინელი ტერორისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქტურის განადგურება* - (აგენტურული თვალსაზრისით ღონისძიების განხორციელების წინაპირობაა: ტერორისტული ორგანიზაციების, მათი ლიდერების, წევრების, კავშირების, ამ კავშირების ხასიათის, ინფრასტრუქტურული კომპლექსების განფენის, დაზიანების ხელსაყრელი დროის, პოზიციების შესწავლა.);
- *ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერების ლიკვიდაცია* - (აგენტურულ-ოპერატიული თვალსაზრისით ღონისძიების განხორციელების წინაპირობაა: ტერორისტული ორგანიზაციის, მათი ლიდერების, წევრების, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებების (განსაკუთრებით კონფლიქტური), კავშირების, მათი ხასიათის (მათ შორის კონფლიქტური), გადაადგილების, დისლოცირების ადგილების შესწავლა).

ტერორიზმთან ბრძოლაში წარმატების ერთ-ერთ განმაპირობებელ გარემობას პრობლემის მეცნიერული შესწავლა-გადაწყვეტა წარმოადგენს, რაც თავის თავში მსოფლიოს სახელმწიფოთა გამოცდილების გაზიარებასაც გულისხმობს.

2002 წლიდან ისრაელში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები ეროვნული უსაფრთხოების თემებზე სისტემატიურად მიმდინარეობს, რომლის მონაწილეები კერძო სექტორთან ერთად, იურისტები, პოლიციის უფროსები, შერიფები არიან.

სამეცნიერო კონფერენციებს ისრაელი ტექნოლოგიების რეკლამირებისათვისაც წარმატებულად იყენებს, რაც მათი რეალიზაციის თვალსაზრისით საუკეთესო საშუალებაა. დადებით შედეგებზე მაინიშნებს, ის გარემოება, რომ: „2006 წელს

წინა წელთან შედარებით ისრაელის კონტრტერორისტული პროდუქციის ექსპორტი 15%-ით გაიზარდა, ხოლო 2007 წლის პროგნოზირებადი მონაცემი 20%-იან მატებაზე იყო გათვლილი, რაც ისრაელის სახელმწიფოსათვის 1,2 მილიარდ დოლარის შემოსავალს ნიშნავდა ."[119]

დღეის მდგომარეობით, გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით ანტიტერორიზმის კუთხით პოლიციელების, სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოებს - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ისრაელს შორის სწავლების ორგანიზებამ სისტემატიური ხასიათი მიიღო.

სწავლების პროცესში პოლიციელები სიღრმისეულად შეისწავლიან ისლამურ ფუნდამენტალიზმს, ტერორისტიმკვლელების ამოცნობის მეთოდებს, ასაფეთქებელი ნივთიერებების სხეულზე განთავსებულ სამალავებს,[120] სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

119.„Израиль и стабильность апартеида катастроф". www.e-reading.biz;

120.„Israeli Experts Teach Police On Terrorism". By Sari HorwitzWashington Post Staff Writer Sunday, June 12, 2005. www.washingtonpost.com;

ზ) პედოფილების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორია ისრაელში

უახლესი ისტორიის განმავლობაში მსოფლიოს პოლიციური სისტემები პედოფილიის წინააღმდეგ აქტიურად იბრძვიან. მასშტაბების გათვალისწინებით ყველა სახელმწიფო დანაშაულის აღმოსაფხვრელად სასჯელის განსაკუთრებულ ზომებს აწესებს. ზოგიერთ სახელმწიფოში განსაზღვრული ვადით ან უვადოთ პედოფილებს იზოლირებულად, მათ შორის სპეციალურ დაწესებულებებში ათავსებენ, ისინი კასტრაციას ან სპეციალური პრეპარატებით (ინექცია) იძულებით მკურნალობას (აშშ-ის ბევრ შტატში, გერმანიაში ინგლისში, საფრანგეთში პოლონეთში და სხვა ქვეყნებში) ექვემდებარებიან.

ისეთ სახელმწიფოებში კი, როგორიცაა: სამხრეთ კორეა, ირანი, საუდის არაბეთი, ამ დანაშაულისათვის მოქალაქეებს სიკვდილით სჯიან. დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი ასეთი მიდგომები განპირობებულია პედოფილიის კუთხით ოპერატიული ვითარების დამძიმების თავიდან ასაცილებლად.


დანაშაულის პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გასატარებლად საჭიროა დანაშაულის, დამნაშავეთა დროული გამოვლენა, რაც პოლიციური სამსახურების მიერ უნდა განხორციელდეს. თანამედროვე ეტაპზე ამ მიზნებისათვის პოლიციური სისტემები ოპერატიულ-ტექნიკურ საშუალებებს აქტიურად იყენებენ.

სპეცსამსახურების, პოლიციური სისტემის მუშაობა წარმოუდგენელია ოპერატიულ-სამძებრო და აგენტურული ღონისძიებების გარეშე. მისი ორგანიზებისას განსაკუთრებული ყურადღება ოპერატიულ თამაშს უკავია, რომლის შემსრულებელად შესაძლებელია თვით ოპერატიული თანამ-

შრომელი, ან აგენტი, ან დაწყვილებულად ოპერატიული თანამშრომელი - აგენტი მოგვევლინოს.

ოპერატიულ საქმიანობაში ეტაპობრივად მაღალტექნოლოგური პროცესების დანერგვის მიუხედავად, ადამიანური ფაქტორის გამორიცხვა ვერ მოხერხდა. შესაბამისად ოპერატიულ საქმიანობაში ადამიანის და ტექნიკური საშუალებების შერწყმული ვარიანტის გამოყენება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საიდუმლო ოპერაციების წარმატებით ჩატარების ხარისხს, როგორც კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული თანამშრომელი-აგენტი, ან ცალ-ცალკე, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ან მის გარეშე შემთხვევებში.

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მსგავსად, პედოფილია ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად ითვლება ისრაელში. 2010 წლის ბოლოს 3-9 წლამდე ათეულობით ბავშვმა მშობლებს მათზე სასტიკი მოპყრობის შესახებ მიმართა. არსებობდა მონაცემები 20 ზრდასრული ადამიანისა და ათეულობით ბავშვის ორგიებში მონაწილეობის, ბავშვების სხვადასხვა ინსტრუმენტებით გაუპატიურების, მათზე ქიმიური, ნარკოტიკული ნივთიერებების, დამთრგუნველი ზემოქმედებისათვის რელიგიური რიტუალის, მაგიის გამოყენების შესახებ."[121]



2010 წელს ისრაელის პოლიციის მიერ თელ ავივში დაკავებული იქნა ინტერნეტ-პედოფილიაში ეჭვმიტანილი 33 წლის ბრავერმანი,[122] რომელმაც ინტერნეტის მეშვეობით კავშირი დაამყარა 8-15 წლამდე 1000-მდე გოგონასთან (მათ წინაშე ინტერ-

121.„Major Jewish pedophile ring exposed". November 29, 2012. www.john-friend.net;
122.„Israeli paedophile solicited 1,000 underage girls via Internet". By Tomer Zarchin, Haaretz Correspondent.www.davidicke.com (ფოტოსურათის წყაროც იქვე);

ნეტის მეშვეობით, ახორციელებდა მასტრუბაციას, ხოლო საკუთარ სახლში მიწვევით სამ გოგონასთან დამყარებული ჰქონდა სქესობრივი ურთიერთობა). სახეზეა პედოფილიის წინააღმდეგ ისრაელის პოლიციური სტრუქტურების მხრიდან სოციალური ქსელების სისტემატიური ოპერატიული კონტროლი, თვალთვალი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა ისრაელის უახლეს ისტორიაში პედოფილების წინააღმდეგ ჩატარებული ერთ-ერთი მასშტაბური, წარმატებული სპეცოპერაციის განხილვა ოპერატიულ-აგენტურული და ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებათა ჩატარების თვალსაზრისით.

2012 წელს პედოფილების წინააღმდეგ განხორციელებული სპეცოპერაციის წარმატება ქალი პოლიციელის (ოფიცერი) მიერ, 12 წლის გოგონას როლით შენიღბვით, სოციალური ქსელის გამოყენებით გახდა შესაძლებელი, სადაც წარმატებულად განხორციელდა ე.წ. ოპერატიული თამაში. ოპერაციის შედეგად დააკავეს პედოფილები, რომელთა ასაკი 35-56 წლამდე მერყეობდა.[123]

კრიმინალური წარსულის არმქონე დაკავებულ დამნაშავეთა პროფესიები ასე გამოიყურებოდა:

➢ *მეცნიერები*

(სადაზვერვო შეღწევადობის ძირითადი ობიექტების [განსაკუთრებით სრულიად საიდუმლო და საიდუმლო გრიფის ქვეშ სამეცნიერო სამუშაოების განმხორციელებელი ან ასეთ პირებთან ახლო კავშირებში მყოფი პირები და ა.შ.], მხრიდან ამ საქმიანობის შესახებ, უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების

123.„Israel Police arrests dozens of suspected pedophiles in nationwide operation". By Yaniv Kubovich. Jul. 31, 2012 .www.haaretz.com;

ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში შექმნილი იყო სადაზვერვო გადაბირებისათვის ხელსაყრელი პირობა, რომლის განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვანი საფრთხის ქვეშ დგებოდა ისრაელის ეროვნული უსაფრთხოება);

➢ ***<u>სპეცსამსახურის თანამშრომლები</u>***

(სადაზვერვო შეღწევადობის ძირითადი ობიექტების [როგორც სრულიად საიდუმლო და საიდუმლო ინფორმაციების მფლობელი ჯგუფის წევრები, რომლებსაც აგენტურულ ორგანიზაციასთან უშუალო შეხება აკავშირებთ, რომლებთათვისაც მნიშვნელოვანი დოზით ცნობილია სახელმწიფოს ხელისუფლების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების ობიექტები, სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდები და სხვა.] მხრიდან ამ საქმიანობის შესახებ უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებში შექმნილი იყო სადაზვერვო გადაბირებისათვის ხელსაყრელი პირობა, რომლის განხორციელების შემთხვევაში განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დგებოდა ისრაელის ეროვნული უსაფრთხოება. ამ შემთხვევაში სახეზეა ვითარება, როდესაც სპეცსამსახურების კომპლექტაციის პირობებში განხორციელებულია სპეცსამსახურში სამუშაოდ მისაღები კანდიდატის:

- ✓ არასრული ე.ი. არასწორი შერჩევა, შესწავლის პროცესი;
- ✓ უგუნვებელყოფილი სამსახურში ჩარიცხვის შემდგომ კომპრომენტაციისათვის ხელსაყრელ პირობებში მოღვაწე თანამშრომლის ოპერატიული კონტროლის პროცესი).

როგორც უკვე ავღნიშნეთ, დანაშაულის გახსნისათვის, ოპერატიული ინფორმაციების შეკრებისათვის, გადამოწმებისათვის გამოყენებული იყო ინტერნეტი (სოციალური ქსე-

ლი), რომლის შექმნის საფუძვლები, ჯერ კიდევ „ცივი ომის“ პირობებში სადაზვერვო ორგანიზებისათვის, მიზანმიმართული იდეოლოგიური დამუშავებისათვის და გადაბირებისათვის ხელსაყრელ პირობად ითვლებოდა.[124]ჩვენ შემთხვევაში ინტერნეტი პოლიციური დანაყოფის ოპერატიული საქმიანობის ხელშემწყობ ინსტრუმენტად იქცა. დაკავების შემდგომ ამოღებას დაექვემდებარა დამნაშავეთა კომპიუტერები, რომლის მეშვეობითაც ე.წ. პედოფილიის თვალსაზრისით კრიმინალური საიტების გამოვლენის, შემდგომი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გარდა, შესაძლებელი გახდებოდა დამნაშავეთა წრის (პედოფილების) კიდევ უფრო გაფართოება.

პოლიციური დანაყოფის მიერ ასეთი დანაშაულის გამოვლენა კონტრსადაზვერვო პრევენციულ ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ, რაც ინტერნეტს კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის სეგმენტის სტატუსს ანიჭებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2011 წლის მდგომარეობით პედოფილიასთან ბრძოლის თვალსაზრისით ისრაელში აქტიურად ორგანიზაცია „ვიცო“მოღვაწეობს, რომლის ჟიურის შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა დამცველები, ჟურნალისტები, იურისტები და აკადემიური წრეების წარმომადგენლები შედიან.[125]

ორგანიზაცია და ჟიურის წევრები წლის განმავლობაში ისრაელში წარმოებულ რეკლამაში ებრძვენ პედოფილიის ირიბ პროპაგანდასაც კი. შესაძლებელი ხდება პედოფილიის პროპაგანდის ნიშნების შემცველი, როგორც რეკლამის მწარმოებელი,

---

124.დ.კუხალაშვილი. „ინტერნეტის როლი სადაზვერვო ურთიერთობებში“. VI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის „ინტერნეტი და საზოგადოება“. ქუთაისი. 2013. მასალები. გვ.42-45.;

125.Цензура женского дня в Израиле: борьба против "рекламы для педофилов и маньяков". 7 марта 2011 г., http://newsru.co.il;

ასევე მისი განთავსების ადგილების გამოვლენა, რასაც პოლიციის ოპერატიული მუშაობის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს.

გამოდის რომ:

საომარი მოქმედებების სიტემატიურობით განპირობებული, არასტაბილური ოპერატიული ვითარების ფონზე, დომინირებისათვის მებრძოლ სახელმწიფოსთან სტრატეგიული პარტნიორობის უზრუნველყოფით, სადაზვერვო ორგანიზებით შესაძლებელია სახელმწიფოს მოსახლეობის ზრდადობის უზრუნველყოფა, რაც სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების განმაპირობებელი უცხო სახელმწიფოებიდან იაფი მუშახელის, ინტელექტის შედინებით, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერებისათვის აუცილებელი ძალების შევსებით მიიღწევა;

ძლიერი საპოლიციო სტრუქტურის შესაქმნელად აუცილებელი პოლიციელთა სწავლების, ატესტაციის სისტემატური ჩატარების ორგანიზება;

ტერორიზმის სადაზვერვო ორგანიზაცია სახელმწიფოში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე დამანგრეველად მოქმედებს, ხოლო პოლიციური სტრუქტურები ამ მიმართულებაზე კონტრსადაზვერვო ორგანიზების მნიშვნელოვანი სეგმენტები არიან;

ტერორიზმის წარმატებით ორგანიზებაში მნიშვნელოვანი ადგილი ტერორისტული ორგანიზაციების ჩამოყალიბების, სწავლება-აღჭურვის პროცესებს უკავია, რაც სტრატეგიული პარტნიორობით გამყარებულ ქმედებებს უნდა ემყარებოდეს;

ტერორისტული აქტები მოსახლეობაში შიშის, პანიკის ინსპირირების, დაუცველობის გამო მოსახლეობაში ხელისუფ-

ლებისადმი უარყოფითი განწყობების ჩამოყალიბების, სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი უნდობლობის, საინვენსტიციო გარემოს დაზიანების, ტურიზმის შეწყვეტის, სახელმწიფოს მდგრადობაზე დამანგრევლად მოქმედ სხვა შედეგების მაინსპირირებელი პირობაა;

არალეგალების სიჭარბე სახელმწიფოში ტერორიზმის, ნარკობიზნესის, სხვა სახის ორგანიზებული დანაშაულების გავრცობის ხელშემწყობი გარემოება;

ანტიტერორიზმის კუთხით ისრაელის სპეციალური დანაყოფების საკადრო უზრუნველყოფა იმ ებარაელებისაგან ხდებოდა, რომელთა მშობლებიც არაბული, მუსლიმანური ქვეყნებიდან იყვნენ ჩამოსული. სასურველი დიალექტის არაბული ენის, არაბების რელიგიური, კულტურული თავისებურებების ცოდნა სპეცოპერაციების წარმატებით განხორციელების საფუძველს წარმოადგენდა;

ოპერატიული ვითარების შენარჩუნება-კონტროლის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე პოლიციის ნებაყოფილობითი თანაშემწეების ინსტიტუტის საქმიანობას.

პოლიციური სისტემა, მასმედიასთან ერთად თავის საქმიანობაში საკუთარი ავტორიტეტის ამაღლებისათვის, სახელმწიფოს შიგნით, საერთაშორისო არენაზე დადებითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის მიზნით მასშტაბურ, მყარ, ანალიტიკურ-პროპაგანდისტულ საქმიანობას ეწევა;

ოპერატიული საქმიანობისას ფსიქოლოგიური ბრძოლის პროცესში საპოლიციო სტრუქტურები და სპეცსამსახურები ჭორების მიზანმიმართულ გავრცელებას აქტიურად იყენებენ;

თანამედროვე ეტაპზე ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლის უზრუნველსაყოფად, ტერორისტებთან ყოველგვარი დათმობები, გარიგებები გამოირიცხება, მუდმივ რეჟიმში მიმ-

დინარეობს ტერორიზმის მხარდამჭერ სახელმწიფოებზე ზეწოლა, აგრეთვე ამ მხარდაჭერის მოსაშლელად ყველა ძალისა-შუალების გამოყენება;

ტერორიზმთან ბრძოლის განმხორციელებელი ჯგუფებისათვის მასშტაბური, ძვირადღირებული ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის პარალელურად, ტერორისტების (მათ შორის თვითმკვლელების) მორალური გატეხვის მიზნით, ხორციელდება:

- ✓ ტერორისტების ოჯახის წევრების დეპორტაცია;
- ✓ ტერორისტების (თვითმკვლელების) სახლების ნგრევა, მოკლული (თვითმკვლელი) ტერორისტების ოჯახის წევრების ფულადი ჯილდოების გადაცემის წყაროების გამოვლენა-ბლოკირება;
- ✓ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მქადაგებელი იმ სასუ-ლიერო პირების გაუვნებელყოფა, რომლებსაც კავშირი ტერაქტებთან აქვთ;
- ✓ ტერორისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქ-ტურის განადგურება;
- ✓ ტერორისტული ორგანიზაციის ლიდერების ლიკ-ვიდაცია.

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო კოორდინაციით, აგენტურულ-ოპერატიული თვალსაზრისით ამ ღონისძიებების განხორციელების წინაპირობაა:

- ➢ ტერორისტის (მათ შორის მოკლული) და მისი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავების, კავშირების, მათი

ხასიათის, მათი საცხოვრებელი, სამუშაო ადგილების, გადაადგილების მარშრუტების დადგენა;

- ტერორისტების, მათი საკუთრების დაზიანების ხელსაყრელი ვითარების დადგენა;

- ტერორისტული ორგანიზაციების, ტერორისტების კავშირების, მათი ხასიათის, მხარდამჭერი სასულიერო პირების კავშირების, ამ კავშირების ხასიათის დადგენა;

- ტერორისტული ორგანიზაციების ინფრასტრუქტული კომპლექსების განფენის, დაზიანების ხელსაყრელი დროის, პოზიციების შესწავლა;

- ტერორისტული ორგანიზაციის, მათი ლიდერების, წევრების, მათ შორის ურთიერთ დამოკიდებულებების (განსაკუთრებით კონფლიქტური), კავშირების, მათი ხასიათის (მათ შორის კონფლიქტური), გადაადგილების და დისლოცირების ადგილების შესწავლა;

- ტერორიზმთან წარმატებული ბრძოლის განმაპირობებელ გარემოებას ოპერატიულ-აგენტურულ და ანალიტიკურ ორგანიზებასთან ერთად, მისი მეცნიერული შესწავლა, ამ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, უცხო ქვეყნების მიერ ამავე მიმართულებით ბრძოლის გამოცდილების სისტემატიური გაზიარება წარმოადგენს;

პედოფილიის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზებისას განსაკუთრებული ყურადღება ოპერატიულ თამაშს უკავია, რომლის შემსრულებელად შესაძლებელია თვით ოპერატიული თანამშრომელი, აგენტი, ან დაწყვილებულად აგენტი-ოპერატიული თანამშრომელი მოგვევლინოს.

ოპერატიულ საქმიანობაში ადამიანის და ტექნიკური საშუალებების შერწყმული ვარიანტის გამოყენება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საიდუმლო ოპერაციების წარმატებით ჩატარების ხარისხს, როგორც კონკრეტული აუცილებლობის შემთხვევაში ოპერატიული თანამშრომელი-აგენტის, ან ცალ-ცალკე, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ან მის გარეშე შემთხვევებში.

პედოფილიის წინააღმდეგ ისრაელის პოლიციური სტრუქტურების მხრიდან სოციალური ქსელების სისტემატიური ოპერატიული კონტროლი-თვალთვალი ხორციელდება.

7. დავით აღმაშენებლის დროინდელი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო სისტემის ორგანიზაცია

ა) სამეფოში შექმნილი ოპერატიული ვითარება.

ძველი წელთაღრიცხვიდან დღემდე სახელმწიფოთა განვითარების მნიშვნელოვან წინაპირობას, სახელმწიფოში ოპერატიული ვითარების (მათ შორის სტაბილური სოციალური, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური საქმიანობის, კრიმინალთან ბრძოლის დადებითი მაჩვენებლების უზრუნველყოფა) შენარჩუნებისაკენ, გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების სწორი დაგეგმარება წარმოადგენს. დადებითი ოპერატიული ვითარების უზრუნველყოფის მიღწევა სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული წარმატებული სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებებით არის შესაძლებელი. ამ კუთხით საინტერესოა დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდი.

დავით აღმაშენებლის გამეფებამდე, საქართველოს მისი მამა გიორგი II (1072-1089 წლებში) მართავდა რომელმაც, უმძიმესი მემკვიდრეობა მიიღო: 'ეკლესიანი და გლეხნი, აზნაურნი და გლახაკნი ვერ იკითხვებოდეს.~[126]

სამეფო კარზე ყველაზე წონიან მოაზროვნედ გიორგი ჭყონდიდელი ითვლებოდა, თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას უპირველესი როლი, რა თქმა უნდა გიორგი II-ის პოზიციას ენიჭებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ დავით აღმაშენებელი მუდმივად მონაწილეობდა მეფის კარზე განსახილველი მნიშვნელოვანი საშინაო და საგარეო საკითხების განხილვაში.

გიორგი II მეფობის ბოლო პერიოდში, მსოფლიო ასპარეზზე დომინანტის როლის მოსაპოვებლად ძირითადად სელჩუკები და

126.აკად.მ.ლორთქიფანიძე, აკად.დ.მუსხელიშვილი, აკად.რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 353;

ბიზანტიელები იბრძოდნენ. საქართველოში შექმნილ ვი-თარებას სწორედ ამ ქვეყნების სადაზვერვო საქმიანობის ხარისხი განსაზღვრავდა.

სელჩუკთა ძლიერი, საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის მებრძოლი სახელმწიფო 1038 წელს ჩამოყალიბდა. მან უმოკლეს პერიოდში სხვადასხვა ქვეყნების დაპყრობის, ტერიტორიული კონტროლის უზრუნველმყოფი ქმედებები წარმატებით განახორციელა. ასე მაგალითად, დაპყრობილი იქნა:

- XI საუკუნის 40-50-იან წლებში-ხორზემი, ირანი, აზერბაიჯანი, ქურთისტანი, ერაყი;
- XI საუკუნის 60-70-იან წლებში–სომხეთი, კარახანიდების სახელმწიფო მცირე აზიაში და სხვა სახელმწიფოები;

1071 წელს სელჩუკებმა, საერთაშორისო ასპარეზზე დომინირებისათვის მებრძოლი ბიზანტიელები მანასკერტთან ბრძოლაში დაამარცხეს.

ბიზანტიაში სწორი, დროული სადაზვერვო ინფორმაციული სისტემის არსებობაზე მიანიშნებს, ამ პერიოდისათვის *ქართული ციხე-სიმაგრეებიდან ბიზანტიელი ჯარისკაცების გაყვანის, მათი ქართველებზე ოპერატიული გადაცემის პროცესის ორგანიზება.*

სახეზე იყო ურთიერთთანამშრომლობა,[127] *რაც სტრატეგიული პარტნიორობის თვალსაზრისით ადგილობრივ მოსახლეობაში დადებითი საზოგადოებრივი აზრის განმაპირობებელი გარემოება იყო, თუმც ბიზანტიამ ეს ქმედება პერსპექტივაში (სელჩუკების წინააღმდეგ, ქართველებთან ერთად წინასწარ წაგებისათვის განწირულ ბრძოლაში ჩართვის შემთხვევაში), სამხედრო ძლიერების განმაპირობებელი ცოცხალი (სამხედრო) ძალის, სრული განადგურების თავიდან ასაცილებლად განახორციელა* („ძალი

127.როინ მეტრეველი, ჯაბა სამუშია. „მეფეთ მეფე გიორგი II“. გვ.94-95;

ბერძენთაცა შემცირებული იყო და, რომელნი ქვეყანანი აღმოსავლეთს ჰქონდეს, ზღვასა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა.“)[128]

ფაქტობრივად, საეთაშორისო არენაზე დომინანტი სახელმწიფოს როლისათვის მებრძოლ სახელმწიფოეთა შორის სელჩუკთა სახელმწიფომ გაიმარჯვა.

სადაზვერვო კონტროლის მასშტაბების გასაზრდელად სელჩუკებმა, საომარი მოქმედებებისათვის აღმოსავლეთი სივრცის შეუფერხებელ გამოყენებასთან ერთად, ბიზანტიისაგან იძულებით დათმობილი აღმოსავლეთის ტერიტორიების დიდი ნაწილიც მიიღეს. მათი მხრიდან მტრული საქმიანობა საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ გააქტიურდა: „და ვინათგან მეზობლობით მოეხალნეს საზღვართა ჩვენთა, განმრავლდა შიში და ჭირი მათგან ჩვენ ზედა. რამეთუ იწყეს მიერითგან რბევად, ტყუენვად და მოოხრებად, წუად, სვრად და ტყვეობად ჩვენ ქრისტიანეთა.“[129]

ფაქტობრივად, საქართველოში შეიქმნა ტერიტორიული რღვევის წინაპირობა. უფრო მეტიც, მოვლენების განვითარების ანალიზი იძლეოდა საშუალებას გათვლაზე, რომ სელჩუკთა მოქმედებები ერის განადგურებისაკენ იქნებოდა მიმართული.

სამეფოს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებელი იყო მფარველი სახელმწიფოს მოძიება. 1078 წლისათვის გიორგი II-ის *<u>სამეფო კარზე გადარჩენის ერთ-ერთ იმედად დომინირებისათვის მებრძოლი სახელმწიფოს მმართველის ახლო ნათესაური კავშირი რჩებოდა.</u>*

ამ პერიოდისათვის, ბიზანტიის ახალმა მბრძანებლმა, ყოფილი კეისრის მეუღლე, გიორგი II-ის და დედოფალი მარიამი ცოლად შეირთო. ნათესაურ კავშირზე გათვლა და იმედი მცდარი აღმოჩნდა. შეიქმნა პირობა როდესაც, გიორგი II მფარველი სა-

---

128.(ც ა მ სა დთ სი *516, გვ.284) ივანე ჯავახიშვილი. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტომი II. თსუ. 1983. გვ.161;

129.„ქართლის ცხოვრება“.„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. 1996. გვ.244;

ხელმწიფოს გარეშე ბრძოლას მტრის წინააღმდეგ დამოუკიდებლად, წარმატებით განაგრძობს.

სტრატეგიული მიზნებისათვის მიუღებელი მმართველის ჩამოსაცილებლად სელჩუკებმა ლიკვიდაციისათვის ***აქტიურ სადაზვერვო ღონისძიებები*** დაგეგმეს.

1080 წლისათვის სამეფო კონტრდაზვერვის და დაზვერვის სამსახურების წარუმატებელ საქმიანობაზე მიანიშნებს თურქ-სელჩუქთა აგენტურული აპარატის არსებობა გიორგი II-ის უახლოეს გარემოცვაში.

სწორედ მეფის მსახურთა შორის სადაზვერვო ხასიათის აგენტურული შეღწევადობა ხდება მიზეზი ლიკვიდაციის მიზნით, ყველის ციხეში დაბანაკებულ გიორგი II-ზე მტრის მხრიდან საკმაოდ შენიღბული თავდასხმის („დაესხნეს უგრძნეულად თურქნი დიდნი...მოვიდეს ესენი შინაგან-ცემითა ქრისტიანეთათა..."),[130]ორგანიზება.

სადაზვერვო ხასიათის ლიკვიდაციის წარუმატებლობის მიუხედავად, დამაზიანებელი ზემოქმედებების ორგანიზებას ხელი არ შეუშალა.

თავდასხმამ აჭარის გავლით აფხაზეთში, მეფის იძულებით გახიზვნა, სამეფოსათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების აწიოკება, ძარცვა, ადგილობრივი მოსახლეობის მკვიდრი საცხოვრისიდან აყრა განაპირობა.

სადაზვერო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის ისტორიაში მრავლადაა მაგალითები, როდესაც მოწინააღმდეგე სახელმწიფოზე სადაზვერვო კონტროლის უზრუნველსაყოფად, ქმედებები ***ერის სულიერი და ფიზიკური გადაგვარება-გადაშენებისაკენ იყო მიმართული.*** ამ კუთხით არც სელჩუკები იყვნენ გამონაკლისი. მათი ქმედებები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

130.„ქართლის ცხოვრება". „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი." 1996.. გვ.244;



ძირითადი დამაზიანებელი ქმედებების (ტერიტორიების დაპყრობა) ორგანიზების შემდგომ, სელჩუკთა ***მხარდაჭერით მოსარგებლე,*** მცირე აზიიდან გადმოხვეწილი სელჩუკები, ***ტომებად დასახლდნენ*** თბილისიდან ბარდავამდე მტკვრის მთელ სანაპიროზე და ივრის საუკეთესო ზამთრის საძოვრებზე. ისინი ქართულ მოსახლეობას გაზაფხულიდან ზამთრამდე სისტემატიურად თავს ესხმოდნენ და სარჩო-საბადებელს ართმევდნენ („და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა...").[131] შედეგობრივად, პროცესი სოფლის მეურნეობის, საერთოდ სახელმწიფოს განვითარებაზე დამანგრეველ ზემოქმედებას ახდენდა. სახეზე იყო სასურსათო უსაფრთხოების რღვევის ორგანიზება (ამ სადაზვერვო მეთოდს დღემდე აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სახელმწიფოები), რაც

131.„ქართლის ცხოვრება". „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი." 1996. გვ.245;

ქართულ ***მოსახლეობაში დაუცველობიდან მომდინარე შიშის, სამეფო მართველობისადმი უარყოფითი განწყობების ინსპირირებას უწყობდა ხელს.***

სამეფოსადმი აქტიური სადაზვერვო ზემოქმედების გამო, 1083 წლისათვის გიორგი II იძულებულია მიიღოს გადაწყვეტილება, სულთანთან ისპაჰანში ჩასვლის, სიტუაციის დარეგულირების სანაცვლოდ, ყოველწლიური ხარკის გადახდაზე მოლაპარაკებების საწარმოებლად. მოლაპარაკება „წარმატებით" დასრულდა. მისი გადახდა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი გრძელდებოდა. იმავე მოლაპარაკების საზიანო შედეგზე მეტყველებს გიორგი II-ის მიმართ მალიქ-შახის მიერ მიცემული დავალება-სულთანის სამხედრო შენაერთებთან კოორდინაციაში კახთა დარბევის ორგანიზების შესახებ.

დამაზიანებელი კოორდინაცია გიორგი II–ის ყოფილი სტრატეგიულად პარტნიორი იმ მმართველის წინააღმდეგ უნდა განხორციელებულიყო, რომლის სამხედრო ძალის უშუალო მონაწილეობამ მეფეს,[132] მელიქ-შახის მიერ განძის მმართველად მოვლენილ სარანგთან (ფარცხისთან) ბრძოლაში წარმატება მოუტანა. მოსალოდნელი ზიანისაგან თავდაცვის მიზნით, კახთა მეფეც იძულებული გახადა ჩასულიყო სულთანთან და ქრისტიანობაზე უარის თქმით („წარვიდა მალიქშას წინაშე, დაუტევა ქრისტიანობა"),[133]კახეთის საკუთარ კოტროლს ქვეშ შენარჩუნება კვლავ უზრუნველყო.

სახეზეა ქართული სამთავროების შეკავშირების აღკვეთის მიზნით სწორად გათვლილი სადაზვერვო ქმედებების, სტრატეგიულად პარტნიორ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის მიზან-

---

132.აკად. მ. ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 356;

133.„ქართლის ცხოვრება."„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ.247;

მიმართული ინსპირირების ორგანიზაცია (მეთოდი, რომელიც დღემდე აქტიურად გამოიყენება).

სახელმწიფოში შექმნილი ისედაც მძიმე ვითარება 1088 წლის განმავლობაში მომხდარმა ***მიწისძვრებმა*** კიდევ უფრო დაამძიმა, რომელმაც დიდი მატერიალური ზარალის გარდა, მრავალრიცხოვანი ადამიანის მსხვერპლი გამოიწვია: „შეძრა ქვეყანა საფუძვლითურთ, ესოდენ სასტიკად, ვიდრემდის მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიდალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს".[134]

ფაქტობრივად, საშინაო და საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით, სამეფო არსებული წეს-წყობილების ძალადობრივი რღვევის საშიშროების წინაშე იდგა, რადგან უცხო სახელმწიფოს მხრიდან აქტიურ ***სადაზვერვო კონტროლს ექვემდებარებოდა.***

134. აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ. მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 360;

ბ) მეფისადმი მტრულად მოქმედი შიდა ძალები

გიორგი II-ის მეფობისას შექმნილი *<u>მძიმე ოპერატიული ვითარების გამოწვევას ხელს უწყობდნენ, მეფისადმი მტრულად მოქმედი და განწყობილი გავლენიანი ფეოდალები.</u>*

ჯერ კიდევ გიორგი II-ის გამეფებიდან მოკლე ვადაში, 1073 წელს სამეფო კარს არეულობების გამოსაწვევად განუდგნენ სქემაზე აღნიშნული დიდებულები:

ნინია ქუაბულისძე

[საქართველოს ისტორიული ციხე-ქალაქის, თმოგვის ციხის (ჯავახეთი, ეხლანდელი ასპინძის რაიონის მფლობელი. 1069 წელს ივანე ბაღვაშთან და ყუელის ერისთავ ურვან ჯაყელთან ერთად უზრუნველყო განძის ამირის ფადლონის დამარცხება და საქართველოდან განდევნა]

ივანე ლიპარტის ძე ბაღვაში (და მისი შვილი ლიპარტი)

[სპასალარი, კლდეკარის ერისთავი]

ვარდან სვანთა ერისთავი

[ფეოდალი]

მეფესთან დაუმორჩილებლობის გამოხატულების ნიშნად, ნიანია ქვაბულის ძე ქუთაისს, ხოლო კახელებთან კოორდინაციაში ივანე ლიპარტის ძე ქსნისპირს კონტროლს უქვემდებარებენ, ვარდანი კი სვანების მხრიდან საეგროს აწიოკებას უზრუნველყოფს.

გიორგი II სიბრძნით და სიმშვიდით, მნიშვნელოვანი დათმობებით (ნიანია ქვაბულის ძეს საჩუქრად თმოგვი, ვარდან სვანთა ერისთავს ასკალანა, ივანე ლიპარტის ძეს სამშვილდე, ხოლო მის

ვაჟს ლიპარტს ლოწობანი გადაეცა...) უთანხმოების მცირე ხნით მოგვარებას შესაძლებელს ხდის.

კონფლიქტი განფენის მიხედვით სადაზვერვო ხასიათისაა, რაც სამეფოს შიგნით მისი აღმსრულებლების სადაზვერვო შეღწევადობაზე, აგენტურულ თანამშრომლობაზე უნდა მიანიშნებდეს.

გამოთქმული მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება მტკიცებულებანი, რომლის მიხედვითაც:

- ✓ „1073 წლის ზაფხულის გამოსვლა, მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ დიდგვაროვან ფეოდალთა მხრიდან წლების მანძილზე მზადდებოდა.“[135]

- ✓ მეფის დასაჩუქრებიდან ერთი წლის შემდგომ, ივანე ლიპარტის ძე, <u>სამეფო კონტროლს დაქვემდებარებულ ქ.გაგის დატაცებას და განძის ამირაზე გადაცემას უკეთებს ორგანიზებას</u> [„იგი საქართველოს მეფეს მხოლოდ სიტყვით უცხადებდა თავის მორჩილებას...ყოველგვარ ხერხს მიმართავს იმისათვის, რომ მეფესთან ბრძოლაში გამოიყენოს უცხო ძალები“[136]].

- ✓ მელიქ-შაჰის საქართველოში შემოჭრისას, სამშვილდის აღების, ქართლის დარბევის ფონზე ივანე ლიპარტის ძე მის შვილთან ერთად სათანადო სამსახურის გასაწევად სტუმრობს სულთანს;
- ✓ [სტეფანოზ ორბელიანის ცნობის მიხედვით] 1048 ან 1049-1050 წლებში ბიზანტიის მხარდასაჭერად ***<u>ივანე ლიპარტის ძის ორგანიზებით</u>*** ხორციელდება კონტ-

---

135.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე“. ტ. II, გვ. 354;

136.იქვე, გვ. 355;

როლს დაქვემდებარებული 700 დიდი აზნაურისა და 16000-იანი ჯარის (რაც, განდგომილი ერისთავების მორჩილი, მასშტაბური სამხედრო ძალაა, რომელსაც მნიშვნელოვანი როლი შეეძლო ეთამაშა მეფის ძალადობრივი დამხობის ორგანიზებაში) სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოყვანა.

- ✓ [მემატიანეზე დაყრდნობით] ბიზანტიელების მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საომარი მოქმედებების (1021-1054 წლები) შემდგომ ***საქართველოს მასშტაბური დაქუცმაცებისაკენ მიმართული ღონისძიებების შეწყვეტა, სელჩუკებთან დამარცხებას უკავშირდება.***

ბიზანტიის სტრატეგიულ ინტერესებში, მტრული ძალის-სელჩუკების საწინააღმდეგოდ სამოქმედოდ, საქართველოს გაძლიერება შედიოდა, რაც ამ პროცესის ხელშეწყობისათვის სასურველი პირობების შექმნის აუცილებლობას ითხოვდა. სწორედ ამ მიზნით, ***ბიზანტიელებმა ერისთავ ლიპარიტს დახმარება შეუწყვიტეს***. სახეზეა ***ბიზანტიის და სელჩუკების სადაზვერვო აქტივობებით, აგენტურული შეღწევადობა***.

მოსაზრებას ამყარებს აგრეთვე ის გარემოება, რომ უძველესი პერიოდიდან დღემდე პერსპექტიული სადაზვერვო აპარატის წევრობისათვის სასურველი პირობა, დაზვერვას დაქვემდებარებული სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიის, შეიარაღებული ძალების და ა.შ. მმართველობის მაღალ საფეხურზე ყოფნა, ან ხელოვნური პირობებით მისი მაღალ საფეხურზე აყვანის ორგანიზება იყო. ამ მიმართებით ივანე და ლიპარტ ბაღვაშებს ხელსაყრელი პოზიციები გააჩნდათ. მათ კონტროლს კლდეკარის საერისთავო [თრიალეთი, ატენის ციხე, მანგლისხევი, არგვეთი (ზემო იმერეთი) საკურეთი (სკორეთი)] ექვემ-

დებარებოდა.

ამასთან ერთად, საერისთაო აღმოსავლეთით, ალგეთისა და სკორეთის ხეობებით თბილისის საემიროს ესაზღვრებოდა, ხოლო ჯავახეთიდან თრიალეთზე გავლით, ქართლში გადასასვლელ ერთადერთ გზას ბაღვაშები აკონტროლებდნენ.

გ) სამეფო ხელისუფლება და ეკლესია.

საქართველოს ისტორიაში უცხო და შინაგან მტერთან წინააღმდეგ ბრძოლაში, სამეფო ხელისუფლების გამყარებაში მნიშვნელოვან დადებით როლს მართლმადიდებლური ეკლესია ასრულებდა.

გიორგი II-ის მეფობის ბოლო პერიოდისათვის საქართველოს ეკლესია მრავალიცხოვან მამულებსა და შეუვალობის იმუნიტეტს ფლობდა. ეკლესიას თავისი მრავალრიცხოვანი და დიდი მამულებით, ადმინისტრაციული ქსელით ქვეყნის გამაერთიანებელის ფუნქციის შესრულება შეეძლო.

შემდგომში, უკვე მომძლავრებული ეკლესიის ავტორიტეტი თანდათან მატულობს, იზრდება საეკლესიო ფეოდალური არისტოკრატია თავიანთი საყმო-სამფლობელოებით, რომელთაც დამოუკიდებელი ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებები მოეპოვებოდათ. საქმე იქამდე მიდიოდა, რომ საეკლესიო მიწისმფლობელობა უპირისპირდებოდა ერისმთავრობის მემამულეობას."[137] ვითარების მოგვარებაზე სასურველ დადებით ზემოქმედებას მეფე ვერ ახდენდა.

ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ადგილობრივ კონფლიქტთან ერთად სამეფო ხელისუფლებას სახეზე ჰქონდა კონფლიქტი საეკლესიო ხელისუფლებასთან. ფაქტობრივად სამეფოში არსებობდა ხელსაყრელი პირობები უცხო სახელმწიფოთა სადაზვერვო შეღწევადობისათვის.

სამეფოში შექმნილი ვითარების იდენტურად უმძიმესი ვითარება იყო ეკლესიაში, სადაც უფლისმსახურებას, მრავალი უარყოფითი საქმიანი და პირადი თვისებებით გამორჩეული ღვთის მსახური ეწეოდა. [„წმინდანი ეკლესიანი, სახლი ღრმთისანი, ქუაბ

137.ბ.ლომინაძე. „სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII-XII ს.ს. საქართველოში", კრებ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ67;

ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა, და მათნივე მსგავსი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა საღრმთოთა უსჯულოებასა აეურთიდეს მათ ქუეშეთა ყოველთა და თვით სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა ყოველი უსჯულოება და ცოდვა"[138]. ეკლესიაში შექმნილ ვითარებაზე მიანიშნებს ისეთის ქმედებების ორგანიზება, როგორიცაა:

- ✓ საეკლესიო ქონების დატაცება-განიავება;
- ✓ ეკლესიის გვერდის ავლით მცირე ასაკის ქალთა ჯვრისწერა;
- ✓ მექრთამეობა;
- ✓ მონასტრებში მოძღვართა სიმრავლის გამო სისტემატიური კონფლიქტები;
- ✓ აკრძალვის პირობებში მონასტრების ირგვლივ ვაჭრობების ორგანიზება;
- ✓ მონასტრებში სოდომური ცოდვების ჩამდენთა შეღწევა, დამკვიდრება;
- ✓ საეკლესიო თანამდებობებზე გამოცდილების არ მქონე პირების ხელდასმა (რითაც არსებობდა მნიშვნელოვანი წინაპირობა, რომ ისინი ვერ შეძლებდნენ პროცესების სწორად დაგეგმვას, განხორციელებას და კონტროლს).

138.„ქართლის ცხოვრება.“ „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი.“ 1996. გვ. 250-251;

ფაქტობრივად, სახეზე იყო, *მრევლის სულიერი მდგომარეობის არამდგრადობა, რაც მოწინააღმდეგე ქვეყნების სადაზვერვო შეღწევადობის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა*.

განვითარებული ისტორიული მოვლენების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამეფოში შექმნილ მძიმე ოპერატიულ ვითარებას მნიშვნელოვანწილად გიორგი II-ის საქმიანი და პირადი თვისებები განაპირობებდა:

- ✓ „სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და არც სახელმწიფოს მმართველად ვარგოდა: მას უფრო გართობა და ნადირობა იტაცებდა, ვიდრე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვა";[139]

- ✓ „სუსტი ნებისყოფის ადამიანი იყო და სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობისათვის მესაჭედ არ ვარგოდა";[140]

- ✓ „არ იყო მეფობისათვის შესაფერი კაცი, თუმც სიმამაცით და ცხენოსან-მშვილდოსნობით იყო გამორჩეული";[141]

- ✓ „სამეფო კარის ღალატში შემჩნეული დიდგვაროვნები დასჯის მაგივრად დასაჩუქრებულნი, „რა გასაკვირია, რომ ისინი კვლავ აჯანყებულიყვნენ".[142] აჯანყდნენ კიდეც.

139.ს.ჯანაშია, ნ.ბერძენიშვილი „საქართველოს ისტორია". თბ.„მერანი", 1990, გვ.123;

140.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია". წიგნი II. 2012. გვ.311;


141.ლევან სანიკიძე. „უქარქაშო ხმლები". I-II, თბილისი, 1993, გვ.262;

142.ივანე ჯავახიშვილი. „თხზულებანი თორმეტ ტომად". თსუ. თბ. 1983. გვ. 159;

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. დავით აღმაშენებლის გამეფებამდე პერიოდი, უმძიმესი ოპერატიული (პოლიტიკური-სოციალური და ეკონომიკური) ვითარებით ხასიათდებოდა, რომლის გამოწვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად, საქართველოს მიმართ, დომინანტის როლის მოპოვებისათვის მებრძოლი ორი სახელმწიფოს ბიზანტიისა და სელჩუკების მტრულმა საქმიანობამ განაპირობა.

მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით, ორივე სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებში საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქუცმაცება და მართვა წარმოადგენდა. ორთავე მტრული ძალა აშკარა საბრძოლო მოქმედებების გარდა წმინდა სადაზვერვო ქმედებებსაც ანხორციელებდა, რომლის ჩამონათვალი ასახულია სქემაზე:



საქართველოსადმი სადაზვერვო ქმედებების განხორციელებას ადასტურებს ის გარემოება, რომ სელჩუკებთან ბიზანტიელების დამარცხების შემდგომ, სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით ბიზანტიის ნების აღმსრულებელ ქართველ დიდგვაროვანს უწყდება დახმარება საქართველოს წინააღმდეგ მტრული აქციების საწარმოებლად.

2. ქართველ დიდგვაროვანთა უცხო ქვეყნებთან სადაზვერვო თანამშრომლობის ფაქტს მტრის განზრახვების თანმხვედრი, საქართველოს დასუსტებისაკენ მიმართული ქმედებები ადასტურებენ, რომლებიც სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



3. ზემოაღნიშნული მიზნებისათვის მტრული ძალა, საქართველოში საომარი მოქმედებების დროს იყენებდა მეთოდებს, რომლებიც შედეგობრივი თვალსაზრისით სადაზვერვო ხასიათს ატარებდა:

ა) მოსახლეობაში შიშის, პანიკის ინსპირირებისათვის ადამიანების უმოწყალო და მასობრივი ხოცვა-ჟლეტვა, ასევე ქართველი კაცებისა და ყმაწვილების დაკოდვა, რაც პერსპექტივაში სამეფოს (მათ შორის სამხედრო და სასურსათო) უსაფრთხოების ორგანიზებისათვის აუცილებელი ცოცხალი ძალის შემცირების უზრუნველსაყოფი საუკეთესო საშუალება იყო;


ბ) *მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ვითარების ინსპირირების და გაღრმავების მიზნით* შინაური პირუტყვის ხოცვა-ჟლეტვა, აგრარული ქვეყნის მოსახლეობისათვის, პერსპექტივაში *ძირითადი საკვების მოსპობის უზრუნველმყოფი ქმედება, რითაც სამკვიდრო ადგილებიდან მოსახლეობის მასშტაბური გადასახლება მიიღწევა;*

გ) ჯანმრთელი ქართველი ტყვეების (მათ შორის ჩვილი ბავშვების) საქართველოდან გაყვანა-*ქვეყნის ეკონომიკური დაუძლურების, დამტყვევებელი ქვეყნისათვის თითქმის უფასო მუშახელის ხელში ჩაგდების უზრუნველყოფა;*

დ) განსაკუთრებული სისასტიკით ქრისტიანების, მათ შორის საეკლესიო მოღვაწეების დახოცვა–*რწმენის შესუსტების უზრუნველმყოფი ღონისძიება*.

ქვეყანაში შიშის და პანიკის მასშტაბურობას ხელს უწყობდა ეკლესიაში უარყოფითი საქმიანი და პირადი თვისებების მქონე

ადამიანებით კომპლექტაცია, რომლის შედეგები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:



მექრთამეობა, საფეხურეობრივი გადაადგილების უზრუნველსაყოფად


სოდომური ცოდვების ჩამდენი პირების მოღვაწეობა ეკლესიაში

ე) მოსახლეობაში არსებული ქონების დატაცება და პირუტყვის გამოსაკვები ტერიტორიების ბლოკირება, რაც ***ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის დასუსტების უზრუნველყოფასთან ერთად, მოსახლეობის მკვიდრი ადგილებიდან აყრას ემსახურებოდა.***

4. უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამომწვევ მიზეზთაგან გამორჩეულია გიორგი II-ის ***პირადი და საქმიანი თვისებები*** (მათ შორის ქვეყნის ***მოღალატე დიდგვაროვანთა*** (როგორც განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენეს ***გაუმართლებელი***) ***წახალისება*** ზავის მისაღწევად, ***გრძოლის ველის მიტოვება გასართობად წასვლის მოტივით,*** ზავის პირობებზე (მათ შორის კახთა აოხრება) დათანხმებით, კახთა მეფის,

სტრატეგიულ პარტნიორად ქცევის ნაცვლად მტრად (მათ შორის რელიგიური თვალსაზრისითაც) *გადაქცევა* და ა.შ.} იყო.

5. დავით აღმაშენებელი სისტემატიურად იღებდა მონაწილეობას მისი მამის გიორგი II-ის მეფობის პერიოდში, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სათანადო ანალიზით მას შეეძლო ქვეყნის არსებობის და განვითარებისათვის ხელშემშლელი ფაქტორები, ქვეყნის შიგნით სამეფო კარის წინააღმდეგ მომქმედ ძალებთან ერთად, მტრულად განწყობილი სახელმწიფოები გამოეკვეთა. ამასთან ერთად, სათანადო ანალიზისათვის დავით აღმაშენებლისათვის სქემაზე მინიშნებული მონაცემების შეკრება ცნო-ბილი იქნებოდა:



ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ გიორგი II-ის სამეფო ხელისუფლება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ კრახს განიცდიდა. მმართველობით სფეროში მნიშვნელოვანი საკადრო (მათ შორის მეფის) ცვალება-

დობის გარეშე სამეფოს არსებობის საკითხიც კი კითხვის ქვეშ რჩებოდა.

დ) დავით აღმაშენებელი

ურთულეს სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებაში მყოფ საქართველოს სამეფო კარზე მნიშვნელოვანი ცვლილებების დრო დადგა.

1089 წელს, 16 წლის ასაკში საქართველოს მეფედ დავით IV აღმაშენებელი მოევლინა.

დაშინებული, დათრგუნული, სამეფოში მცხოვრები და სამეფოდან იძულებით გაქცეული ხალხის დამშვიდებამ, 1092 წლისათვის თურქთა მმართველის მელიქ-შახის გადარცვალების გამო მტრულ სახელმწიფოში ტახტისთვის ბრძოლაში შიდა ბრძოლების ინსპირირებამ, ქართველ ხალხში იმედის ნაპერწკალი გააღვივა. ყოველივე კი, სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესის დაწყებისათვის ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა. თუმცა არსებობდა მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი პირობები, მათ შორის დიდგვაროვნები, რომლებიც სამეფოს ერთიანობის საწინააღმდგოდ ახალი მეფის პირობებში თვითნებობდნენ.

ლიპარტ ამირამ, თავისი წინაპრების მსგავსად, დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ 1093 წელს შეთქმულება დაგეგმა („ივანე ლიპარტის ძე ამირამან იწყო მათვე მამულპაპურთა კუალთა სვლა"),[143] რის შესახებაც სამეფო კარისათვის დროულად გახდა ცნობილი, რაც *კონტრსადაზვერვო ბასიათის ოპერატიული საქმიანობის* კარგ ორგანიზებაზემიანიშნებს.

აჯანყების აღკვეთას ლიპარტის დაპატიმრება, მისთვის თანამდებობის და ქონების ჩამორთმევა მოჰყვა.

მეფის გადაწყვეტილებით პატიმრობიდან მალევე განთავისუფლებულ ლიპარტ ამირას, ქონება და თანამდებობა დაუბრუნ-

143. „ქართლის ცხოვრება". „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ. 249;

და, მაგრამ 1095 წლისათვის შეთქმულების ორგანიზაციის გამო ორი წლით კვლავ დააპატიმრეს, ხოლო შემდგომ ქონება ჩამოართვეს და საქართველოდან გააბევეს. დასაშვებია ვარაუდი, პატიმრობიდან განთავისუფლებისთანავე ლიპარტზე *კონტრსადაზვერვო ბასიათის-ოპერატიული მეთვალყურეობის* განხორციელების შესახებ.

ქონება ჩამოერთვა ლიპარტის შვილსაც, რაც მის შეთქმულებაში მონაწილეობაზე მიანიშნებს. გამოდის, რომ არსებული წეს-წყობილების შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველობის (მათ შორის პატიმრობის პირობებში ზეგავლენა მომხრეებზე) მქონე დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის სახედ: ქონების ჩამორთმევა და ქვეყნიდან გაძევება გამოიყენებოდა.

1097 წლისათვის დავით აღმაშენებლის კარის მხრიდან განხორციელებულ წარმატებულ სადაზვერვო საქმიანობაზე მიანიშნებს:

• სამეფო კარზე ჯვაროსნების მხრიდან იერუსალიმის აღებისა და შესაბამისად მაჰმადიანთა დასუსტების, ამ მხრივ საერთაშორისო ასპარეზზე უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შესახებ მონაცემების არსებობა.

• დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელის ლაშქარში ჯვაროსნების მონაწილეობა, რაც ჯვაროსნებთან სადაზვერვო კოორდინაციის, სამხედრო-სტრატეგიული ამოცანების თანხვედრის დამადასტურებელია [„იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ დაცული ცნობა, რომ იერუსალიმის მეფეს ბოლდუინ II-ს (1119-1131 წწ.) გარკვეული კავშირი ჰქონდა დავით აღმაშენებელთან. ისინი *საიდუმლოდაც ხვდე-ბოდნენ ერთმანეთს*“[144]].

ხელსაყრელი პოლიტიკური და სამხედრო გადაწყვეტილების თვალსაზრისით სწორი *სადაზვერვო და კონტრსადაზვერო*

144.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ. მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე“. ტ. II, გვ. 409;

ანალიტიკური საქმიანობის შედეგია მამის პერიოდში ქვეყნისათვის დაკისრებული ხარკის გადახდაზე, დავით IV-ის უარის თქმა [„სწორედ ამის შემდგომ სელჯუკიან სულთნებისათვის ხარკის ძლევა შესწყვიტა"[145]].

მცირედი შვების მიუხედავად, *ქვეყნის მნიშვნელოვან ტერიტორიაზე (მათ შორის თბილისი) და ციხეებზე არსებობდა სადაზვერვო ე.ი დამაზიანებელი კონტროლი (მათ შორის აგენტურული ორგანიზების თვალსაზრისით),* რაც *სამეფოში არსებული ვითარების დესტაბილიზაციისათვის მუდმივ საფრთხეს და ბელსაყრელ პირობას წარმოადგენდა.*

დავით აღმაშენებლმა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამოსწორებისათვის მტერზე წარმატებული თავდასხმის უზრუნველყოფა ორი მნიშვნელოვანი პირობის:

- *მოულოდნელობის ორგანიზაციით;*
- *სისწრაფის ორგანიზაციით;*

[რომელიც მიღწევა მოწინააღმდეგის რი-გებში აგენტურული შეღწევის, მოწყვლადი ადგილების, მტრის რაოდენობრივი და სამხედრო აღჭურვილობის დადგენით არის შესაძლებელი].

დავით IV-ის სამეფო კარზე აქტიური *ოპერატიული საქმიანობის* დამადასტურებელია *სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობის წარმატებისათვის აუცილებელი ისეთი მეთოდის გამოყენება, როგორიცაა-დეზინფორმაცია* („ხოლო აქუნდის ჩვეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხაზეთით და ჩამოიტყუენნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის-პირისათა. რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა. გარდავიდა მეფე გეგუთს და მიერ ხუფათს, და ამით გულპყრობილ ყვნა იგინი."[146] სწორედ დეზინფორმაცია გახდა უცხო ქვეყნების *მსტოვართა ინსტიტუტის იმ*

145.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია". წიგნი II, 2012. გვ.328;

146.„ქართლის ცხოვრება. "„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ.259;

აქტიური საქმიანობის გამანეიტრალებელი, რომლებსაც დავით IV-ის გადაადგილების კონტროლი და ლიკვიდაცია ევალებოდა.

ამ პროცესში დავით IV-ის სპეცსამსახურების აგენტურული აპარატის *მიზანმიმართული ოპერატიული კონტაქტები,* იმ პერიოდისათვის *ოპერატიული თამაშის მეთოდის* გამოყენებაზე მიანიშნებს.

წარმატებული სადაზვერვო ქმედებების დამადასტურებელია, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის თემის მიერთების ორგანიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ 1101 წელს კახეთისათვის მნიშვნელოვანი სიმაგრე, ზედაზნის ციხე დავით აღმაშენებლის კონტროლს დაექვემდებარა, მხოლოდ ერთი წლის შემდგომ განხორციელდა ამ თემის სამეფო ინსტიტუტის გაუქმება, რაც შესაძლოა კვირიკე მეფის ისეთ მნიშვნელოვან მახასიათებელს უკავშირდებოდეს, როგორიცაა: „მეფობისავე თანა მეფექმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე". ქმედებათა სტარატეგიაში ცვლილება გარდაცვლილ კახთა მეფის კვირიკეს ნაცვლად, სამეფო ტახტზე „ცუნდრუკი რამე, უსჯულო და უმეცრად უსამართლო, და ყოვლად წინაუკმო მამისძისა მისისა"[147] აღსართანის ასვლამ განაპირობა, რაც ქვეყნის გაერთიანების პროცესისათვის საფრთხედ ჩაითვალა.

სახეზეა პროცესების წარმატებული *ოპერატიული კონტროლი, რაც აქტიური ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობით [მათ შორის ძველი და პერსპექტიული მეფის ფსიქოლოგიური პორტრეტების შექმნით, პერსპექტივაში მათი დამაზიანებელი ქმედებების პროგნოზირებით]* იყო მიღწეული.

დავით IV-ის კარზე სწორი კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის, მაგალითად დიდგვაროვანი აზნაურების *სისტემატიური ოპერატიულ-ანალიტიკური (პიროვნული და საქმიანი მახა-*

147.„ქართლის ცხოვრება. "„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ.250;

სიათებლები, დამოკიდებულებები სამეფო კართან და მეფის გადაწყვეტილებებთან, კავშირები და მათი ხასიათი, სამხედრო კონტრსადაზვერვო თვალსაზრისით მათ კონტროლს დაქვემდებარებულ სამხედრო შენაერთების რაოდენობა, აღჭურვა და განწყობები) კონტროლი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც აგენტურული შეღწევადობის ორგანიზების გარეშე წარმოუდგენელია.

წარმატებული ორგანიზების შედეგია სამეფო კარზე ოპერატიულ-ანალიტიკური მონაცემების არსებობა დამოუკიდებელი, ძლიერი სამეფოს შექმნის საწინააღმდეგოდ მოქმედ დიდგვაროვანთა და ეკლესიის მსახურთა ალიანსების შესახებ.

აღნიშნული მონაცემების ანალიზით ეკლესიაში არსებული უმძიმესი ვითარების გამოსწორება ქვეყანაში ოპერატიული ვითარების გამოსწორების ხელსაყრელი პირობა იქნებოდა, რაც დავით აღმაშენებელისათვის, ბაგრატ IV-ისადმი წმინდა გიორგი ათონელის მოწოდების აღსრულების დასაწყის ნიშნავდა.

მოკლედ მიმოვიხილოთ ეკლესიაში შექმნილი ვითარება.

ჯერ კიდევ გიორგი II-ის მეფობის დროს *მძიმე შიმშილობის პირობებში* („საქართველოში ისეთი მძიმე შიმშილობა მძინვარებდა, რომ მშობლებიც კი თავიანთ შვილებს უპატრონოდ სტოვებდნენ, რაკი გამოკვების საშუალება სრულებით მოსპობილი ჰქონდათ“)[148] *საერო თანამდებობის პირები* გაჭირვებულ ხალხზე არ ზრუნავდნენ, ამასთან ერთად „თვით *სამოვდელო პირებიც* კი, რომელთაც ამ შემთხვევაში თავიანთი სამრევლოსადმი გულშემატკივრობა ყველაზე მეტად უნდა გამოეჩინათ, ამ *გაჭირვებას სრულიად გულგრილად ეპყრობოდნენ*.“[149]ყოველივე კი არსებული წეს-წყობილების და მმართველის წინააღმდეგ უარყოფით განწყობებს იწვევდა, რაც (ადრეულ პერიოდებიდან დღემდე) სადაზვერვო ორგანიზაციის პირობებში მმართველობის ძალადობრივი

148.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“. წიგნი II. 2012. გვ. 322;

149.იქვე;

რღვევის ინსპირირების საფუძველი იყო (და არის).

გიორგი II-ის მეფობის პერიოდის მსგავსად, დავით აღმაშენებლის დროს ეკლესიაში იერარქიის ყოველ საფეხურზე *დანიშვნის საფუძვლებს ნათლიმამობასთან ერთად, წოდებრივი, გვაროვნული და ქონებრივი მდგომარეობა* წარმოადენდა, რაც *ჰეშმარიტი, განათლებული და ქველმოქმედი პირების იერარქიული წინსვლის დამაბრკოლებელი გარემოება იყო.*

დავით აღმაშენებელმა იმ დროისათვის არსებული კანონმდებლობის პატივისცემის ნიშნად დამოუკიდებელი ეკლესიის წეს-წყობილებაში პირდაპირ ჩარევას თავი აარიდა, თუმც ამ მიმართულებით წესრიგის აღსადგენად ოპერატიული საქმიანობა კონტრსადაზვერვო უწყების მეშვეობით, უკვე აქტიურად ჰქონდა განახორციელებული.

მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება, სამეფო კარზე არსებული მონაცემები იმ გამოჩენილი სამონასტრო მოღვაწე, მამულიშვილების შესახებ, რომლებსაც შეეძლოთ წინ აღდგომოდნენ ეკლესიაში შექმნილ უკანონობას.

1103 წელს გამართულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრება დავით IV-ის ინიციატივით ჩატარდა [„ძეგლისწერა წმინდისა და ღრმთივ შეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოიკრიბა ბრძანებითა და კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩვენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა“[150]], რამაც საფუძველი დაუდო, ქართულ ეკლესიაში ჰეშმარიტი, განათლებული და ქველმოქმედი პირების იერარქიული წინსვლის დასაწყისს, რაც ქართული ეკლესიიდან „უღირსთა და უწესოთა“[151]განკვეთის საფუძველი გახდა. კრებაზე და მის შემდგომ მიღებული გადაწყვეტილებებით, სირთულეების (ეკლე-

---

150.„ქართული სამართლის ძეგლები.“ III, ი. დოლიძის რედ. 1970. გვ. 106;

151.ვლადიმერ ზაქარაია. „დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური“, ზუგდიდი 1994. გვ.6;

სიის მსახურთა მხრიდან ურჩობა და დაპირისპირება) მიუხედავად, ქართული ეკლესია სამეფო ხელისუფლების ინტერესის (ქვეყნის გამთლიანება და გაძლერება) შესრულების პროცესში აქტიურად იყო ჩაბმული.

ოპერატიული ვითარების კონტროლის უზრუნველმყოფ პერსპექტიულ ქმედებად უნდა მივიჩნიოთ მეფის მოადგილის-მწიგნობართუხუცესის თანამდებობაზე მყოფი პირის ჭყონდიდელ მთავარ ეპისკოპოსის უფლებით აღჭურვა, რომლის შესრულება ერისკაცს აღარ შეეძლო და იგი სასულიერო პირით ჩანაცვლდა.

ფაქტობრივად, არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების და გამყარების თვალსაზრისით დავით IV-მ ***ქვეყნის განვითარებაზე დამანგრეველად მოქმედი შიდა ძალების კოორდინირებული კავშირი გაწყვიტა***, რამაც ამ კავშირის ერთ-ერთი რგოლის დიდგვაროვანთა ნაწილის დამარცხება განაპირობა. ***გამარჯვება*** ჰერეთ-კახეთის დიდებულებისათვის ***დამთ-რგუნველი ზემოქმედების საფუძველი გახდა***.

ჰერეთის დიდგვაროვნებმა 1104 წელს დააკავეს და დავით აღმაშენებელს მიგვარეს აღსართან მეფე.[152] ამ ოპერაციის ორგანიზება, დიდებულებზე ***წინასწარი აგენტურული ან სანდო ურთიერთობის დამყარების გარეშე*** პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა.

მიღწეული ვითარების მიუღებლობით განძის ათაბაგის წამოწყებული ბრძოლა, დავით აღმაშენებლის გამარჯვებით 1105 წელს დასრულდა. ამ გამარჯვებამ ჰერეთ-კახეთის შემოერთების პროცესი დაასრულა.

ამრიგად, კახეთ-ჰერეთის შემოერთებისათვის განხორციელებული ***სადაზვერვო ციკლის ხანგრძლიობა 4 წლიან პერიოდს (1101-1105 წლებს) მოიცავს***, რაც სადაზვერვო მნიშვნელობით დღეის მდგომარეობითაც რეკორდულ მაჩვენებლად შეიძლება

152.„ქართლის ცხოვრება“. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. 1996. გვ. 254;


ჩაითვალოს, არა მარტო ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მსოფლიოს იმ სახელმწიფოებისათვისაც, სადაც სახელმწიფოთა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიებზე სეპარატისტული რეჟიმები მოღვაწეობენ. შიდა პრობლემების მოგვარებისთანავე ზრუნვა საზღვრების გაზრდაზე გადავიდა.

სადაზვერვო ზეგავლენას წარმატებულად დაექვემდებარა, თურქი ტომების კონტროლქვეშ მყოფი, სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა და ეკონომიური ცენტრი, ციხე-ქალაქი სამშვილდის ციხე. მისი აღების შემდგომ, *შიშით და პანიკით (სადაზვერვო ორგანიზაციის შედეგი, რომელიც ძირითადად სამხედრო ძალის უეცარი თავდასხმის, გამარჯვებული ძალის უძლეველობის შესახებ, წინასწარი და მრძოლის შემდგომი აქტიური სადაზვერვო პროპაგანდით მიიღწევა)* მოცულმა თურქმა მეციხოვნეებმა სომხეთის ციხეებიც მიატოვეს. ციხეები დავით IV-ის კონტროლს დაექვემდებარნენ. იმავე ტაქტიკით თურქებისაგან შავი ზღვის სანაპიროს, აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქების განთავისუფლება გახდა შესაძლებელი, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო, სტრატეგიული თვალსაზრისით, ლორის ციხეზე კონტროლის აღება იყო.

მიუხედავად საბრძოლო წარმატებებისა, არსებული წესწყობილების შენარჩუნების კუთხით, სამეფო კარისათვის მნიშვნელოვანი, ერთიანი, ძლიერი, მხოლოდ მეფის მორჩილებას დაქვემდებარებული ჯარის ჩამოყალიბება იყო. დავით აღმაშენებელს გააჩნდა *საკუთრი ჯარი, ამავდროულად, საკუთარ სამხედრო შენაერთებს ფლობდნენ დიდგვაროვნი აზნაურებიც* და გიორგი II-ის მეფობის პერიოდში სწორედ *მსგავსი განწყობა წარმოადგენდა ურთიერთდაპირისპირების და სამეფო ხელისუფლების სისუსტის განმაპირობებელ გარემოებას.*

როგორც უკვე ავღნიშნეთ, სამეფო კარსა და დიდგვაროვან აზნაურს (ან აზნაურთა ჯგუფს) შორის ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევაში, ძალთა თანაფარდობის გათვალისწინებით

მოსალოდნელი იყო *სამეფო ხელისუფლების დამხობა*, რომლის წინაპირობად სქემაზე მინიშნებული ქმედებები შეიძლება გამხდა-რიყო:



პრობლემის გადაწყვეტა დავით აღმაშენებელმა ურჩ დიდგვაროვანთა მორჩილებიდან სამხედრო დანაყოფების გამოყვანა-გაერთიანებით და სამეფო კარს დაქვემდებარებით განახორციელა, რადგან „მუდმივი ჯარის შემოღება დავითისათვის მარტო გარეშე მტერთან საომრად არ იყო საჭირო, არამედ შინაურ მტერთან, ურჩ და თვითნება აზნაურებთან საბრძოლველად და ასალაგმავადაც".[153]

ფაქტობრივად, *სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო (მათ შორის სამხედრო კონტრდაზვერვის) კონტროლის გამარტივების უზრუნველყოფაც განხორციელდა.*

რეფორმის მიუხედავად, მეფის პირდაპირ მბრძანებლობას და კონტროლს დაქვემდებარებულ *დიდგვაროვანთა ყოფილი ჯარისკაცები დიდგვაროვანთა ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ და ამ საფრთხესთან ერთად არსებობდა კიდევ ერთი პრობლემა-*

153.გ.არახამია. „აღმაშენებლური ცნობიერების შესახებ". გაზ.„ჭყონდიდელი", 30.06.1993 წ. #3 (ვლადიმერ ზაქარაია, „დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახური", ზუგდიდი. 1994.);

ხშირი შემოსევების, რბევის, ხოცვა-ჟლეტის გამო სამეფო, მოსახლეობის-ე.ი. ბრძოლისუნარიანი ძალის ნაკლებობას განიცდიდა.

აღნიშნული საფრთხეების გასანეიტრალებლად, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები უცხო ტომის, ყივჩაღების (ოჯახებთან ერთად) ქართლში ჩამოსახლება გადაწყდა. ამ პროცესის ორგანიზება რუსეთთან კორდინაციით („პავლე ალეპოელის ცნობით, დავით აღმაშენებლისათვის დახმარება აღმოუჩენიათ რუსეთში, დამხმარე ძალა მიუციათ...ამ ძალაში ყივჩაღები უნდა იგულისხმებოდეს")[154]მოხერხდა, რაც ორი სამეფოს სტრატეგიული ინტერესების თანხვედრაზე უნდა მიანიშნებდეს.

ამ მიმართულებით აქტიური სადაზვერვო ქმედებების განხორციელებაზე მეტყველებს, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეგმების (დავით აღმაშენებელს „40 ათასი მარტო ცხენოსანი ჯარისკაცი უნდა ჰყოლოდა და 5 ათასი მონასპად წოდებული პირადი მცველი"[155]) აღსასრულებლად, *ოპერატიულ შესწავლას დაქვემდებარებული* ყივჩაღ მეომართა ისეთი მახასიათებლების *(ფსიქოლოგიური პორტრეტი)* შეკრება, როგორიცაა:[156]

- *გამბედავობა და გულადობა;*
- *სიტყვის და აღქმის ერთგულება;*
- *ნათესაური კავშირების პატივისცემა*

(დავით აღმაშენებლის მეუღლე, ყივჩაღთა მეთაურის ასული „განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი"[157] იყო) და სხვა. კონტრსადაზვერვო ხასიათის, სრულყოფილ და სწორ ოპერატიულ შესწავლას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ყივ-

---

154.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 407;

155.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია". წიგნი II. 2012. გვ. 336;

156.იქვე, გვ. 335;

157.„ქართლის ცხოვრება."„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ. 257;

ჩაღებს„...წინათაც ნაქირავებ ჯარად საქართველოში უმსახურიათ."[158]

სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაციის თვალსაზრისით, წარმატებული ოპერატიულ-ანალიტიკური საქმიანობის შედეგია ყივჩაღების დიდგვაროვნებთან პატრონ-ყმური კავშირის არქონაზე ყურადღების გამახვილება, რადგან ეს პირობა მეფის მოწინააღმდეგეების მხრიდან მათზე საზიანო ზეგავლენის მოხდენას პრაქტიკულად გამორიცხავდა.

გამოთქმულ მოსაზრებას ადასტურებს დამდგარი შედეგი, რომლის მიხედვითაც: „თავისი მუდმივი ჯარის დახმარებით მეფემ ქედფიცხელ და მოღალატე დიდგვაროვან მოხელეებს შეერთების ნება არ მისცა და შეთქმულების მოწყობის საშუალება მოუსპო".[159]

ყივჩაღების ჩამოსახლებაზე გადაწყვეტილების მიღების პრო-ცესში, ყივჩაღებს საბრძოლო კონფლიქტი ქონდა საქართველოსა და მათი საცხოვრისი ტერიტორიის შუაში მცხოვრებ ოსებთან.

დავით IV-ის ამ გადაწყვეტილებამ კონფლიქტი ამოწურა და ოსთა მთავრების მორჩილების მოპოვებასთან ერთად [„შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათი, და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა"[160]], მათ კონტროლს დაქვემდებარებულ ყველა ციხეზე საქართველოს მეციხოვნე ჯარი განათავსა *[ოს მთავრებზე ნაკლები ნდობის დამადასტურებელი გარემოება, რომლის დადგენა სადაზვერვო აქციის დაწყების პროცესში აგენტურული შეღწევის, მათი ფსიქოლოგიური პორტრეტების შედგენის, კავშირების და მათი ბასიათის შესწავლის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა]*.

158.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია". წიგნი II. 1983. გვ. 352;

159.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია". წიგნი II, 1965, გვ.211;

160.„ქართლის ცხოვრება." „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ. 257;

ყოველივე, 1118-1120 წლებში მასშტაბური და კომპლექსური სადაზვერვო ნიშნების მქონე ოპერაციის დასრულებაზე, სახელმწიფოს განვითარების ახალი პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-სტრატეგიული გეგმების განხორციელების სწრაფვას მიანიშნებდა.

იწყებოდა მზადება ახალი ბრძოლებისათვის, რომლისათვისაც სამხედრო ძალა მორალურად მყარად იყო მომზადებული, რადგან „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულველი, და ყოველი უწესობა მოსპობილ იყო ლაშქართა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის."[161]

1120 წელს აღმოსავლეთისაკენ გალაშქრებით დავით IV-ის კონტროლს კაბალა დაექვემდებარა.

ამ ტერიტორიაზე აღმოსავლეთ სულთნების მასშტაბური სადაზვერვო კონტროლი ხორციელდებოდა. მაჰმადიან მოსახლეობაში საქართველოს გამთლიანების და გაძლერების ***საწინააღმდეგო განწყობების (სადაზვერვო დამაზიანებელი, აქტიური მათ შორის საბრძოლო ქმედებებისათ-ვის ხელსაყრელი პირობა) შექმნაში მნიშვნელოვანი როლი***, განჯა-თბილისის-დმანელ ვაჭრებს ეკუთვნოდათ (ძველი წელთაღრიცხვის პერიოდიდან სადაზვერვო აგენტურული აპარატის მნიშვნელოვან ფრთას ვაჭრები წარმოადგენდნენ).

მათი სადაზვერვო მასშტაბები აღმოსავლეთ კავკასიასა და აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა.

ფაქტობრივად, ***წარმატებული სადაზვერვო საქმიანობისათვის სახეზე იყო რელიგიური ფაქტორის გამოყენება.***

ტერიტორიული (მათ შორის აქტიური სადაზვერვო) კონტროლის მიზნით აღმოსავლეთის მთავრებმა მასშტაბური სამხედრო ძალებით 1121 წელს შეუტიეს საქართველოს და დამარცხ-

---

161.„ქართლის ცხოვრება." „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. 269-270;

დნენ, რასაც 1122 წელს თბილისის, დავით აღმაშენებლის კონტროლს დაქვემდებარება მოჰყვა.

მეფის ლაშქარს განსაკუთრებული წინააღმდეგობა ადგილობრივმა მაჰმადიანებმა გაუწიეს [რაც *რელიგიური კუთხით მათზე განხორციელებულ სადაზვერვო შეღწევადობაზე მიანიშნებს],* რომლის ხელსაყრელ პირობას, საქართველოს მტრების მხრიდან, თბილისის ოთხ საუკუნოვანი ანექსია წარმოადგენდა.

საბრძოლო წარმატება ქალაქების შამახიას, შირვანის ანისის (რომლის მმართველის ირგვლივ სამეფო კარს ხელთ ჰქონდა *სადაზვერვო ოპერატიული მონაცემები,* საქართველოსადმი ყმადნაფიცობის მიუხედავად თვალთმაქცობის, ქრისტიანების საწინააღმდეგო ქმედებების შესახებ) დაპყრობით დაგვირგვინდა.

ანისის მცხოვრებთა უმრავლესობაში-სომხებში, დავით IV-ის *სადაზვერვო სამსახურს გააჩნდა მასშტაბური შეღწევადობა,* რაც მათი მხრიდან ქალაქის მაჰმადიანი *მმართველის საწინააღმდეგო განწყობებში ვლინდებოდა.*

აღნიშნულმა განწყობებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს კიდეც საბრძოლო გამარჯვება.

უცხო ქვეყნების ვაჭრებზე ***სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფის (მათთვის საინტერესო ინფორმაციების, კავშირების, კომპრომენტირების, გადაბირების*** და ა.შ) მიზნით დავით IV-ის ინიციატივით სავაჭრო „გზებზე საგანგებო სახლები აშენდა, სადაც უცხოელ ვაჭრებს უფასოდ შეეძლოთ ღამისთევა".[162]

დავით აღმაშენებლის მიერ ნაწარმოებ ომებს დიდი მნიშვნელობა გააჩნდა სამეფოს *სასურსათო (მათ შორის საკვებით და სამუშაო ადგილების უზრუნველყოფის) უსაფრთხოების თვალსაზრისით:* „ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრისა, ვითარცა არეას გაზაფხულისასა, ითი-

---

162.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 400;

ბების თივა, და აქვს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თვთოფერი და საშუებელი ყოველი."[163]

საბრძოლო წარმატებები: „მტრის შიშით მთაში გახიზნულ ქართველ მუშას ბარად ჩამოსვლის პირობებს უქმნიდა."[164] მიღწეული იქნა ვითარება, როდესაც შიმშილობის ზღვარზე მყოფმა სამეფომ (მათ შორის: ცხენების, აბრეშუმის) ექსპორტის უზრუნველყოფა შეძლო.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ***<u>უცხო ძალის სადაზვერვო კონტროლის თავიდან ასაცილებლად</u>*** დავით IV დაპყრობილ ციხე-ქალაქებში კარგად გაწვრთნილი და გამოცდილი საჯარისო ნაწილების შეყვანასთან ერთად, კომპლექტაციის თვალსაზრისით, ***<u>მმართველობით აპარატში სახელმწიფოსათვის სასარგებლო, დაპირისპირების გამომრიცხავ მყარ კონტროლთან ერთად, განსაკუთრებულ აქცენტს სამეფოს შიგნით და საერთაშორისო არენაზე დადებითი საზოგადოებრივი აზრის უზრუნველმყოფ მიმართულებაზე, რელიგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე აკეთებდა.</u>*** მოსაზრება დასტურდება ქვემომოყვანილი მაგალითებით:

- დავით აღმაშენებლის ბრძანებით: „თბილისის მცხოვრებნი, ეროვნებისა და სარწმუნოებისდა მიუხედავად, ისეთ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ ჩაყენებული, რომ არც ერთი მათგანის ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძნობა შელახული არ უნდა ყოფილიყო".[165]
- დავით აღმაშენებლის ბრძანებით: „ქალაქის იმ ნაწილში, სადაც მუსლიმები ცხოვრობდნენ, არავის ჰყოლოდა ღორი და არავის დაეკლა იგი მათ შორის."

163.„ქართლის ცხოვრება." „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი". 1996. გვ. 254;

164.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 362;

165.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია". წიგნი II. 2012. გვ. 339;

- დავით აღმაშენებელმა „ძველი ციხე-გორი აღადგინა, დაარსა ქალაქი და შიგ სომხები ჩაასახლა, რომელთათვისაც პრივილეგირებული პირობები შექმნა.“[166]
- დავით IV „ყოველთვის ცდილობდა ყველასათვის დაენახვებინა, რომ ის ყველა სარწმუნოების და ეროვნების წარმომადგენელს თანაბრად ეპყრობოდა.“[167]

შედეგიც სათანადო იყო „და თვით ყივჩაყნიცა უმრავლესი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე, და სიმრავლე ურიცხვ შეეძინებოდა ქრისტესა.“[168]

დავით აღმაშენებლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოში (მოსახლეობაში, მის უშუალო კონტროლს დაქვემდებარებულ საერო და სამეფო მოხელეთა შორის) ***სამართლიანი ურთიერთობების წესის დამკვიდრება,*** რაც გარე და შიდა მტრული ძალის მხრიდან მისი ***მმართველობის საწინააღმდეგო განწყობების შექმნის, ე.ი. მოსახლეობაზე და საზოგადოებრივ აზრზე სადაზვერვო ზემოქმედების ხელშემშლელი*** მნიშვნელოვანი გარემოება იყო. ვითარების კონტროლი სამეფოს შიგნით და გარეთ, მოსახლეობაში, საჯარისო დანაყოფებში ***გუნება-განწყობილებების ოპერატიული შესწავლის პროცესების სისტემურობით იყო უზრუნველყოფილი:*** „არარა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყუა ბოროტი თქმული-არარა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ან თუ ეთქვას, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა.“[169]

166.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე“. ტ. II, გვ. 398-399;

167.ივ.ჯავახიშვილი. „ქართველი ერის ისტორია“. წიგნი II. 2012. გვ.341;

168.„ქართლის ცხოვრება“. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. 1996. გვ. 258;

169„ იქვე, გვ.271;

დავით აღმაშენებლის გეგმების განხორციელება პირდაპირ კავშირში იყო მისი პირადი დაცვის წარმატებულ უზრუნველყოფასთან. მონასპად წოდებულმა პირადმა მცველებმა, ე.ი პირადი დაცვის სამსახურმა წარმატებით გაართვა თავი მის წინშე მდგომ ამოცანას მცირედი გამონაკლისის გარდა, როდესაც „კუალად ციხესა რომელსამე ბრძოდეს ქართლს, და მეფე კარსა კარვისა თვისასა დგა, პერანგითა მოსილი ოდენ, შუადღე, და ციხით ვინმე შემოტყორცნა ისარი, და ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა მცირე, და ძალმან საღმრთომან განარინა შვიდობით.“[170]

დავით IV-ის *წარმატებული მეფობა* მნიშვნელოვან წილად განაპირობა, სამეფო მოღვაწეობის დაწყებისთანავე *სწორი საკადრო პოლიტიკის წარმართვამ ასაკობრივი და განსწავლულობის თვალსაზრისით შერჩევის პრინციპებით კომპლექტაციამ*. ასე მაგალითად:

- ✓ „35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30-მღვდელთათვის, 25-დიაკონისათვის, 8-წიგნის მკითხველისათვის“;[171]
- ✓ „და მუნვე შემოიკრიბნა *კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკული ყოვლითა სათნოებითა,* არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქვეყანასა კიდეთა სადათცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ხორციელითა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა“;[172]

საკადრო უზრუნველყოფის საკითხისადმი ასეთი მიდგომა, არსებული წეს-წყობილების და მეფის მიმართ (მოსახლეობის

170.„ქართლის ცხოვრება“. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. 1996. გვ.277;

171.„ქართული სამართლის ძეგლები“. III, ი.დოლიძის რედ., გვ. 114-115;

172.„ქართლის ცხოვრება“.„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“.1996.გვ. 253;

მხრიდან, სამეფო კარზე) უარყოფითი განწყობებისაგან თავდაცვას ემსახურებოდა.

ეკლესიის მსახურთათვის არსებობდა მოთხოვნა, მასზედ, რომ „არა რაÁ განსცეს ქრთამისათვის, არცა რაÁ...განსცეს ქრთამისათვის, არცა რაÁ განყიდოს ვერცხლად",[173]რაც საერო ხელისუფლებაში დასაქმებულთათვისაც შესაძლოა ყოფილიყო კრიტერიუმი. გამოდის, რომ *საკადრო კომპლექტაციის და მისი შემდგომი პერიოდი (შერჩევა, შესწავლა)* აქტიურად *გამოიყენებოდა სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო აპარატების მიერ* სამეფო მოხელის შესაბამისი მახასიათებლების დადგენის მიზნით.

ასეთი ორგანიზებით გამოირიცხა „ხელდასმით ერთსა და იმავე დღეს ერთი თანამდებობიდან მეორე და მესამე ხარისხზე აყვანა",[174] და საეკლესიო მმართველობაში დადგინდა წესი, რომლის მიხედვითაც: *„საფეხურებრივი წინსვლა დაუშვებელი იყო თანამდებობრივი საფეხურის გამოტოვებით („ხელდასმა...უნდა ხდებოდეს ჯერ უმცროს თანამდებობაზე, შემდეგ თანდათანობით უფროსზე"*.[175]მონასტრების სიდიდის მიხედვით განისაზღვრა მათი კომპლექტაციის მასშტაბები, რაც სასულიერო პირთა შორის კონფლიქტების თავიდან აცილებას ემსახურებოდა. სწორი საკადრო კომპლექტაციით შეიქმნა პირობა, საერო და სამეფო ხელისუფლებაში არსებული, დანაშაულის ისეთი სახეობის წინააღმდეგ საბრძოლველად როგორიც კორუფციაა. ამ კუთხით დანაშაულის სახეობები სქემატურად ასე შეიძლება გამოვსახოთ:

- თანამდებობის პირების მიერ გასამრჯელოს სახით ქრთამის აღება;

173.„ქართული სამართლის ძეგლები". III, ი.დოლიძის რედ. 1970. გვ.118;

174.აკად. მ.ლორთქიფანიძე, აკად. დ.მუსხელიშვილი, აკად. რ.მეტრეველი. „საქართველო IV საუკუნიდან XIII საუკუნემდე". ტ. II, გვ. 377;

175.„ქართული სამართლის ძეგლები". III, ი.დოლიძის რედ. 1970. გვ.115-116;

- საეკლესიო ქონებს (ნაყიდი და შემოწირული საეკლესიო ჭურჭელი) არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

- ეკლესიის მიერ დადგენილი (ქორწინების, მონათვლის, მონაზვნად განწესების) წესების სისტემატიური დარღვევა.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ რომ:

დავით აღმაშენებლის წარმატებული მეფობა, სხვა მნიშვნელოვან მახასიათებლებთან ერთად მისმა განსწავლულობამ, ცოდნის გაღრმავებისაკენ (მათ შორის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისას), მეცნიერების კერების, დარგების განვითარებისაკენ მუდმივმა სწრაფვამ, მძლავრი სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო, შესაბამისად პოლიციური სისტემის ჩამოყალიბებამ განაპირობა.

II.რუსეთის პოლიციის ისტორიიდან

ა) რუსეთის იმპერიის პოლიცია XVIII-XIX საუკუნეში

რუსეთის იმპერია უკვე XVIII საუკუნეში პოლიციურ სახელმწიფოდ ითვლებოდა. ამ პერიოდისათვის, პოლიციის კანცელარიები აღჭურვილი იყო გამოძიებისა და სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვის უფლებით.

1710 წლისათვის რუსეთის იმპერიაში შექმნილ გუბერნიებში, გუბერნატორებმა პოლიციური ფუნქციები შეითავსეს.

1718 წლის 7 ივნისს პეტრე პირველმა სანკტ-პეტერბურგში მთავარი პოლიცია დაარსა, რა დროსაც შემოღებულ იქნა გენერალ-პოლიცმეისტერის თანამდებობა, ხოლო 1733 წლისათვის იმპერიის 23 გუბერნიასა და ქალაქში პოლიციის კანტორები შეიქმნა.[176]

არაეფექტური საქმიანობის გამო პოლიციური სტრუქტურები XVIII საუკუნის ბოლომდე რე-ორგანიზაციას არაერთხელ დაექვემდებარა.

XVIII საუკუნეში საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების დაცვა ქვემოჩამოთვლილი პროცესების მკაცრი დოკუმენტალური აღრიცხვის ფონზე მიმდინარეობდა.

პოლიციური სტრუქტურების ძირითად კონტროლს, ექვემდებარებოდა:

- **მოსახლეობის ცხოვრება და გადაადგილება დედაქალაქში**

[პოლიციის ნებართვის გარეშე ქალაქის არამკვიდრთათვის ღამის გათევა იკრძალებოდა. არსებობდა რეგისტრაციის ვალდებულება ქალაქში ჩამოსვლაზე, ქალაქიდან გასვლაზე.

<u>სახეზეა იმ პერიოდის ოპერტიული ვითარების დამამძიმებელი გარემოებების; რევოლუციური განწყობების აღკვეთის,კრიმინა-</u>

176.„Россия XVIII века как «полицейское государство»". www.historicus.ru;

ლების, არალეგალების გადაადგილების კონტროლის საუკეთესო პირობა];

- პერიფერიებიდან, განსაკუთრებით სოფლებიდან მუშა ძალის, თვითნებური გადინების პროცესი

[სახეზეა სოფლის მეურნეობის კუთხით სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ჯგუფის ადგილზე დამაგრების, სოფლის მეურნეობის დარგების შენარჩუნების საუკეთესო პირობა];

- ჯარისკაცების დეზერტირობა

[ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სექტორში, შეიარაღებულ ძალებში ჯარისკაცთა დეზერტირობის მასშტაბურობა, სახელმწიფოში დესტრუქციული ქმედებების დაწყების საფუძველია.

სახეზეა ოფიცრებს, ჯარისკაცებს შორის, მოსახლეობაში შიშის, პანიკის, უარყოფითი განწყობების დროული გამოვლენისა და აღკვეთის საუკეთესო პირობა];

- სახლთმშენებლობის კონტროლი

[სახეზეა უხარისხო, უკანონო მშენებლობების თავიდან აცილების, ამ პროცესში კორუფციის აღკვეთის საუკეთესო პირობა];

- სისუფთავის კონტროლი

[სახეზეა სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ვითარების გართულების თავიდან აცილება-კონტროლის ღონისძიება, ეპიდემიების, დაავადებების გავრცელების აღკვეთის საუკეთესო საშუალება);

1802 წელს რუსეთის იმპერიაში სხვა სამინისტროებთან ერთად შინაგან საქმეთა სამინისტრო ჩამოყალიბდა.

ოპერატიული ვითარების სიმძიმის გათვალისწინებით, 1805-1807 წლებში „უმაღლესი პოლიციის“, საზოგადოებრივი სიმშვიდის დარღვევისაკენ მიდრეკილი დანაშაულების შესწავლის“ და სხვა კომიტეტების შექმნამ, ოპერატიულ ვითარებაზე

დამანგრეველად მოქმედი მიგრაციული პროცესების კონტროლის მიზნით 1812-1816 წლებში მოსკოვსა და სანქტ-პეტერბურგში საქალაქო პოლიციების სტრუქტურებში სამისამართო (საპასპორტო) კანტორების დაფუძნებამ,[177] შედეგი ვერ მოიტანა.

მძიმე ოპერატიული ვითარების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ უცხო ქვეყნების სადაზვერვო აქტივობა იყო. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, 1826 წელს III განყოფილება შეიქმნა,[178] რომელშიც იმპერატორის პირადი და შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიები გაერთიანდნენ. სამსახურის ფუნქციას წარმოადგენდა:

- სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოვლენა, რაც რევოლუციისაკენ მიდრეკილი ორგანიზაციების, საზოგადო მოღვაწეების გამოვლენასა და კონტროლს გულისხმობდა

[არსებული წეს-წყობილების ძალადობრივი რღვევის აღმკვეთი ღონისძიება. გამოვლენის პროცესი ოპერატიული აღრიცხვის-კონტროლის საქმეების წარმოებაზე მიანიშნებს];

- ეკლესიის ერთიანობაზე დამაზიანებლად მოქმედი პირების, სექტების გამოვლენა

[რუსეთის იმპერიის რელიგიური უსაფრთხოების უზრუნველმყოფი ღონისძიება, რომელიც ოპერატიული აღრიცხვის საქმეების წარმოებით მიმდინარეობდა];

177.Василий Дибель. „ПАСПОРТНАЯ СИСТЕМА РОССИИ“. www.rau.su;

178.В.М.КЛЕАНДРОВА, Л.С. ЯКОВЛЕВ. „ИСТОРИЯ ПОЛИЦИИ, ПОЛИТИЧЕСКОГО СЫСКА И КОНТРРАЗВЕДКИ РОССИИ В XVIII - НАЧАЛЕ XX ВЕКА“. Москва. 1985. http://agenturaforum.com;

- სამეფო ხელისუფლების (წეს-წყობილების) წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებების დროული გამოვლენა-აღკვეთა

[რევოლუციური განწყობების მქონე პირების, პირთა ჯგუფების დადგენის, ქმედებათა დოკუმენტალური აღრიცხვის ღონისძიება];

- პერიოდული გამოცემების ცენზურა (არსებული ხელისუფლების წეს-წყობილების საწინააღმდეგო პროპაგანდის დროული გამოვლენა-აღკვეთა

[ღონისძიება, რომელიც სათანადო დოკუმენტირებით გამომცემლების, დამფინანსებლების, გამავრცელებლების, მათი კავშირების ოპერატიულ-აგენტურული და ოპერატიულ-ანალიტიკური კონტროლით მიიღწევა];

- უცხოელების ქმედებებზე კონტროლი

[რუსეთის იმპერიის საწინააღმდეგოდ, სადაზვერვო ქმედებების მაორგანიზებელი ჯგუფის კონტროლის კონტრსადაზვერვო ღონისძიება];

ფაქტობრივად, სახეზე იყო კონტრსადაზვერვო ფუნქციით აღჭურვილი პოლიციური ორგანოს საქმიანობა, რომელსაც პოლიტიკური საპატიმროების კონტროლიც ევალებოდა.

რუსეთის იმპერია ოპერატიული ვითარების მყარი კონტროლის ორგანიზებისათვის სისტემატიურად ზრუნავდა, რასაც საპოლიციო სტრუქტურების მზარდი საკადრო კომლექტაციის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომლის მიხედვითაც: „1857 წლისათვის იაროსლავის გუბერ-

ნიაში მცხოვრებ 950000 ადამიანზე პოლიციის 244 თანამშრომელი მოდიოდა,...1907 წლის მდგომარეობით მოსკოვში 1 თანამშრომელი-278 ადამიანზე, სანქტ-პეტერბურგში 1 თანამშრომელი - 343 ადამიანზე."[179]

1862 წლისათვის „პოლიციის მოწყობის ახალი წესების" თანახმად მაზრის პოლიციის შექმნა გადაწყდა, რომლის ფუნქციას ქალაქებში და სოფლებში საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა (უხამსობის, უზნეობის, შეკრებების, კრებების, ჯანყის, მასობრივი არეულობის წინააღმდეგ ბრძოლა) წარმოადგენდა.

პოლიცია, ზედმხედველობას დაქვემდებარებული, იმპერიისათვის არაკეთილსაიმედო პირების სისტემატიური კონტროლის ფონზე, ფაბრიკებში, ქარხნებში დაწესებულებებში უარყოფით საზოგადოებრივი აზრის მობილიზებისათვის ჭორების, პროკლამაციების, პრესის, წიგნების გავრცელების აღსაკვეთად განსაკუთრებით აქტიურობდა. აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში სისხლის სამართლის პოლიცია აქტიურად იყო ჩართული.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჟანდარმების ოლქების ნაცვლად საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოები შეიქმნა, რასაც სარკინიგზო ჟანდარმერიების ჩამოყალიბება მოჰყვა.

ფაქტობრივად, სისტემატიური რეფორმები მაინც წარუმატებელი იყო, რადგან პოლიცია უძლური იყო რუსეთის იმპერიაში არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგო რევოლუციური გამოსვლების მასშტაბების აღსაკვეთად. არსებობდა ამ ვითარე-

---

179.Д.Г.РЫЖАКОВ. „РЫЦАРИ МОНАРХИИ ПРОВИНЦИАЛЬНАЯ ЖАН-ДАРМЕРИЯ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX – НАЧАЛЕ XX ВВ". #2. 2008. http://cyberleninka.ru;

ბის შექმნის ისეთი მნიშვნელოვანი წინაპირობა, როგორიცაა კორუფცია.

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის პოლიცია კორუფციის ჭაობში იყო ჩართული, რომლის გავრცობის ხელშემწყობ გარემოებას საკადრო ორგანიზაციის, თანამშრომელთა დაწინაურების, წოდების მინიჭების პროცესში დაწესებული მოსაქრთამი გადასახადები წარმოადგენდა. პოლიციის დეპარტამენტის ანგარიშებში დაფიქსირებულია, რომ: „ზოგიერთ პოლიციის სამმართველოში სამსახურებრივი წინსვლა ქრთამის მეშვეობით ხორციელდებოდა...

საკადრო-საინსპექციო განყოფილებაში დადგენილი იყო მყარი ტაქსა მაღალი რანგის თანამდებობის პირების უფრო მაღალ თანამდებობაზე გადასანიშნად, წოდების, ორდენის მიღებისათვის, სამოქალაქო სექტორიდან სამხედრო ვაკანსიაზე დანიშვნისთვის, შვებულების თავის დროზე მიცემისათვის..."[180]

„პოლიციის ჩინები იყვნენ მექრთამეები...ქრთამის მეშვეობით შესაძლებელი იყო ჩადენილი დარღვევებისა და დანაშაულებებისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება...პოლიცია არ სარგებლობდა ავტორიტეტით მოსახლეობაში...უბრალო ადამაინებს პოლიცია ეზიზღებოდათ..."[181]

კორუფციის განვითარებას ხელი შეუწყო პოლიციური სისტემის გაუნათლებელი კადრებით კომპლექტაციამ, პოლიციელთა სწავლების პროცესის ორგანიზებისათვის იმპერიის ბიუჯეტიდან ნულოვანმა დაფინანსებამ.

180.И.В.Говоров. „Проблема коррупции в российской полиции на рубеже XIX–XX вв". Новейшая история России. 2011. №2. Стр.122. . www.google.ru.;

181.Тамже, Стр.131;

1894 წლის 1 ნოემბრიდან 1895 წლის 1 აგვისტომდე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროში უმაღლესი განათლება მხოლოდ პოლიციის ჩინოვნიკთა 17%-ს, საშუალო განათლება-10,32%-ს, უფრო დაბალი კი-72,68%-ს გააჩნდა."[182] ვითარების გამოსწორება 1867-1881 პოლიციის რეზერვისა და სკოლების შექმნით გახდა შესაძლებელი.

ამავე პერიოდისათვის საპოლიციო სტრუქტურის სტატუსით საქმიანობდა რუსეთის იმპერიის სახანძრო სამსახური, რომელიც ოფიციალურად 1798 წლის „პოლიციის წესდების" VI მუხლში ფიქსირდება.[183] ამ მუხლის მიხედვით, სახანძრო ექსპედიციას ბრანდმაიორი ხელმძღვანელობდა, სახანძრო რაზმებს თავისი მოვალეობის შესასრულებლად გააჩნდათ ცხენები, სათანადო ინსტრუმენტები და სხვა.

182.Колодеев Евгений Петрович. „УРОВЕНЬ ОБРАЗОВАННОСТИ ПОЛИЦЕЙСКИХ ЧИНОВНИКОВ В РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XIX В". www.google.ru;


183.С.Б.Немченко, А.А.Смирнова. „ПОЖАРНЫЙ СЛУЖАЩИЙ РОССИ-ЙСКОЙ ИМПЕРИИНА РУБЕЖЕ XVIII–XIX ВЕКОВ: ОПРЕДЕЛЕНИЕ, СОСТАВ, ПРАВОВОЕ ПОЛОЖЕНИЕ". Санкт-Петербургский университет ГПС МЧС России. Стр.83. www.google.ru.;

ბ)რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციის „ოხრანკა“ შექმნა-საქმიანობა

სადაზვერვო საქმიანობის ისტორიის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტს მეფის რუსეთში პოლიტიკური ტერორიზმის, მემარცხენე რევოლუციური ფრთის მოღვაწეობის კონტროლის მიზნით XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებული როლი პოლიტიკურ პოლიციას „ოხრანკას“ ჰქონდა დაკავებული. მისი შექმნის ერთ-ერთი მიზეზი 1866 წელს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ზე თავდასხმა იყო.

სამსახურის წარუმატებელმა საქმიანობამ სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, პირველ ეტაპზე რუსეთში არსებული წეს-წყობილების კომუნისტური რეჟიმით შეცვლა, რეპრესიების ტალღა გამოიწვია, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ოხრანკის შექმნის აუცილებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ქვეყნებში რუსი რევოლუციონერების მოღვაწეობის მიზნების და ამოცანების შესწავლას უკავშირდებოდა, რაც უცხო (დაინტერესებული) ქვეყნების მხრიდან მეფის რუსეთის, ე.ი. არსებული წეს-წყობილების საწინააღმდეგო პროცესების ორგანიზებაში მონაწილეობასთან ასოცირდებოდა. ამ მიმართულებით „ოხრანკა“ (საწყის ეტაპზე III განყოფილება, შემდგომში დეპარტამენტი) კერძოდ მისი სადაზვერვო აპარატი, აქტიური სადაზვერვო ქმედებების განხორციელების მიზნით მოქმედებდა სქემაზე ასახული სახელმწიფოების დედაქალაქებში:



აგენტურული აპარატის ცენტრი რუსეთის საელჩოებში იყო განთავსებული. დევნის და მეთვალყურეობის კუთხით, პოლიციის დეპარტამენტის (ოხრანკის) და სასაზღვრო სამსახურის კოორდინაციის ფონზე სადაზვერვო ორგანიზაციას რუსეთის კონსულები ახორციელებდნენ.

XIX საუკუნის 80-იან წლებში „ოხრანკის" საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას რუსულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე თვალყურის დევნება წარმოადგენდა. სადაზვერვო პროცესის სწორი უზრუნველყოფის მიზნით, სამოქმედო ქვეყანაში სადაზვერვო აპარატის (მმართველი და მართვადი რგოლების), ადგილობრივი პოლიციის საქმიანობა, სისტემატიურ კონტროლს ექვემდებარებოდა. ასე, მაგალითად: პ.ზაიოჩკოვსკის და ი.ორჟეხოვსკის მიხედვით:[184]

- ოხრანკის თანამშრომლებს „დაევალათ მონაცემების შეკრება რუსულ პოლიტიკურ ემიგრაციაზე, III განყოფილების

184.Зайончковский П.А. „Кризис самодержавия на рубеже 1870-1880 гг". М., 1964. С. 177-178; Оржеховский И.В. „Самодержавие против революционной России". М., 1982. С. 117, 177-179.) (Перегудова З. Политический сыск России (1880-1917 гг.) www.gumer.info;

აგენტების მუშაობის, ადგილობრი-ვი პოლიციის მოღვაწეობის შესახებ;“

- „უცხოელებმა, არ იცოდნენ რა რუსული ენა, შეტყობინებს იძლეოდნენ, პოლიტიკური ემიგრაციის პირადი ცხოვრების შესახებ და არა მათ საუბრებსა და განზრახვებზე“.

სადაზვერვო ორგანიზაციისას ადგილი სამსახურის ხელმძღვანელი პირების მხრიდან საზიანო მოქმედებებსაც ჰქონდა.

სამსახურის შექმნიდან უახლოეს პერიოდში, დიდი პრაქტიკის მქონე, ბულგარეთის კონსულის ვეისმანის ორგანიზებით, ადგილი ჰქონდა ისეთ გადაცდომებს, როგორიცაა:

- არასწორი ფინანსური აღრიცხვა;
- კარიერაში წარმატების მისაღწევად, ობიექტზე (ბულგარელ თავად ფერდინანდზე) ფიქტიური თავდასხმის ორგანიზება;

საზღვარგარეთ მოქმედი „ოხრანკა“, პოლიციის დეპარტამენტის საქმის წარმოებას ექვემდებარებოდა. მიმოწერითი (ინსტრუქციები და აგენტურულ-ანალიტიკური) და აღრიცხვი- თი (საფინანსო, სამეურნეო და სხვა) დოკუმენტაციის საიდუმლო მიმოქცევა და თავმოყრა, სადაზვერვო კონტროლს დაქვემდებარებულ სახელმწიფოებისა და ქალაქების მიხედვით ხორციელდებოდა.

პოლიტიკური პოლიციის „ოხრანკის“ შესწავლის, შესაბამისად, ზემოქმედების ობიექტს, რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი აქტიური ფრთა-ანარქისტები წარმოადგენდნენ.

XIX საუკუნის დასასრულისათვის, რუსული პოლიტიკური ემიგრაციის გააქტიურება ბულგარეთში, ბალკანეთში, სერბიაში, ავსტრო-უნგრეთში განხორციელდა.

ვითარება ოხრანკის მხრიდან სადაზვერვო ქმედებების მასშტაბების ზრდას მოითხოვდა, რაც აგენტურული აპარატის ორგანიზებას უკავშირდებოდა. წარმატებული აგენტურული აპარატის შექმნა 1894 წელს ბალკანეთში და გალიციაში, 1900 წელს ბერლინში და ა.შ. განხორციელდა.

რუსეთის ფედერაციაში დაცული საარქივო მონაცემებით, სადაზვერვო ქმედებების ორგანიზატორები, უცხო ქვეყნებში მომუშავე რუსეთის იმპერიის კონსულები კორესპოდენციის პერლუსტრაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ.

სადაზვერვო საქმიანობის პროცესში უცხოეთში მცხოვრები პოლიტიკური ემიგრაციის კომპრომენტაციისათვის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია ხორციელდებოდა. ამ მიზნით შეღწევადობა პრესის ორგანოებში შესაძლებელი გახდა.

პარიზულ პრესაში სისტემატიური ხასიათი მიიღო რუსული პოლიტიკური ემიგრაციის საწინააღმდეგო სტატიების გამოქვეყნებამ. ამ ფონზე, აგენტურული ორგანიზაციით ოხრანკამ შესაძლებელი გახადა მიზანმიმართული პროვოცირების მეთოდით, რუსული ემიგრაციის კონტროლს დაქვემდებარებული ტიპოგრაფიული გამოცემების დარბევები. ამ ხასიათის ქმედებებს ადგილი ჰქონდა ჟენევაში.

რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ირგვლივ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის გასამყარებლად, ადგილი ჰქონდა საიდუმლო ოპერაციული ხასიათის ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მეშვეობით ისინი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის პროვოცირების პროცესში ადვილად ერთვებოდნენ.

პარიზში, ოხრანკის საიდუმლო აგენტების პროვოცირებით, რუსული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობით, თითქოსდა ალექსანდრე III-ის ლიკვიდაციისათვის, ტერორისტული ქმედებების უზრუნველმყოფი, ასაფეთქებელი საშუალებების დამამზადებელი ლაბორატორია შეიქმნა.

1890 წელს, საქმიანობის დაწყებისთანავე ოხრანკისა და საფრანგეთის შესაბამისი სამსახურის კოორდინაციით უზრუნველყოფილი იქნა ტერორისტული ხასიათის „დანაშაულის გახსნა“, ხმაურიანი სასამართლო პროცესის, ლაბორატორიის შექმნის ორგანიზატორის, ოხრანკის საიდუმლო აგენტის ლანდეზენის ქვეყნიდან წარმატებული გაქცევის ორგანიზება.

სადაზვერვო მიმართულების და ქმედების დაგეგმარების ძირითად განმაპირობებელ გარემოებას ქვეყანაში, ამ უკანასკნელის ირგვლივ არსებული ოპერატიულ-პოლიტიკური ვითარება განაპირობებს. XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რუსული პოლიტიკური ემიგრაციის ქმედებები მეფის რუსეთის ხელისუფლების, წყობილების წინააღმდეგ მიმართული აქტიური ქმედებებით გამოირჩეოდა, რაშიც დიდ როლს უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები თამაშობდნენ.

დროული, სანდო, სრულყოფილი ინფორმაციული უზრუნველყოფისათვის საჭირო გახდა ოხრანკის აგენტურული ორგანიზაციის მასშტაბების გაზრდა. ამ მიზნით აგენტურის შეძენის ერთ-ერთ ობიექტად, ემიგრაციის მასობრივი თავშეყრის ადგილად მიჩნეული რუსული სასადილო გახდა. „ოხრანკის“ ხელმძღვანელისადმი გაგზავნილ, 1902 წლის დეკემბრით დათარიღებულ წერილში ვკითხულობთ: „საიდუმლო თანამშრომლების კუთხით მიმაჩნია არ შემოვიფარგლოთ ლონდონის, პარიზის, და


შვეიცარიის ჩარჩოებით, უმჯობესია ქსელის კიდევ უფრო გაფართოება. უკვე პირადად ჩემ მიერ შეძენილია სამი თანამშრომელი: ერთი დამატებითი წყვილი (სპეციალურად რუსული სასადილოს მეთვალყურეობისათვის), ერთი მიუნხენისათვის, ერთს ვფიქრობ ბელგიაში გასაგზავნად, სადაც ბრიუსელში და ლიეჟში ჩამოყალიბდა მოწესრიგებული ბუდე. ყოფილი თანამშრომლებიდან ყველა არ გადმოსულა ჩემთან, მაგრამ გადმოვლენ პ.ი. პარიზიდან წასვლისთანავე."

სადაზვერვო აქტიურობის შემცირებისათვის 1904 წლის 14 მარტს ხელი მოეწერა რუსულ-გერმანულ პოლიტიკურ აქტს „ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად", რომელსაც რუსეთისათვის უფრო ჰქონდა მნიშვნელობა. ქმედება სადაზვერვო კოორდინაციაზე მიანიშნებს, რაც სახელმწიფოთა სტრატეგიული ინტერესების თანხვედრას ადასტურებს. სადაზვერვო მონაცემების ანალიზი ოხრანკას აძლევდა საშუალებას, რომ მეფის რუსეთის მმართველობის საწინააღმდეგოდ, უცხო ქვეყნებში მოქმედ ერთერთ ყველაზე სერიოზულ პოლიტიკურ ძალად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია ყოფილიყო მიჩნეული. პარტიის ქმედებები სადაზვერვო კონტროლს დაექვემ- დებარა. ასე, მაგალითად: 1907 წლის 13 მაისიდან 1 ივნისის ჩათვლით, ლონდონში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუ- შათა პარტიის V ყრილობაზე „ოხრანკის" ორგანიზებით დე- ლეგატთა სიაში საზღვარგარეთის აგენტურის თანამშრომელის ჟიტომირსკის წარმატებული ჩანერგვა გახდა შესაძლებელი. ის ყრილობის პროტოკოლის ნაწილში იყო არჩეული. ჩანერგვის ოპერაცია, ყოველი სამუშაო დღის შემდგომ, ყრილობის დოკუმენტების ასლების სადაზვერვო მისიით შეუფერხებელი გა-

დაღებისა და გადაგზავნის, აგრეთვე ყრილობის მონაწილეთა და ლიდერთა (მათ შორის გეგმიური ვიზიტების) შესახებ მნიშვნელოვანი (მათ შორის მახასიათებელი) მონაცემების შეკრების საფუძველი გახდა, რისთვისაც აგენტზე 1500 მანეთის ოდენობის ფულადი წახალისება გაიცა.


1909 წლისათვის, „ოხრანკის“ მიერ წერილების კონტროლი, დაკვირვებას დაქვემდებარებული პირების საიდუმლო ფოტოგრაფირება აქტიურად გამოიყენებოდა.

სადაზვერვო საქმიანობაში დაშვებულმა შეცდომებმა 1909-1917 წლებში ოხრანკის საქმიანობა საკმაოდ დაძაბული, წარუმატებელი გახადა. საჭირო იყო სადაზვერვო საქმიანობის კიდევ უფრო გააქტიურება. სადაზვერვო საქმიანობის შენიღბვისათვის საფრანგეთში (პარიზში) 1909 წლისათვის მივლინებული იქნა ოხრანკის ოფიცერი, რომელსაც თანამდებობრივად, საზღვარგარეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, რუსეთის საელჩოებისა და საკონსულოების შორის ურთიერთობების მოგვარება ევალებოდა. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის სტატუსით იყო შენიღბული. რეალურად კი მის ფუნქციაში შედიოდა:



ოხრანკის მასშტაბურმა საქმიანობამ საფრანგეთში საგანგაშო ფარგლებს მიაღწია. სადაზვერვო კომპრომენტაციის მიზნით საფრანგეთის ხელისუფლებამ საფრანგეთის ინტერესების საწინააღმდეგოდ რუსული პოლიციის ქმედებების შესახებ აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობა განახორციელა. სადაზვერვო კომპრომენტაციას შედეგი მოჰყვა. საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად რუსეთში დღის წესრიგში დადგა საკითხი საზღვარგარეთული აგენტურის პარიზის ბიუროს რეორგანიზაციის შესახებ. ამ პერიოდისათვის, ოხრანკის დეპარტამენტის დაფინანსებით კერძო ბიუროს შექმნა დაიგეგმა, რომელიც კანონმდებლობით მთავრობის კონკრეტულ დავალებებს შეასრულებდა, თუმცა აქტიური სადაზვერვო ქმედებებიც გაგრძელდებოდა. ფაქტობრივად, სადაზვერვო საქმიანობა კი არ შეწყდა, არამედ გაგრძელდა მყარი შენიღბვით.

1913 წლისათვის ოხრანკის (პარიზის) საგარეო აგენტურული აპარატის განფენა ასე გამოიყურებოდა:



ოხრანკა დასაშვებად მიიჩნევდა აუცილებლობის შემთხვევაში მეფის რუსეთში კონკრეტული მიმართულებით მოქმედი აგენტი საზღვარგარეთულ აგენტურულ აპარატს გადაცემოდა.

აგენტი „ნეი“, რომელიც პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, 1905 წლიდან საზღვარ-გარეთულ ოხრანკას გადაეცა და ლიეჟში დასახლდა. იგი რევოლუციურ მოღვაწეთა შორის და 2000 კაციან ემიგრანტულ კოლონიაში ვითარების კონტროლის მიზნით იყო ჩანერგილი. აქტიური აგენტურული საქმიანობისათვის, აგენტის ლიდერის როლში ყოფნის უზრუნველყოფისათვის, ოხრანკამ განახორციელა:

- ე.წ. პარტიული აგენტის ფინანსური უზრუნველყოფა თანაპარტიელთა დახმარების მიზნით;
- პარტიული ბეჭდვითი ორგანოს მატერიალური მხარდაჭერა.

რუსეთის იმპერიაში გაძლიერებულმა რევოლუციურმა მუხტმა, არსებული წეს-წყობილების შენარჩუნების მიზნით პოლიციისა და სპეცსამსახურების მხრიდან განხორციელებულმა არაეფექტურმა აგენტურულ-ოპერატიულმა საქმიანობამ უარყოფითი ასახვა ჰპოვა საგარეო დაზვერვის ორგანიზაციაზე.

1913 წლისათვის, ოხრანკის საქმიანობაში თავი იჩინა მნიშვნელოვანმა წარუმატებლობამ.

ოხრანკის ხელმძღვანელისადმი ამ პერიოდის მიმოწერაში აღნიშნულია: საზღვარგარეთული აგენტურის საქმიანობაში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ჩავარდნებს, რომლის მიზეზი თანამშრომლების, ან იმ პირების დაუდევრობაა, რომლებთაც საქმეებთან და დოკუმენტებთან სამსახურებრივი დაშვება გააჩნდათ. სახეზეა კონკრეტულ უბანზე დეზორგანიზაციული ქმედებები,

რომლის მიღწევა მოწინააღმდეგის სადაზვერვო შეღწევადობით (გადაბირებით) არის შესაძლებელი. ოხრანკის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი გადაბირების შემდგომ აგენტურული აპარატის საქმიანობის (პირადი და საქმიანი თვისებების) სისტემატიური შესწავლის უწყვეტობას ეკავა:

- აგენტის „შარნი“ ცხოვრებაში შეიმჩნევა გარკვეული სიმძიმე, უიღბლო ცოლ-ქმრული ცხოვრების გამო;
- აგენტი „ჟერმენი“ ითვლება „ძალიან სერიოზულ, გამოცდილ და განვითარებულ... უეჭველად დიდი მასშტაბების თანამშრომლად, რომელიც ბრწყინვალედ განათლებულია და საუკეთესოდ საუბრობს.
- აგენტი „ნიკოლი“ შედარებით ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, სერიოზული პარტიული მოღვაწეა... როგორც რევოლუციონერი, კარიერისტია... ცდილობს დაიკავოს მაღალი მდგომარეობა რევოლუციურ წრეში...პროვოკაციული მოღვაწეობისაგან თავის არიდების მიზნით იმსახურებს ფხიზელ მეთვალყურეობას, მყარ კონტროლს.
- აგენტი „მონი“ რაიმე სერიოზულ მონაცემებს არ ფლობს, პარტიულ ცხოვრებას როგორც ეტყობა არ იცნობს, კავშირები არ გააჩნია, წარმოადგენს ზედმეტ ბალასტს უცხოური ბიუროსათვის.
- აგენტი „კოსმოპოლიტი“ გარკვეულია რევოლუციურ ურთიერთობებში, განვითარებულია, ფლობს შვიდ ენას, უნდა მივაკუთნოთ დამსახურებულ თანამშრომელთა რიცხვს.

- აგენტი „ნეი“ ლიეჟში რევოლუციურ წრეებში თავს ასაღებს, როგორც ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატად, რეალურად იგი მონარქისტია (რ ო ლ თ ა ნ შ ე უ - ს ა ბ ა მ ო ბ ა);
- აგენტი „ლეჟენი“ მატყუარაა, ხოლო აგენტი „სიმენსი“ საეჭვო სიმართლის მთქმელი და ა.შ.

საყურადღებოა, ოხრანკის აგენტურული აპარატის მიერ მოსაპოვებელი ოპერატიული ინფორმაციების მიმართულებები. 1808-1809 წლებში ოხრანკის აგენტები აგროვებდნენ ინფორმაციებს:

- პოლიტიკური პარტიის (წევრების და წევრობის კანდიდატების, ყრილობის მონაწილეების მონაცემები და რაოდენობა, საგამომცემლო მოღვაწეობა, ყრილობის მიერ მიღებული და უარყოფილი გადაწყვეტილებები) მოღვაწეობის შესახებ;
- პოლიტიკური მოღვაწეების შეკრების ადგილებისა და იქ მიმდინარე პროცესებზე;
- პოლიტიკური ემიგრაციული ჯგუფების, მათი ლიდერების კავშირებზე, მათთან კონტაქტების ინტენსივობაზე და ხასიათზე, დაფინანსების წყაროებზე;
- რუსეთში არალეგალური ლიტერატურის დამზადების დაფინანსების წყაროებზე, გადაადგილების მარშუტებზე;
- ემიგრანტულ კოლონიაში არსებულ ვითარებაზე.

ოხრანკის აგენტურული აპარატის წარმატებული საქმიანობის ორგანიზებაში მნიშვნელოვანი ადგილი აგენტების ფულადი წახალისების პროცესს ეკავა. ე.წ. პარტიული ხაზით:

- ინგლისში მომუშავე ოხრანკის აგენტი გაწეული შრომისათვის 1500 მანეთით უნდა დაეჯილდოებინათ.
- ბელგიაში (ლიეჟში) მომუშავე ოხრანკის აგენტი „ნეი“, გაწეული მუშაობისათვის იღებდა 400 ფრანკს.
- საფრანგეთში (პარიზში) მომუშავე ოხრანკის აგენტი „შარნი“, გაწეული მუშაობისათვის თვეში 2500 ფრანკს იღებდა.

ოხრანკის აგენტურული ორგანიზების მასშტაბურობაზე მეტყველებს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც: „პირველი მსოფლიო ომისათვის აგენტურული აპარატის ოდენობა 70500-ს, გარე მეთვალყურეობით დაკავებულ აგენტთა რაოდენობა 1000-ს, გუბერნიებში 6-40 ადამიანს შეადგენდა.“[185]

185. Лев Крошкин. „70,5 тысяч стукачей Царская охранка завербовала в начале XX века“. журнал «Новый исторический вестник», 2010 год, № 23. http://cripo.com.ua;

გ) საბჭოთა კავშირის მილიციის შექმნა-საქმიანობა.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის იმპერიის ძალადობრივი გზით-რევოლუციით დამხობით, რუსეთის სამართავად მოსულმა ბოლშევიკებმა პირველი რიგის ამოცანად საბჭოთა სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფი სპეციალური სამსახურების, რეგულარული სამხედრო შენაერთების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოების ჩამოყალიბება დაისახეს.

1917 წლის დეკემბერში კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან, სპეკულაციასთან საბრძოლველად საერთო რუსული განსაკუთრებული კომისია შეიქმნა, რომელიც რეალურად სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველმყოფ სამსახურს წარმოადგენდა.

1918 წლის თებერვალში რეგულარული წითელი არმიის ჩამოყალიბებისთანავე დღის წესრიგში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხობის დამცველი ორგანოს ჩამოყალიბების აუცილებლობა დადგა.

1918 წლის ივლისი-ოქტომბრის პერიოდში შეიქმნა და დამუშავდა ინსტრუქცია საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიციის („НКВД“) ჩამოყალიბების შესახებ, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უწყებას საზოგადოებრივი წესრიგის (რევოლუციური მონაპოვარის) დაცვა დაევალა.

ამავე პერიოდში, სისხლის სამართლის სამძებრო ადგილობრივ ხელისუფლებას აღარ ექვემდებარებოდა. იგი ცენტრალურ (მათ შორის პოლიციურ) მმართველობას დაექვემდებარა.

სამსახურის დასახელებიდან გამომდინარე, მილიცია მუშების, გლეხების ინტერესების დამცველი, ე.ი. იმპერიის პერიოდში არსებული მმართველი ელიტის ინტერესების დამაზიანებელი გახდა.

ცენტრალური ქვემდებარეობის გარდა, მილიცია ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლქვეშ იყო მოქცეული.

1919 წლისათვის, რუსეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) პარტიის VIII ყრილობის გადაწყვეტილებით,[186] წითელი არმიის საბჭოთა მილიციად გარდაქმნა გადაწყდა.

მიუხედავად პოლიტიზირებისა, საბჭოთა მილიცია შექმნიდან გარკვეული პერიოდი არამყარ ორგანოდ ითვლებოდა, რასაც თანამშრომლების მხრიდან, არსებული ხელისუფლებისადმი უარყოფითი განწყობები განაპირობებდა.

სწორედ ამიტომ, საბჭოთა მილიციის მაკონტროლებელი რგოლი, მილიციელთა პოლიტიკურ შეხედულებებს სისტემატიურად შეისწავლიდა.

ეს ვითარება შენარჩუნებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლამდე. შეხედულებები სამსახურში მისაღებ კანდიდატთა, თანამშრომელთა ოპერატიული შესწავლის მასალებში დოკუმენტურად ფიქსირდებოდა. სამსახურებრივ დახასიათებებში პოლიციელთა პოლიტიკურ შეხედულებებს მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი.

საბჭოთა მილიციის როლი და ფუნქციები 1919-1920 წლებში მნიშვნელოვნად გაიზრდა, რაც წეს-წყობილების წინააღმდეგ იმ უარყოფითმა განწყობა-გამოსვლებმა განაპირობეს,

---

186.А.В.ПЕТРОВ. „СИСТЕМА СОВЕТСКОЙ МИЛИЦИ ПРОБЛЕМА РАЗВИТИЯ В 1919-1921 ГГ.(РЕГИОНАЛЬНЫЙ АСПЕКТ)“. www.google.ru;

რომლებიც ახლად შექმნილ პოლიტიკურ სისტემას ანარქიისაკენ მიაქანებდა.

ამ ვითარების შექმნაში მნიშვნელოვან როლს საბჭოთა რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული სადაზვერვო საქმიანობა ასრულებდა.

ამ პერიოდში, ევროპული სახელმწიფოების მხარდაჭერით საბჭოთა კავშირის ბოლშევიკების („წითლების") წინააღმდეგ, ინსპირირებული სამოქალაქო ომის მასშტაბების ზრდას ხელს უწყობდნენ რუსეთის იმპერიის ყოფილი მაღალჩინოსანი გენერლები კოლჩაკი[187] და დენიკინი („თეთრები"-„თეთრგვარდიელები") თავიანთი მრავალრიცხოვანი ჯარისკაცებით.

საბჭოთა რუსეთის მნიშვნელოვანი ტერიტორიები (მათ შორის ფსკოვის გუბერნია)[188] 1918-1919 წლებში მონაცვლეობით ექვემდებარებოდა გერმანიის საჯარისო ფორმირებების, თეთრგვარდიელთა კონტროლს.

ოპერატიული ვითარების სიმძიმეს ამ პერიოდში სხვადასხვა სახეობის ტრიბუნალების შექმნა და მათი აქტიური საქმიანობა ადასტურებდა. საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო განწყობების მასშტაბების ზრდას ხელს უწყობდა მართლმადიდებლური რელიგიის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებები, რომლებიც საბჭოთა წყობილების ჩამოყალიბებიდან თან-

---

187.Ю.Н.Цилкин „Белогвардейские спецслужбы против коммунис-тического подполья на Дальнем Востоке в 1918 - 1920 гг".// История государства и права. 2011. №13. С. 10-14. http://regiment.ru;

188.Ананьева Елена Сергеевна. „СОЗДАНИЕ, ОРГАНИЗАЦИОННАЯ СТРУКТУРА И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ СОВЕТСКОЙ КОННОЙ МИЛИЦИИ ПСКОВСКОЙ ГУБЕРНИИ В 1918–1920 ГГ". www.google.ru;

დათან მასშტაბურ ხასიათს იძენდა. სარწმუნოება და მღველთ-მთავრები საბჭოთა წყობისათვის საშიშ ელემენტებად ითვლე-ბოდნენ. საბჭოთა რუსეთში „1920 წლისათვის 673 მონასტერი დაიკეტა, 827540 დესეტინი სამონასტრო მიწა გადაეცა მუშებსა და გლეხებს.“[189]

სახელმწიფოში ოპერატიული ვითარების ცვალებადობა, მილიციის დანაყოფების ქვემდებარეობის ცვალებადობას უკავ-შირდებოდა.

საბჭოთა მილიციის ცხენოსანი პოლიცია[190] 1919-1920 წლე-ბში შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან ძალად იქცა.

საბჭოთა რუსეთში კრიმინალის გააქტიურება ოპერატიუ-ლი ვითარების დაძაბვის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი იყო. 1917-1919 წლებში მოსკოვში განსაკუთრებული აქტიუ- რობით 34 კაციანი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი გამოირჩეოდა, რომელსაც ადრე მრავალჯერ ნასამართლევი ნი-კოლოზ საბანოვი, მეტსახელად „საბან“ ხელმძღვანელობდა. მრა-ვალგზის განხორციელებული ძარცვა-ყაჩაღობით ამ ჯგუფის ხელში 4.5 მილიონი მანეთის ფულადი თანხა და ძვირფასეუ-ლობა აღმოჩნდა.[191]

ჯგუფი სისასტიკით გამოირჩეოდა, ძარცვა-ყაჩაღობის დროს ისინი მსხვერპლის ლიკვიდაციას არ ერიდებოდნენ. დანა-

---

189.В.А.Клименко. "Борьба с контрреволюцией в Москве". 1917-1920". Издательство "Наука", Москва, 1978 год. http://fdzerzhinsky.narod.ru;

190.Ананьева Елена Сергеевна. „СОЗДАНИЕ, ОРГАНИЗАЦИОННАЯ СТРУКТУРА И ДЕЯТЕЛЬНОСТЬ СОВЕТСКОЙ КОННОЙ МИЛИЦИИ ПСКОВСКОЙ ГУБЕРНИИ В 1918–1920 ГГ". www.google.ru;

191.Ф.И.РАЗЗАКОВ. „БАНДИТЫ ВРЕМЕН СОЦИАЛИЗМА (ХРОНИКА РОССИЙСКОЙ ПРЕСТУПНОСТИ 1917-1991 г.г.". http://lib.rus.ec;

შაულებრივი დაჯგუფება მილიციელთა ლიკვიდაციასაც არ ერიდებოდა, რაც სახელმწიფოს მხრიდან დაუცველობის კუთხით, მოსახლეობაში შიშის და პანიკის ინსპირირებისათვის საუკეთესო პირობა იყო. 1919 წლის იანვარში, ამ დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მომენტში ლიკვიდირებული იქნა 16 პოლიციელი;

1918 წლისათვის, ნიჟგოროდის ოლქში დანაშაულებრივი დაჯგუფება პრაქტიკულად დაუბრკოლებლად მოქმედებდა,[192] რომლის წევრები საბჭოთა წყობილებისადმი უარყოფითი დამოკიდებულებთ გამოირჩეოდნენ. მათ მიერ სარკინიგზო ვაგონებზე თავდასხმა-ძარცვა ხორციელდებოდა.

1919 წლისათვის, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიაში სამხედრო მდგომარეობის პირობებში ბანდიტიზმისათვის, კონტრრევოლუციისათვის, სპეკულაციისათვის 40-მდე ადამიანი გამოავლინეს და დახვრიტეს.

1918-1919 წლებში, მოსკოვში განსაკუთრებული სისასტიკით 1917 წლის მდგომარეობით 10-ჯერ ნასამართლევი იაკოვ კუზნეცოვის, მეტსახელად იაშკა კოშელკოვის 18 კაციანი ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფება მოქმედებდა. ჯგუფის ბოლო ძარცვის დროს დაკავებისას ნივთმტკიცების სახით ამოღებული იქნა 3,5 ფუტი ოქრო და 4 ფუტი პლატინა.[193]

1920 წლისათვის, საბჭოთა რუსეთისათვის მნიშვნელოვან პრობლემად ნარკომანია და მეძავეობა იქცა. სწორედ მეძავები

192.„Управление уголовного розыска. История нижегородского уголовного розыска.“ http://52.mvd.ru;

193.Ф.И.РАЗЗАКОВ. „БАНДИТЫ ВРЕМЕН СОЦИАЛИЗМА (ХРОНИКА РОССИЙСКОЙ ПРЕСТУПНОСТИ 1917-1991 г.г.”. http://lib.rus.ec;

(1920 წლისათვის პეტროგრადში მეძავების მომსახურებით ფაბრიკა-ქარხნების მუშების 43%, სხვა სფეროებში დასაქმებულთა 41,5% სარგებლობდა, ხოლო 1923 წლისათვის ეს ციფრები შესაბამისად 61% და 50%-მდე გაიზარდა)[194]ანხორციელებდნენ ნარკოტიკების რეალიზაციას.

ამ პერიოდისათვის, მოსახლეობასა და ჯარისკაცებს შორის ალკოჰოლიზმის მასშტაბების ზრდა მნიშვნელოვან პრობლემად რჩებოდა. საბჭოთა რუსეთის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, ოპერატიული ვითარების განსაკუთრებული დამძიმება მოსკოვში შეიმჩნეოდა.

ვითარების გამოსასწორებლად, კონტრევოლუციის, სპეკულაციის, თანამდებობრივი დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად 1918 წლის 26 სექტემბერს პოლიციური სტრუქტურა-მოსკოვის საგანგებო კომისია შეიქმნა, რომელმაც საბჭოთა წყობილების შენარჩუნება-გაძლიერების საქმეში მნიშვნე-ლოვანი როლი შეასრულა. „1918 წლის დეკემბრიდან 1920 წლის 1 ნოემბრამდე მოსკოვის საგანგებო კომისის მიერ გამოვლენილი იყო 59 იატაკქვეშა (საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგოდ მოქმედი) ორგანიზაცია...1920 წლის პირველ თვეებში, კონფისკაცია გაუკეთდა 10 000 ოქროს მანეთს, 25 000 000 საკრედიტო ბილეთს, 1940 კარატ ძვირფას ქვებს..." [195]

194.„Борьба с наркоманией в современной России - 1.2. Проблема наркотизма в советской России в 1910-1940-е годы: «ликвидация» наркомании?". www.univer5.ru;

195.В.А.Клименко. „Борьба с контрреволюцией в Москве. 1917-1920". Издательство "Наука", Москва, 1978 год. http://fdzerzhinsky.narod.ru;

საბჭოთა წყობილებისათვის საშიშ ძალად ანარქისტები, ესერები, სოციალისტები, მენშევიკები მიიჩნეოდნენ.[196] მათ გასანეიტრალებლად კოორდინირებულად საქმიანობდნენ საბჭოთა სპეცსამსახურები და მილიცია:

- 1919-1921 წლებში დახვრიტეს 138 ანარქისტი...1922 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა ციხეებში და ბანაკებში 608 ანარქისტი იმყოფებოდა;
- 1919 წელს ლიკვიდირებული იყო 58, 1920 წელს 45 მემარცხენე ესერების ორგანიზაცია, ხოლო 1919-1920 წლებში დაპატიმრებული იყო 1875 მემარცხენე ესერი;
- 1919 წლის მარტში საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში 1900 სოციალისტი იყო დაპატიმრებული;
- 1920 წლისათვის დააკავეს 2380 ესერი და მენშევიკი.

საბჭოთა წყობისათვის მიუღებელი გახდა ინტელიგენციის ის ნაწილი, რომლებიც ობიექტური რეალობიდან გამომდინარე სწორად აღიქვამდნენ და სიტყვიერად რეაგირებდნენ არსებული წეს-წყობილებიდან მომდინარე მძიმე შედეგებზე.

1921-1922 წლებში[197] მიუღებელი ინტელიგენციის დახვრეტის ფონზე საბჭოთა კავშირიდან მსოფლიო სახელის მქონე ჰუმანიტარული ელიტის 150-ზე მეტი წარმომადგენელი გააძევეს.

196.С.Куртуа, Н.Верт, Ж.-Л.Панне, А.Пачковски, К.Бартошек, Ж.-Л.Марго-лен, при участии Р.Коффер, П.Ригуло, П.Фонтен, И.Сантамария, С.Булук, „«Государсто против своего народа» Первая часть справочного изда-ния «Черная книга коммунизма»“. www.goldentime.ru;

197.Н.В.ЗАГЛАДИН, С.И.КОЗЛЕНКО, С.Т.МИНАКОВ, Ю.А.ПЕТРОВ. „ИСТОРИЯ ОТЕЧЕСТВА XX - начало XXI века“. Глава 3. СОВЕТСКОЕ ГОСУДАРСТВО И ОБЩЕСТВО В 1920-1930-е гг. Москва. "Русское слово" 2006. http://s_103.edu54.ru;

საბჭოთა სახელმწიფოს ჩამოყალიბება-განვითარების პროცესზე უარყოფით ზეგავლენას კორუფცია ახდენდა.

რევოლუციური ტრიბუნალების გამოკითხვით, 1918 წლის 6 ნოემბრის მდგომარეობით განხილული 12223 საქმიდან მექრთამეობის, გაყალბების, საბჭოთა დოკუმენტების უკანონო გამოყენებისათვის განხილული საქმეების რაოდენობა მინიშნებული საერთო რიცხვის 19%-ს შეადგენდა.[198]

1922 წლის თებერვლისთვის მექრთამეობა, კორუფცია და ეკონომიკური საბოტაჟი საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პროცესებზე კვლავ დამანგრევლად მოქმედებდა, მათ შორის:

●საპატიმროებში [პატიმრების უსაფუძვლო განთავისუფლება];

●ტრიბუნალებში [გამომძიებლების მხრიდან ჩხრეკვისას ძვირადღირებული ნივთების გადამალვა];

●სპეცსამსახურებში [შპიონაჟის შეფერილობით ოპერატიული დამუშავების საქმის დახურვა;

●დაპატიმრებული პირების ნივთების მისაკუთრება (1919 წლისათვის)[199]]

●მილიციაში [ქურდობის ფაქტების დამალვა];

●პატიმრების გაპარება საზღვარგარეთ;

სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულების მასშტაბების ზრდის ერთ-ერთ ძირითადი მიზეზი სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობრივი („1921 წლისათვის საბჭოთა რუსეთის სახელმწიფო მოხელეთა რაოდენობა, რუსეთის იმპე-

198.Алексей Литвин. „Красный и белый террор в России 1918–1922 гг". www.e-reading.biz;

199.„Огонь по своим и поиски заговоров". www.e-reading.biz;

რიის სახელმწიფო მოხელეებთან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა")[200] ზრდა და არასრულყოფილი კონტროლი გახდა.

ამრიგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

რუსეთის იმპერიის პოლიციის ძირითადი საზრუნავი XVIII-XIX საუკუნეში არსებული წეს-წყობილების შენარჩუნება იყო. პოლიციური სტრუქტურების ძირითად კონტროლს ექვემდებარებოდა:

- მოსახლეობის ცხოვრება და გადაადგილება დედაქალაქში პერიფერიებიდან, განსაკუთრებით სოფლებიდან მუშა-ხელის (ძალის), თვითნებური გადინების პროცესი;
- ჯარისკაცების დეზერტირობა;
- სახლთმშენებლობის, სისუფთავის კონტროლი;
- სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების გამოვლენა, რაც რევოლუციისაკენ მიდრეკილი ორგანიზაციების, საზოგადო მოღვაწეების გამოვლენას და კონტროლს გულისხმობდა;
- ეკლესიის ერთიანობაზე დამაზიანებლად მოქმედი პირების, სექტების გამოვლენა;
- სამეფო ხელისუფლების (არსებული ხელისუფლების, წეს-წყობილების) წინააღმდეგ გლეხთა აჯანყებების დროული გამოვლენა და აღკვეთა;

200.А.Ю.Климочкина. „История Советской России сквозь призму повседневности". Часть 1. Учебное пособие. Москва. МИТХТ им М.В. Ломоносова. 2012. www.google.ru;

- პერიოდული გამოცემების ცენზურა (არსებული ხელისუფლების წეს-წყობილების საწინააღმდეგო პროპაგანდის დროული გამოვლენა-აღკვეთა);
- უცხოელების ქმედებებზე კონტროლი.

ოპერატიულ-აგენტურული ღონისძიებების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პოლიციის მიერ იმპერიისათვის არაკეთილსაიმედო პირების მიზანმიმართული კომპრომენტაციის პროცესის ორგანიზება.

რუსეთის იმპერიის სტაბილურობაზე, პოლიციური სისტემების ეფექტურ მუშაობაზე სახელმწიფოში და სისტემაში კორუფციის მაღალი ღონე დამანგრევლად მოქმედებდა.

იმპერიაში, პოლიციის სისტემაში საკადრო ორგანიზაციის, თანამშრომელთა დაწინაურების, წოდების მინიჭების პროცესში დაწესებული იყო მოსაქრთამი გადასახადები.

პოლიციაში გაუნათლებელი კადრებით კომპლექტაციას ხელს უწყობდა სახელმწიფო, რომელიც მოხელეთა სწავლების პროცესის ორგანიზებას პრიორიტეტად არ მიიჩნევდა. ყოველივე ოპერატიულ-აგენტურული, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების წარუმატებელი ორგანიზების გარდა, მოქალაქეებისადმი სასტიკ მოპყრობას განაპირობებდა.

რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციის „ოხრანკა“ წარუმატებელი საქმიანობა პირველ ეტაპზე რუსეთში არსებული წეს-წყობილების კომუნისტური რეჟიმით შეცვლით, ხოლო შემდგომ პერიფერიებში რეპრესიების ტალღის ინსპირირებით დასრულდა, რამაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

ოხრანკის შექმნის აუცილებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ქვეყნებში, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ

მოღვაწე რუსი რევოლუციონერების ღა რუსული ემიგრაციის ქმედებების შესწავლას უკავშირდებოდა.

ოხრანკის აგენტურული აპარატის ცენტრი უცხო სახელმწიფოში მოქმედ რუსეთის საელჩოებში იყო განთავსებული, ხოლო სადაზვერვო ორგანიზაციას უზრუნველმყოფ ძირითად რგოლს კონსულები წარმოადგენდნენ, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში კორესპონდენციის პერლუსტრაციის პროცესს აქტიურად იყენებდნენ.

ოხრანკის ოპერატიულ-აგენტურულ კონტროლს ექვემდებარებოდა ინფორმაციები:

- რუსულ პოლიტიკური ემიგრაციის, ოხრანკის აგენტების, ადგილობრივი (უცხო სახელმწიფოს) პოლიციის მოღვაწეობის შესახებ;
- პოლიტიკური ემიგრაციის პირადი ცხოვრების (შეხედულებები, ურთიერთობები) შესახებ;
- პოლიტიკური პარტიის (წევრების და წევრობის კანდიდატების, ყრილობის მონაწილეების რაოდენობა, საგამომცემლო მოღვაწეობა, ყრილობის მიღებული და უარყოფილი გადაწყვეტილებები) მოღვაწეობის შესახებ;
- პოლიტიკური მოღვაწეების შეკრების ადგილებისა და იქ მიმდინარე პროცესებზე;
- პოლიტიკური ემიგრაციული ჯგუფების მათი ლიდერების კავშირებზე, ურთიერთობების ინტენსივობასა და ხასიათზე, დაფინანსების წყაროზე;

- რუსეთში არალეგალური ლიტერატურის დამზადების ადგილებზე, დაფინანსების წყაროებზე, გადატანის მარშუტებზე;
- ემიგრანტულ კოლონიაში არსებული ვითარებაზე.

სადაზვერვო საქმიანობის პროცესში უცხოეთში მცხოვრები პოლიტიკური ემიგრაციის კომპრომენტაციისათვის, უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია პრესის ორგანოებში აგენტურული შეღწევით ხორციელდებოდა, რითაც პრესაში პოლიტიკური ემიგრაციის საწინააღმდეგო სტატიების სისტემატიური გამოქვეყნება გახდა შესაძლებელი.

პოლიტიკური ემიგრაციის საწინააღმდეგოდ ოხრანკა, საიდუმლო ოპერაციული ხასიათის ისეთ ღონისძიებას იყენებდა, როგორიცაა, პოლიტიკური ემიგრაციის წევრების ტერორისტული ორგანიზაციის შექმნის პროცესში ჩართვის პროვოცირება.

ოხრანკა, აგენტურული უზრუნველყოფის ხელსაყრელ ადგილად ემიგრაციის მასობრივი თავშეყრის ადგილს რუსულ სასადილოს მიიჩნევდა.

ოხრანკა, იმპერიის საწინააღმდეგოდ მოქმედი პოლიტიკური პარტიის ქმედებების და მიზნების კონტროლის მიზნით, აქტიურად იყენებდა პოლიტიკურ პარტიაში აგენტურული ჩანერგვის საიდუმლო ფოტოგრაფირების მეთოდს.

პოლიტიკურ პარტიებში აგენტურული ჩანერგვის ხელშეწყობისათვის, სხვა მეთოდებთან ერთად გამოიყენებოდა ე.წ. პარტიული აგენტის მყარი ფინანსური უზრუნველყოფა, თანაპარტიელთა დახმარების უზრუნველყოფით ავტორიტეტის ამაღლების და გამყარების მიზნით;

ოხრანკა აგენტის გადაბირების შემდგომ აგენტურული აპარატის საქმიანობის (პირადი და საქმიანი თვისებების) სისტემურ შესწავლას ანხორციელებდა;

საბჭოთა კავშირის მილიცია აქტიურად საქმიანობდა პოლიტიკური პარტიების (ანარქისტები, ესერები, სოციალისტები, მენშევიკები), მართლმადიდებლური რელიგიის წინააღმდეგ. სარწმუნოება და მღვლეთმთავრები საბჭოთა წყობისათვის საშიშ ელემენტებად ითვლებოდნენ.

კრიმინალური დაჯგუფებები არ ერიდებოდნენ არა მარტო მსხვერპლის, არამედ მილიციელთა ლიკვიდაციასაც, რაც მოსახლეობაში შიშის და პანიკის ინსპირირებას ახდენდა.

ოპერტიულ ვითარებაზე დამანგრევლად მოქმედებდა მოსახლეობაში ლოთობის, ნარკომანიის და მეძავეობის, ჯარისკაცებს შორის ალკოჰოლიზმის მასშტაბების ზრდა.

ოპერატიულ ვითარებას ამძიმებდა მილიციელების მხრიდან ისეთ დანაშაულებრივ პროცესებში აქტიური მონაწილეობა, როგორიცაა:

- პატიმრების უკანონო განთავისუფლება;
- ჩხრეკისას ძვირადღირებული ნივთების გადამალვა;
- შპიონაჟის შეფერილობით ოპერატიული დამუშავების საქმის უსაფუძვლო დახურვა;
- დაპატიმრებული პირების ნივთების მისაკუთრება;
- ქურდობის ფაქტების დამალვა;
- პატიმრების საზღვარგარეთ გადასვლაზე ხელშეწყობა;
- დაპატიმრებულ „უდანაშაულოთა“ განთავისუფლება.

ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. პოლიციის ისტორიული ფესვები..... 5-15

2. თანამედროვე პოლიცია და მისი კონტრსადაზვერვო ფუნქცია.....16-31

3. დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის ისტორიიდან.....32-68
[რასისტულ და ექსტრემისტულ ჯგუფებში აგენტურული ჩანერგვის მოტივაცია. ბრიტანული პოლიცია ექსტრემიზმის წინააღმდეგ. დიდი ბრიტანეთის პოლიცია რასიზმის წინააღმდეგ. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიციის ისტორიიდან. გამოძიების ფედერალური ბიურო. ფინანსური აფიორების ორგანიზაციის ისტორიიდან. რელიგიის (სექტების) საფარქვეშ კრიმინალის ორგანიზაციის ისტორიიდან]

4. გერმანიის პოლიციის ისტორიიდან 69-96
[ერმანიის სამხედრო პოლიციის საფელდეგერო კორპუსი და ფელდჟანდარმერია XII-XIX საუკუნეებში. ჰიტლერის საიდუმლო პოლიცია „გესტაპოს“ ჩამოყალიბებისა საქმიანობის. სოციალისტური გერმანიის საიდუმლო პოლიციის „შტაზის“ საქმიანობის ისტორიიდან. საპოლიციო ზედამხედველობის განვითარების ისტორიიდან გერმანიაში. (პოლიციის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ პირთა კატეგორიები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში]

5. საფრანგეთის პოლიციის ისტორიიდან.....97-111
[წიგნების, პრესის ბეჭდვის და რეალიზაციის კონტროლის პოლიციის საქმიანობა საფრანგეთში XIII-XIX საუკუნეებში.

საკადრო ორგანიზაციის საფუძვლები საფრანგეთის პოლიციასა და ჟანდარმერიაში XVIII საუკუნიდან დღემდე]

6. ისრაელის პოლიცია..... 112-138
[ისრაელის პოლიციის როლი სახელმწიფოს ანტიტერორისტულ პოლიტიკაში. პედოფილებისწინააღმდეგ ბრძოლის ისტორია ისრაელში

7. დავით აღმაშენებლის სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ორგანიზაცია..... 139-175
[სამეფოში შექმნილი ოპერატიული ვითარება. მეფისადმი მტრულად მოქმედი შიდა ძალები. სამეფო ხელისუფლება და ეკლესია. დავით აღმაშენებლი]

8. რუსეთის პოლიციის ისტორიიდან..... 176-207
[რუსეთის იმპერიის პოლიცია XVIII-XIX საუკუნეში. რუსეთის იმპერიის საიდუმლო პოლიციის „ოხრანკა" შექმნა-საქმიანობა. საბჭოთა კავშირის მილიციის შექმნა-საქმიანობა]



დავით კონსტანტინეს-ძე კუხალაშვილი დაბ. 25.09.1967 ქ.ტყიბულში

განათლება:

1972-1983 - ქ. ტყიბულის № 4 საშუალო სკოლა;
1983-1984 - ქ. ტყიბულის № 136 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი;
1985-1992 - ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი, ავტომექანიკური ფაკულტეტი;
1995 - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემია;
2005 - სუხსახ-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ასპირანტურა;
2006 - ილიავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბებისა და საქმიანობის ისტორიიდან" და მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი;

პროფესიული გამოცდილება:

1985 - დეპარტმენტ "საქნახშირის"-ის შახტის ელ-დენთის ზეინკალი;
1985-1987 - სამხედრო-სავალდებულო სამსახური;
1992-1994 - ქ. ტყიბულის "თბილწყალკანალთბაცია" სამმართველოს უბნის უფროსის მოადგილე, უფროსი ინჟინერი;
1994-2004 - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ოპერატიული თანამშრომელი, უფროსი ოპერთანამშრომელი, განყოფილების უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსის თანაშემწე;
2004-2005 - საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის მოკვლევის სამმართველოს მრჩეველი;
2005 - შსს ოპერატიული საქმიანობის ინსპექტირების სამსახური, უფროსი ინსპექტორი;
2005-2006 - შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს აპარატის უფროსი;
2006-2007 - საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის იმერეთის მთავარი სამმართველოს II სახაზო სამმართველოს უფროსი; შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს ანალიზისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
2007-2009 - სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს უფროსი;
2009-2011 - სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს, სანებართვო და საფულდაგვრო სამმართველოს, თბილისის საფულდაგვრო განყოფილების უფროსი;
2010-2013 - ინფორმაციული უსაფრთხოების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის ინსტრუქტორი.
2010-2011 - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით.
2011-2012 - სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს სანებართვო და საცნობარო მომსახურების სამმართველოს შიდა საკორესპონდენციო მიმოცვლის განყოფილების უფროსი.
2013-2014 - აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის დეპარტამენტი, მოწვეული სპეციალისტი;
2012-2013 - უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია. ლექტორი;
2013 - შსს, სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტო, სამმართველოს უფროსის მოადგილე.
2013 -წლიდან დღემდე - სს„კორპორაცია ფოთის სახლეთი ნავსადგურის" გენერალური დირექტორის მრჩეველი უსაფრთხოების საკითხებში.
2014 წლიდან დღემდე შსს პოლიციის აკადემიის ასოცირებული პროფესორი.

გამოცემული აქვს 11 მონოგრაფია და 36 სამეცნიერო ნაშრომი.

პოლიციის პოლკოვნიკი.